გურამ კუტალია

# მარტინ ლუთერის თეზისები

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 1998

ნაშრომში განხილულია დიდი გერმანელი რეფორმატორის მარტინ ლუთერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მნიშვნელოვანი მომენტები, აგრეთვე „95 თეზისიდან“ გამომდინარე ლუთერანული იდეები, რომელმაც დასაბამი მისცა რეფორმაციულ მოძრაობას გერმანიაში. „95 თეზისის“ ქართული თარგმანი, გამოკვლევა და შენიშვნები, რომლებიც ნაშრომს ერთვის, მკითხველს დაეხმარება ლუთერანობის არსის უკეთ ჩაწვდომაში.

განკუთვნილია სტუდენტების, ასპირანტებისა და აღნიშნული საკითხით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი მ. სონღულაშვილი
რეცენზენტები: ნ. გომართელი,
ვ. თვალავაძე.

© გ. კუტალია 1998.
© გამომცემლობა „მერიდიანი“ 1998
ISBN 99928-22-84-S

# წინასიტყვაობა

1983 წლის 10 ნოემბერს შესრულდა გამოჩენილი გერმანელი რეფორმატორის მარტინ ლუთერის დაბადების 500 წლის თავი, რომელიც ფართოდ აღნიშნა გერმანელმა ხალხმა. ამ თარიღს მიეძღვნა მრავალი გამოფენა და კონფერენცია, გამოიცა ათეულობით წიგნი, დაიდგა სპექტაკლები, ჩატარდა საზეიმო საღამოები, გაზეთებში დაიბეჭდა არაერთი ცნობილი მოღვაწის სტატია. ლუთერი თანამედროვეთა მიერ შეფასებულ იქნა არა მარტო როგორც დიდი რელიგიური რეფორმატორი, არამედ – თვალსაჩინო ჰუმანისტიც, რომლის მოღვაწეობამ მეტად მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სამართლიანი მსოფლიოს ჩამოყალიბების საქმეში, კერძოდ, სკოლების შექმნით, უნივერსიტეტების რეფორმით, ეკლესიებსა და სკოლებში ახალი წესრიგის დანერგვით განხორციელდა რეფორმაციით გათვალისწინებული პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი. ლუთერის სოციალურ-ეთიკური შეხედულებანი, რომელიც ხალხთა კავშირის აუცილებლობას ადასტურებს, დღესაც მაღალ შეფასებას იმსახურებს[1]. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა გაგვეცნო ქართველი მკითხველისათვის რეფორმატორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მნიშვნელოვანი მომენტები და იმ თხზულების თარგმანი (სათანადო კომენტარებითა და გამოკვლევით), რომელმაც პირველი დიდი აღიარება მოუპოვა ავტორს – ესაა გახმაურებული „95 თეზისი“.

თარგმანზე[2] მუშაობისას გამოვიყენეთ „95 თეზისის“ ტექსტის (ლათინურ ენაზე) ვაიმარის[3] გამოცემა, ვეყრდნობოდით აგრეთვე თანამედროვე გერმანულ ენაზე შესრულებულ ფაუზელისეულ[4] და ლუდოლფისეულ[5] თარგმანებსაც.

---

[1] Martin Luther und unsere Zeit. Berlin, 1980, S. 14.

[2] წინამდებარე თარგმანი „95 თეზისის“ სრულად თარგმნის პირველ ცდას წარმოადგენს. აქამდე ჩვენი მკითხველი მას იცნობდა მხოლოდ ზოგიერთი თეზისის რუსული თარგმანებით (დაახლოებით 20-25 თეზისია თარგმნილი), რომელთაც ვხვდებით წიგნებში: Хрестоматия по всеобщей истории. ч.1, составил П.К. Ардашев, 1914; **С.П. Сингалевич.** 95 тезисов Мартина Лютера. Казань, 1915; **М. М. Смирин.** Народная реформация Томаса Мюнцера и Великая крестьянская война. М., 1955; მისივე, Германия эпохи Реформации и Великой крестьянской войны, М., 1962.

[3] Martin Luthers Werke. Kritische Gesamtausgabe (Weimar: Herman Böhlau), 1883, 233-238; აქვე (532-ე გვერდიდან) თეზისების ლუთერისეული „განმარტებები“, Resolutiones სახელწოდებით (1518 წლის აპრილი), რომლებსაც ვიყენებთ შენიშვნებში.

[4] **Fausel H. D.** Martin Luther. Stuttgart, 1955, 73-84; ფაუზელისეული თარგმანი (გერმანული ტექსტი) შევიტანეთ წინამდებარე გამოცემაში.

[5] **Ludolphy I.** Die 95 Thesen Martin Luther. Berlin, 1967.

# მარტინ ლუთერი და მისი „95 თეზისი“

## 1. ბიოგრაფიული შტრიხები

მარტინ ლუთერი იმ დროის ისტორიულ მოღვაწეთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებმაც ცხოვრებაში გამოიწვიეს უდიდესი პროგრესული გადატრიალება, რაც კი მანამდე კაცობრიობას განუცდია. XVI საუკუნის რეფორმაციული მოძრაობა გერმანიაში სწორედ პროგრესული გადატრიალება იყო და იგი ლუთერის სახელს უკავშირდება.

ლუთერი არა მარტო დიდი რელიგიური რეფორმატორი იყო; მან გაწმინდა გერმანული ენა და შექმნა თანამედროვე გერმანული პროზაც, შეთხზა გამარჯვების რწმენით სავსე ქორალის ტექსტი და მელოდია, რომელიც XVI საუკუნის მარსელიოზად იქცა.

ლუთერი უაღრესად ნაყოფიერი და მრავალმხრივი ავტორიც იყო, რითაც იგი აღორძინების ეპოქის დიდ მოღვაწეებს ჰგავს. მთარგმნელობით საქმიანობასთან ერთად იგი წერდა პოლემიკურ ბროშურებს, ეკონომიკური, პოლიტიკური და პედაგოგიკური ხასიათის თხზულებებს, ქადაგებებს, წერილებს, ქორალს და ა.შ. ლუთერის თხზულებათა სრულმა კრებულმა, რომელიც გამოიცა XIX საუკუნეში, 90 ტომი შეადგინა. მასში შევიდა ბიბლიის მისეული თარგმანი, აგრეთვე, ლუთერის ე.წ. „სუფრული საუბრები“, რომლებიც შეკრიბეს და გამოსცეს მისმა მოწაფეებმა და მეგობრებმა.

ლუთერის სახელი უაღრესად პოპულარულია გერმანიაში. შემთხვევითი არ არის, რომ ქალაქი ვიტენბერგი დღეს მის სახელს ატარებს. ოფიციალურად მას ლუთერშტადტი-ვიტენბერგი ეწოდება. აქ, და საერთოდ მთელ გერმანიაში, დიდი მოკრძალებით ეკიდებიან ლუთერის სახელთან დაკავშირებულ ყველა სახლსა და ნივთს. ე.წ. Lutherhaus-ში კი 1883 წლიდან არსებობს რეფორმაციის მუზეუმი.

ლუთერის პოპულარობა, მისადმი პატივისცემა და სიყვარული, როგორც ვთქვით, უფრო რელიეფურად გამოიკვეთა მისი დაბადების მე-500 წლისთავთან დაკავშირებით, რომელიც ფართოდ აღნიშნა გერმანელმა ხალხმა. რა თქმა უნდა, ლუთერის პოპულარობა მარტო გერ-

მანიით არ ამოიწურება. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ მასზე იწერება მრავალი წიგნი სხვადასხვა ქვეყანაში. ამ მხრივ მან დაჩრდილა თავისი თანამედროვე ცნობილი ადამიანების უმრავლესობა. გერმანელი ბიბლიოგრაფის კარლ შოტენლოერის მონაცემებით, XVI საუკუნიდან მოყოლებული, ვიდრე 1960 წლამდე, ლუთერის შესახებ დაწერილია 4900 ნაშრომი. ამერიკელი მკვლევრის ვილჰელმ პაუკის აზრით (იგი 1967 წელს გამოთქვა, როცა აღინიშნა რეფორმაციის 450 წლის თავი), უკანასკნელი 50 წლის მანძილზე ლუთერზე ბევრად უფრო მეტი წიგნი დაიწერა, ვიდრე იესო ქრისტეს შესახებ. ბუნებრივია, მომდევნო წლებში, განსაკუთრებით კი მისი დაბადების მე-500 წლისთავის წინასაიუბილეო მზადების პერიოდში, მისადმი მიძღვნილი წიგნების რიცხვი ბევრად გაიზრდებოდა.

გამოჩენილი გერმანელი რეფორმატორი დაიბადა 1483 წლის 10 ნოემბერს აისლებენში, მაშინდელი მანსფელდის საგრაფოს (ახლანდელი საქსონიის) მთავარ ქალაქში, ღარიბი მაღაროელის ოჯახში. მალე მისი მამა ქალაქ მანსფელდში გადასახლდა, სადაც საწარმო შეიძინა და შეძლებული ბიურგერი გახდა.

მშობლები: მამა – ჰანსი და დედა – მარგარიტა გლეხური წარმოშობისანი იყვნენ. ამას არც ლუთერი[6] მალავდა, პირიქით, სიამაყით აღნიშნავდა, რომ „მისი მამა, პაპა და პაპის პაპა ჭეშმარიტი გლეხები იყვნენ". ლუთერი არც იმას მალავდა, რომ მისი მშობლები უაღრესად ღვთისმოსავნი და ძალზე მკაცრები იყვნენ, მას ხშირად მოხვედრია მამისა და დედის „მძიმე ხელი", რამაც, – როგორც თვითონ იგონებს, – თავისებური დაღი დაასვა მის ხასიათს – ბავშვობაში საოცრად „გაუბედავი" იყო. ამან გარკვეულად ხელი შეუწყო მის შემდგომ ნაბიჯს – აღკვეცილიყო ბერად: „ჩემი მშობლები იმდენად მკაცრად მზრდიდნენ, რომ შიშს მინერგავდნენ. მხოლოდ ერთი კაკლისათვის, რომელსაც როგორღაც დავხარბდი, დედამ წკეპლით დამასისხლიანა. ასეთი მოპყრობით, საბოლოო ჯამში, მათ მიბიძგეს ეკლესიისაკენ,

[6] აღსანიშნავია, რომ რეფორმატორმა გვარი ლუთერი მოგვიანებით მიიღო, თავდაპირველად იგი ატარებდა ლიუდერის (Luder, Luider) გვარს, რომელიც გავრცელებული ყოფილა აიზენახის მიდამოებში. ერფურტის უნივერსიტეტის სტუდენტთა სიაში (1501 წელს) იგი ირიცხებოდა როგორც „მარტინიუს ლიუდერი".

თუმცა გულწრფელად სჯეროდათ, რომ კარგს მიკეთებდნენ", – ამბობდა ლუთერი თავის ერთ-ერთ „სუფრულ საუბარში" (1537 წელი.). სიმკაცრე ლუთერს არც სწავლების პერიოდში დაჰკლებია: ერთხელ, ნაშუადღევს, – როგორც თვითონ იგონებს, – იგი 15-ჯერ გაწკეპლეს სკოლაში. სწავლების ამ მეთოდს ლუთერი მკაცრად გმობდა.

მარტინ ლუთერმა პირველდაწყებითი განათლება მანსფელდის, მაგდებურგისა და აიზენახის სკოლებში მიიღო. 1501 წელს იგი შედის ერფურტის უნივერსიტეტში, სადაც ლუთერმა იმთავითვე გამოიჩინა თავი. სტუდენტებს შორის მან სახელი გაითქვა როგორც სწორუპოვარმა პოლემისტმა, ამიტომაც „ფილოსოფოსის" მეტსახელიც მიიღო, ხოლო 1502 წლის სექტემბერში მას „თავისუფალი ხელოვნების" ბაკალავრის ხარისხი მიენიჭა.

ლუთერი თავის თავს არც შემდეგში აძლევს დასვენების უფლებას. იგი კითხულობს არისტოტელეს ნატურფილოსოფიურ, მეტაფიზიკურ და მორალურ-ფსიქოლოგიურ შრომებს, გულდასმით სწავლობს ევკლიდეს გეომეტრიას, იოჰან დე მურისის არითმეტიკასა და მუსიკას, პტოლემეს ასტრონომიას, კითხულობს ოკამის, სკოტის, თომა აკვინელის თხზულებებს. ლუთერი ეცნობა რომაელი პოეტებისა და მორალისტების – ციცერონის, ოვიდიუსის, ვირგილიუსის, ლივიუსის, ჰორაციუსის თხზულებებსაც, მაგრამ არა მარტო ენის, სტილის გამომუშავებისათვის, როგორც ამას ჰუმანისტები აკეთებდნენ, არამედ იმისათვის, რათა ჩასწვდეს მათ შინაგან არსს, შეითვისოს ყველაფერი, რაც სასარგებლოა და ცხოვრებაში გამოსადეგი.

ლუთერი სანიმუშო ყოფაქცევითაც გამოირჩევა. იგი არ აცდენს არც ერთ ლექციას და გულისყურით ისმენს პროფესორთა დარიგებებს, მუშაობს ბიბლიოთეკაში, მონაწილეობს დისპუტებში, რომლებიც ხშირად იმართება უნივერსიტეტში.

ლუთერი უნივერსიტეტში შესვლისთანავე დაუახლოვდა ჰუმანისტთა წრეს, რომელსაც ხელმძღვანელობდა მუციანუს რუფუსი, მისი ახლო მეგობარი იყო ამ წრის ერთ-ერთი წევრი კროტ რუბიანი, რომლის გავლენასაც ძლიერ განიცდიდა იგი.

უნივერსიტეტი ლუთერმა „თავისუფალი ხელოვნების" მაგისტრის ხარისხით 1505 წელს დაამთავრა. ახალგაზრდა მაგისტრი იურიდიული განათლების მიღებასაც ფიქრობდა. ეს მამის – ჰანსის, სურვილიც იყო.

მამა ოცნებობდა, რომ შვილი სამართლის დოქტორი გამხდარიყო, რაც მას ოდესმე ბურგომისტრის თანამდებობის, ან კიდევ (ყოფილა ასეთი შემთხვევები) აზნაურის ტიტულის მოპოვებაში დაეხმარებოდა. ამ რწმენით და მტკიცე გადაწყვეტილებით ჰანსი შვილს საჩუქრად იუსტინიანეს „სამოქალაქო სამართლის კოდექსს" უგზავნის და თანაც წერილში წერს, რომ შვილისათვის ღირსეულ საცოლეს არჩევს.

ერთხანს ლუთერი განაგრძობს სწავლას ერფურტის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ, მოულოდნელად, მან უარი თქვა თავის განზრახვაზე — იურიდიული განათლების მიღებაზე — და ბერად აღიკვეცა. ლუთერს ამ გადაწყვეტილების მიღებაში შემდეგმა გარემოებამაც შეუწყო ხელი: 1505 წლის 2 ივლისს მშობლების მოსანახულებლად ლუთერი მანსფელდისაკენ გაემგზავრა, გზად მას წვიმა და ჭექა-ქუხილი შეესწრო და ხეს შეაფარა თავი. სულ ახლოს მეხიც დაეცა, რომლის ტალღამ იგი მიწაზე დასცა. მას გაახსენდა, რომ რამდენიმე ხნის წინ ანალოგიურ მდგომარეობაში მისი მეგობარი მეხმა მოკლა. ლუთერი, — როგორც შემდეგში თვითონ იგონებდა, — მოულოდნელი სიკვდილის შიშმა შეიპყრო, თან აეჭვებდა მოხვდებოდა თუ არა სამოთხეში. ჩანს, აქ გარკვეული როლი შეასრულა ღვთისმოშიში მშობლების გავლენამ, რომელიც, როგორც ვთქვით, ბავშვობიდან გამოჰყვა მას. ლუთერმა აღთქმა დადო გადარჩენის შემთხვევაში, ღვთის სამსახურში შესულიყო. ასეც მოიქცა — მანსფელდში წასვლის მაგივრად იგი ერფურტში დაბრუნდა და ავგუსტინელთა მონასტერში ბერად აღიკვეცა.

ლუთერის ამ ნაბიჯს რუსი ფილოსოფოსი ერიხ სოლოვიევი აპოკალიპსური განწყობითაც — „ქვეყნიერების დასასრულის" მოახლოების შიშითაც — ხსნის, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო XV-XVI საუკუნეების გერმანიის ფართო მასების შეგნებისათვის.

„აპოკალიპსური განწყობა, — წერს ე. სოლოვიევი, — განპირობებული იყო მრავალი გარემოებით: ხშირი ეპიდემიებით, გამუდმებული ფეოდალური შინაომებით, თურქეთის მხრიდან თავდასხმების შიშით". „ამასთან, — განაგრძობს ე. სოლოვიევი, — გერმანული საზოგადოების ზედაფენაში ბატონობდა ვერაგობა და ცინიზმი, გაუტანლობა; იყიდებოდა თანამდებობანი, უმოწყალოდ ითრგუნებოდა ქვეყნისა და ხალხის ინტერესები; ქრთამი კანცელარიებსა და სასამართლოებში ჩვეულებრივი

მოვლენა გახდა, ფართოდ გავრცელდა ლოთობა და ძვლის თამაში".

ცხადია, საზოგადოების ზედაფენის ამგვარი „ზნეობრივი დაცემა" ფართო მასების სასოწარკვეთილებას იწვევდა, უკარგავდა იმედს მომავლისადმი, რწმენას ამქვეყნიური ცხოვრებისადმი. გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც ლუთერი იქნებოდა. ისიც თავის სულის გადარჩენაზე იწყებს ფიქრს.

ლუთერის ბერად აღკვეცამ მამის აღშფოთება გამოიწვია. ვერ ვიტყვით, რომ შვილის წინააღმდეგ მის გამოსვლას საფუძვლად ანტიკლერიკალური მისწრაფება ედო, მას მხოლოდ ცხოვრებისეული ინტერესები ამოძრავებდა. ჯერ ერთი, ლუთერის არჩევანი აქარწყლებდა მამის ოცნებას შვილის — ბურგომისტრობასა და აზნაურობაზე. მეორეც, ცელიბატი (უცოლობის აღთქმა) გამორიცხავდა, რომ ჰანსის გვარი მისი ყველაზე ნიჭიერი შვილის მხრიდან გაგრძელებულიყო. მესამეც, მონასტრები XVI საუკუნის დასაწყისში ცუდი რეპუტაციით სარგებლობდა (მიჩნეული იყო სიზარმაცის, ანგარებისა და გარყვნილების კერად), რაც საკმარისი იყო იმისათვის, რომ მკაცრი და მტკიცე ჰანსი დამუქრებოდა ლუთერს, რომ ხელს იღებდა მის მამობაზე. .

სულ მალე მდგომარეობა შეიცვალა. 1505 წლის ზაფხულში შავმა ჭირმა იმსხვერპლა მარტინ ლუთერის ორი უმცროსი ძმა, რის გამოც ჰანსი და მისი ნათესავები შეურიგდნენ ლუთერის ბერად აღკვეცას.

მონასტერში მყოფი ლუთერი, რომელსაც აწვალებს ფიქრი, რომ ის ცოდვილია, განუწყვეტლივ მარხულობს, ლოცულობს, ღამეებს თეთრად ათენებს და თვითგვემას ეწევა. თავის ამ საქციელს ლუთერი იმით ამართლებს, რომ იგი იყო ბერი და „ჯერ კიდევ იმ ზომამდე პაპისტი", რომ „ან მე უნდა მომეკლა ან არ შემცოდებოდა იმ პირის დასჯა, ვინც უარყოფდა პაპისადმი მორჩილებას". ეს არ ჰგავდა ეკისა და მის მსგავსთა საქციელს, რომლებიც „პაპისადმი მორჩილებას უფრო თავის მუცლის გამო მოითხოვდნენ, ვიდრე რწმენით ამ საგნისადმი".

ლუთერს გამუდმებით აწვალებს კითხვა — რა არის საჭირო, რათა მოიპოვოს ღმერთის მოწყალება. ამ მიზნით იგი კითხულობს მონასტერში არსებულ წიგნებს, ბიბლიასა და საეკლესიო მამების თხზულებებს. მას განსაკუთრებით იტაცებს ნეტარი ავგუსტინე, რომელიც ცხონებას მხოლოდ რწმენის მეშვეობით ქადაგებს. ასეთივე აზრს იგი

პოულობს მისტიკოსებთან, სუზოსთან, ეკარტთან, აგრეთვე XIV საუკუნის გერმანელი მისტიკოსების თხზულებებში, „გერმანულ თეოლოგიასა“ (ავტორი არ არის ცნობილი) და ტაულერის ქადაგებებში, რომლებიც რელიგიას განიხილავდნენ როგორც მორწმუნე სულის შინაგან აქტს. 1507 წლის 2 მაისს, იმავე მონასტერში, ლუთერი მღვდლად ეკურთხა.

ლუთერის შემდგომ მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იოჰან შტაუპიტცმა, რომელიც ავგუსტინელთა ორდენის გენერალური ვიკარიუსი იყო. ამ უკანასკნელის რეკომენდაციით საქსონიის კურფიუსტმა, ფრიდრიხ ბრძენმა, ლუთერი ახლად გახსნილი ვიტენბერგის უნივერსიტეტის (დაარსდა 1502 წელს) ფილოსოფიის კათედრაზე მიიწვია, თუმცა მოგვიანებით, გახდა რა ღვთისმეტყველების დოქტორი, იგი ღვთისმეტყველების კათედრაზე გადავიდა. თავდაპირველად ლუთერი ლექციას არისტოტელეს დიალექტიკასა და ფიზიკაზე კითხულობდა. ერთდროულად იგი სტუდენტიც იყო. ვიტენბერგის უნივერსიტეტში ის ისმენდა შტაუპიტცის ლექციებს და ემზადებოდა გამოცდებისათვის, რათა მიეღო ღვთისმეტყველების ბაკალავრის ხარისხი. ეს ხარისხი მას 1509 წლის 9 მარტს მიენიჭა.

1510 წელს ასრულდა ლუთერის დიდი ხნის სურვილი: ორდენის საქმეების თაობაზე, თუ მის მიერ მიცემული აღთქმის გამო, ის რომში გაემგზავრა. ქალაქს, პირველად რომ იხილა, როგორც ამას თვითონ იგონებს, მუხლმოყრილმა შეჰღაღადა: „მოგესალმები შენ, წმინდა ქალაქო, სამგზის განწმენდილო აქ წამებულთა დანთხეული სისხლით!“ – ასეთი შთაგონებით ჩავიდა ლუთერი რომს, მაგრამ, სამწუხაროდ, მას სასტიკი გაწბილება ელოდა: წმინდა და რწმენის ქალაქში იხილა თვალთმაქცობა ფარისეველთა, საოცარი გულგრილობა სარწმუნოებისადმი, მღვდლების პრანჭვა-გრეხა, გარეგანი ნიშნები ყალბი სათნოებისა, უადგილო ოხვრა და გულში ხელის ბრაგუნი, მანჭიაობა, გარყვნილება და სიხარბე. „რომი წმინდა ქალაქი იყო, გახდა კი ყველაზე ცუდი... მე ზიზღს ვგრძნობდი, როცა იქაური მღვდლები ლუღლუღებდნენ წირვას, თითქოსდა სასაცილო რამეს აკეთებდნენ... რომი, რაც უფრო ახლოს არის, მით უფრო უარესია ქრისტიანებისათვის“, – წერდა იგი შემდეგში.

ვერ ვიტყვით, რომ იტალიიდან დაბრუნების შემდეგ (ეს მოხდა 1511 წლის მაისში) ლუთერი ერთბაშად გარდაიქმნა. არა, იგი ჯერ კიდევ

ღრმად მორწმუნე კათოლიკეა, რომლისთვის, როგორც გერმანელისათვის, უცხოა იტალიური მანკიერებანი. სამშობლოში იგი აგრძელებს მეცადინეობას ღვთისმეტყველებაში, შეუდგა ბერძნული და ებრაული ენების შესწავლას. სულ მალე (1512 წლის 19 ოქტომბერს) ვიტენბერგის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის დეკანატმა, რომელსაც სათავეში ედგა პროფესორი ანდრეას კარლშტადტი, ლუთერს ღვთისმეტყველების დოქტორის ხარისხი მიანიჭა ბიბლიის განმარტების უფლებით, რითაც დასაბამი მიეცა მის ურთიერთობას ხალხთან. 1515 წლიდან ლუთერს ვიტენბერგის ეკლესიის მღვდლის მოვალეობაც დაეკისრა და ორივე სარბიელზე უზარმაზარი წარმატება ჰქონდა. მის ლექციასა თუ ქადაგებას ყოველთვის უამრავი ხალხი ესწრებოდა. მსმენელებზე იგი ზემოქმედებას ახდენდა არა იმდენად ორატორული ხელოვნებით ან კიდევ ახალი მოძღვრებით, რამდენადაც თავისი გულწრფელობითა და სითბოთი, რომლის წყალობით თითოეული მისი სიტყვა ატყვევებდა მსმენელთ.

ლუთერის წარმატებაში გარკვეულ როლს, ალბათ, ისიც ასრულებდა, რომ ის სხვადასხვაგვარად უდგებოდა მქადაგებლისა და ლექტორის საქმეს. როგორც მქადაგებელი, ეკლესიის მრევლის წინაშე რომ გამოდიოდა, ლუთერი ცდილობდა ყოფილიყო სერიოზული და გულითადი, განცდილი ელაპარაკა გულმხურვალედ — უბრალოდ, გასაგებად და ბუნებრივად. „საჭიროა ვიქადაგოთ ისე, — ამბობდა იგი, — როგორც დედა ძუძუს აწოვებს ბავშვს“.[7] მაგრამ, როცა უნივერსიტეტის კათედრაზე ადიოდა, იგი ხდებოდა მამიებელი ლექტორი; მას მშვენივრად ესმოდა, რომ სტუდენტისათვის უფრო მნიშვნელოვანია არა მზამზარეული შედეგი, არამედ თვითონ კვლევა-ძიება. მისი ლექციაც რთული და ანალიტიკური იყო. იგი თავის თავს ვარაუდის, დაშვებისა და თვით ეჭვის გამოთქმის ნებასაც აძლევდა, ამასთან, ლუთერი კიდევაც ხუმრობდა და იუმორის ნიჭს ამჟღავნებდა. ერთი სიტყვით, ის ერთნაირად იყენებდა „გონებასა და გულზე“ ზემოქმედების მეთოდს[8].

ლუთერის წარმატებას დიდად განაპირობებდა ფენომენალური მეხსიერებაც. ამ მხრივ იგი არაფრით ჩამორჩებოდა მაშინდელი ერუდიციის

[7] Соловьев Э. Непобежденный еретик. Мартин Лютер и его время. М., 1984, с.68.
[8] იქვე, გვ. 69.

ფენომენს — ერაზმს. ლუთერს თითქმის მთელი ბიბლია და წაკითხული წიგნების უმრავლესობა ზეპირად ახსოვდა, ხელახლა გადაკითხვა მას არ სჭირდებოდა, ამასთან, საოცრად შრომისმოყვარე იყო. მას მშვენივრად ესმოდა, რომ წარმატების მოპოვება მხოლოდ მეხსიერებით, ყოველდღიური შრომის გარეშე, შეუძლებელი იყო. იგი 15 წელი სწავლობდა ნეტარი ავგუსტინესა და სხვა საეკლესიო მამების თხზულებებს, ბიბლიას, რათა ღრმად ჩასწვდომოდა ტექსტის არსს. მას შემდეგ, რაც დარწმუნდა, რომ ბიბლიის ღრმად შესასწავლად მხოლოდ ლათინური ტექსტის ცოდნა არ იყო საკმარისი, ამიტომ ბიბლიის ორიგინალში გაცნობის მიზნით, იგი ებრაულ და ბერძნულ ენებსაც ეუფლება. მეტიც, მისი ინიციატივით არტისტულ (არსებითად მოსამზადებელი განყოფილება, სადაც 13-14 წლის ბავშვებს ასწავლიდნენ შვიდ თავისუფალ ხელოვნებას) და თეოლოგიის ფაკულტეტებზე იხსნება ბერძნული და ძველებრაული ენების კათედრები, რათა ამ ენებს სტუდენტებიც დაუფლებოდნენ.

ლუთერის შრომისმოყვარეობა ლექციების კითხვასა და ქადაგებებშიც ვლინდება: ყოველკვირეულად იგი ორ-სამ ლექციას კითხულობდა და ერთ სემინარს ატარებდა, ხოლო ქადაგებით წელიწადში დაახლოებით 170-ჯერ გამოდიოდა. გარდა ამისა, თავის მონასტერში ის ყოველდღიურად ერთ საათს ამეორებინებდა გაკვეთილებს იმ მსმენელებს, რომლებიც უნივერსიტეტში შესასვლელად ემზადებოდნენ. სხვათა შორის, რეპეტიტორობას ერაზმ როტერდამელიც ეწეოდა. ამ უკანასკნელმა ბავშვებს სპეციალური სახელმძღვანელოც კი შეუქმნა.

ლუთერის ნიჭიერების, შრომისმოყვარეობისა და, საერთოდ, მისი პიროვნული თვისებების შესახებ არაერთი საინტერესო ცნობა დაგვიტოვეს რეფორმატორის თანამედროვე ცნობილმა ადამიანებმა. ერთ-ერთი მათგანია ლაიფციგის დისპუტის მონაწილე, ჰუმანისტი და პროფესორი მოზელანი, რომელიც წერდა: „მარტინ ლუთერი არის საშუალო სიმაღლის ადამიანი, ფიქრითა და შრომით იმ ზომამდე დასუსტებული, რომ მის გამხდარ სხეულზე ყველა ძვლის დათვლა შეიძლება, თუმცა სრულიად საღი და მოწიფულობის ასაკის ძალისაა; ხმა მჟღერი და ხმამაღალი აქვს. ის დასრულებული სწავლულია, სრულყოფილად იცის საღვთო წერილი, რომელიც თითქმის ზეპირად ახსოვს. ბერძნული და ებრაული

გაეგება იმდენად, რომ შეუძლია იმსჯელოს განმარტების ღირსებაზე. იგი ფაქტობრივი ცნობების უზარმაზარ მარაგს ფლობს და მისი სიტყვაც თავისუფლად მოედინება. ადამიანებთან ურთიერთობაში იგი თავაზიანი და გულღიაა, თავისუფალი ყოველგვარი სიმკაცრისა და მედიდურობისაგან, ადვილად ეგუება ადამიანების სახეებსა და გარემოს. საზოგადოებაში მხიარულია, ხუმრობის მოყვარული და გონებამახვილი. ყოველთვის ნათელი სახე აქვს, მაშინაც კი, როცა ემუქრებიან მოწინააღმდეგენი. ძნელია დაიჯერო, რომ მას ღვთის კურთხევის გარეშე ხელი მოეკიდებინოს ასეთი საოცარი საქმისათვის, მხოლოდ ერთადერთი ნაკლი აქვს, სახელდობრ, პოლემიკაში ვერ იცავს ზომიერებას და უფრო მეტ გესლს ამჟღავნებს, ვიდრე ეს თეოლოგსა და რწმენის მოძღვარს ეკადრება". ლუთერს ასევე მაღალ შეფასებას აძლევდა გეორგ სპალატინი, რომელიც მუციანუს რუფუსის ჰუმანისტური წრის მონაწილე იყო. იგი ჯერ კიდევ 1513 წლის დასასრულს ამბობდა: „ლუთერი – განსაკუთრებული ადამიანი და მეცნიერია, რომლის მსჯელობა და აზრები არ შეიძლება არ დააფასო".

დაფასება და სიყვარული, რომელიც ჰქონდა ლუთერს თავის მრევლში, უნივერსიტეტის სტუდენტებსა და კოლეგებში, აგრეთვე მისი მფარველი კურფიურსტის კარისკაცებში, შეუძლებელია მოეპოვებინა მას მხოლოდ იმ თვისებების გამო, რომელზედაც უკვე გვქონდა საუბარი. გასათვალისწინებელია ის მოქალაქეობრივი გამბედაობაც, რომელიც ლუთერმა იმთავითვე გამოიჩინა. მან ჯერ კიდევ 1513-1516 წლებში აღიმაღლა ხმა სქოლასტიკური ფილოსოფიის წინააღმდეგ. თავის „საკითხავებში", ლექციების კურსში, რომლებიც ამ წლებშია შექმნილი, ლუთერმა დასაბამი დაუდო რწმენით გამართლების თეორიას, იგი ვერ შეურიგდა იმას, რომ „ქრისტიანული ჭეშმარიტება" მტკიცდებოდა არა საღვთო წერილზე დაყრდნობით, არამედ „წარმართი" არისტოტელეს მოძღვრებით, ე.ი. თომისტური სქოლასტიკით. ამ საკითხებზე ჩვენ საუბარი გვაქვს წიგნში „მარტინ ლუთერის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი" (თბ., 1993), ამიტომაც აქ ვრცლად არ შევეხებით, მხოლოდ იმას დავძენთ, რომ თავისი მოღვაწეობის ამ პერიოდში ლუთერს სახარების ტექსტში იზიდავდა ზნეობრივი (მორალური) მოძღვრება, რჩევა და დარიგება, თუ როგორ მოქცეულიყო ქრისტიანი ამქვეყნიურ ცხ-

ოვრებაში. ყოველივე ეს კი, – ე. სოლოვიევის სამართლიანი თქმით, – ლუთერს აერთიანებს აღორძინების ეპოქის გამოჩენილ რელიგიურ მოაზროვნეებთან – ლორენცო ვალასა და პიკო დელა მირანდოლასთან, აგრეთვე ერაზმ როტერდამელთან[9]. ამ უკანასკნელის მსგავსად, ლუთერიც საღვთო წერილის მთელ აზრს ქრისტიანულ მორალში ხედავდა. ამასთან, ლუთერს ახალ აღთქმაში განსაკუთრებით ის ნაწილი (მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ 1,16-17) იზიდავდა, სადაც საუბარია რწმენის მნიშვნელობაზე და სახარება განიხილება როგორც მორწმუნე ადამიანთა მხსნელი ძალა.

რამდენად პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, 1516 წლის „საკითხავებში" ლუთერი ხაკმაოდ მკაცრად მსჯელობს ეკლესიის მდგომარეობის შესახებ. „რომის კურია, – წერს იგი, – ეს ყოველგვარი წარმოსადგენი გარყვნილების, ქეიფების, თაღლითობის, ამბიციისა და სულმდაბალი ავკაცობის შესაზარი აღრევაა. რომი ისევე თავაწყვეტილად იქცევა, როგორც ცეზარების ხანაში". ამ დროს მას ასეთი მტანჯველი კითხვებიც ეუფლება: ეკლესია, „ღვთის ქალაქი", რატომ ემსგავსება ტიბერიუსისა და ნერონის დროინდელ უიმედო იმპერიას? რა არის მისი ქვეყნის, გერმანიის, მაღალი სასულიერო თანამდებობის პირთა რომის პაპისადმი ასეთი მონური მორჩილების მიზეზი? ის ხომ არა, რომ ამ პირთა დიდ უმრავლესობას ეს თანამდებობა ნაყიდი აქვს, მიღებული აქვს არა ნიჭის წყალობით, არამედ თანამოძმეებზე ჯაშუშობისა და მაბეზღრობისათვის?

აქვე ვიტყვით, სქოლასტიკისა და ეკლესიის კრიტიკაში ლუთერი მარტო არ ყოფილა – უფრო ადრე მათ თავს ესხმოდნენ და დასცინოდნენ გერმანელი ჰუმანისტებიც, სახელდობრ, „ბნელი ადამიანების წერილების" ავტორები და თვით ერაზმ როტერდამელი, თუმცა მათი კრიტიკის მეთოდს ლუთერი არ იზიარებდა, თვლიდა, რომ დაცინვასა და გინებას, თუ არაფერი ითქვა ქრისტეს მოძღვრებაზე, ამ მოძღვრების პაპისეულ უგულებელყოფაზე, სასურველი შედეგი არ მოაქვს. „როცა კითხულობ ერაზმის თხზულებას ქრისტიანული ეკლესიის წამხდრობის შესახებ, – ჩიოდა ლუთერი, – არ შეიძლება არ იცინო, პირიქით კი უნდა იყოს, უნდა გვეტირებოდეს". ამდაგვარ აზრთა სხვადასხვაობის

---

[9] **Соловьев Э.**, დასხ. ნაშრ., გვ. 75.

მიუხედავად, ლუთერი თავისი მოღვაწეობის ამ პერიოდში საკმაოდ განიცდის გერმანელი ჰუმანისტების, განსაკუთრებით ერაზმ როტერდამელის, ღვთისმეტყველური იდეების გავლენას. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ სწორედ გერმანელმა ჰუმანისტებმა შეამზადეს ერთგვარად ნიადაგი ლუთერის რეფორმაციისათვის. კელნელი თეოლოგები (როგორც ერაზმის, ისე ლუთერის მოწინააღმდეგენი) არცთუ ისე უსაფუძვლოდ ამბობდნენ: „ერაზმმა დადო კვერცხი, ლუთერმა კი გამოჩეკა“. მეტად ფრთხილი ერაზმი ცვინგლისადმი წერილში თვითონაც შენიშნავს: „მე მგონია, თითქმის ყველაფერ იმას ვასწავლიდი, რასაც ასწავლის ლუთერი, მხოლოდ ასე გაცხარებით არა“.

ლუთერის თავდაპირველი გამოსვლა, მისი ქადაგებანი და ლექციები სქოლასტიკის წინააღმდეგ, ნაკლებ საშიში იყო ეკლესიისათვის. შეიძლება მისთვის არც რწმენით გამართლების იდეის ქადაგებას (აკი მას ლუთერამდეც ქადაგებდნენ) მოეტანა დიდი სახელი, გაეხადა რეფორმატორი, საეკლესიო პრაქტიკაში ერთი შეხედვით მეტად უმნიშვნელო საკითხი რომ არა – საქმე ეხებოდა ინდულგენციას. სწორედ ინდულგენციებით ვაჭრობის წინააღმდეგ გალაშქრებამ („95 თეზისით“) მოუტანა მას საყოველთაო აღიარება[10], აქედან დაიწყო მისი, როგორც რეფორმატორის, აღმავალი სვლაც.

ინდულგენციებით ვაჭრობის ისტორიასა და „95 თეზისზე“ ჩვენ ცალკე ვისაუბრებთ, აქ იმას აღვნიშნავთ, რომ თეზისებში, რომელმაც მთელი გერმანელი ერი აამოძრავა, თავდაპირველად საერთო, ზოგადი გამოხმაურება პოვა სხვადასხვა ოპოზიციური ელემენტების მისწრაფებებმა, ყველა ეს ელემენტი გასაოცარი სისწრაფით შეჯგუფდა ლუთერის გარშემო. და როცა იგრძნო საზოგადოების მხარდაჭერა, მას მოეხ-

---

[10] ლუთერის პოპულარობამ, ბუნებრივია, ვიტენბერგის უნივერსიტეტსაც გაუთქვა სახელი, რომელმაც სულ მალე ევროპული მნიშვნელობა შეიძინა, ამასთან, იმატა სტუდენტების ოდენობამაც, რითაც ცნობილ ლაიფციგის უნივერსიტეტს გადააჭარბა. ვიტენბერგში ზოგჯერ სტუდენტი მეტი იყო, ვიდრე ადგილობრივი მცხოვრები. აქ მოდიოდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან. XVI საუკუნეში ასეთი ანდაზაც შეთხზეს: „გართობა გინდა, შეგიძლია წახვიდე სადაც მოისურვებ, მაგრამ თუ გინდა სწავლა – წადი ვიტენბერგში“. სტუდენტებს აქეთკენ იზიდავდა, უპირველეს ყოვლისა, ის, რომ ვიტენბერგი იყო კათოლიციზმის კრიტიკის ცენტრი. ლუთერის ცხოვრების წლებში ვიტენბერგი წიგნის ბეჭდვის უმსხვილესი ცენტრიც გახდა. აქ გამოდიოდა ყოველი მეორე წიგნი, რაც, საერთოდ, გერმანიაში იბეჭდებოდა. მარტო ლუთერის თხზულებანი 450-ჯერ დაიბეჭდა.

სნა მერყეობა და უფრო გაბედული გახდა. ეს ყველაზე ნათლად გამოჩნდა ლაიფციგის დისპუტზე (1519 წელი), სადაც ლუთერმა ეკთან კამათში პირდაპირ განაცხადა, რომ ბევრ რამეში ეთანხმება დებულებებს, რომლებიც წამოაყენა ჩეხმა რეფორმატორმა იან ჰუსმა. აქვე ერთადერთ ავტორიტეტად მან საღვთო წერილი გამოაცხადა, რითაც საბოლოოდ გაეთიშა კათოლიკურ ეკლესიას. ეს იყო უაღრესად გაბედული ნაბიჯი, რომელმაც კიდევ უფრო აამაღლა ლუთერის ავტორიტეტი. მართალია, ზოგიერთი მისი მომხრე მთლიანად როდი იზიარებდა მის მოძღვრებას, მაგრამ იმას კი აღიარებდა, რომ ლუთერი ბიბლიის ღირსეული მსახური იყო. შვეიცარიელი რეფორმატორი ჰულდრაიხ (ულრიხ) ცვინგლი არ მალავდა, რომ „ლუთერი იყო პირველი, ვინც აღიმაღლა ხმა პაპობის წინააღმდეგ, მან შიში ჩამოაცილა იმათ, ვისაც „ანტიქრისტეს" (ე.ი. პაპის) ბატონობა ზიზღსა ჰგვრიდა, თუმცა არავინ ფიქრობდა, რომ თავს დასხმოდა მას"[11]. ოკალამპადიუსიც გამოუტყდა ლუთერს: „მე არ მიხარია, რომ გიპირისპირდები შენ, იმას, ვინც მიმაჩნია ბიბლიის ღირსეულ მსახურად და რომლის მეშვეობითაც ღმერთმა ბევრს აუხილა თვალი, რათა შეეცნოთ ჭეშმარიტების ნამდვილი გზა"[12]. ჭეშმარიტად, ლუთერის ბაგეებით თვით ღმერთი ლაპარაკობდა, ღმერთმა გამოგზავნა იგი ბიბლიის განახლებისა და შენარჩუნებისათვის, — ასე სწამდათ ლუთერის მომხრეებს. ასეთი რწმენის შთამბეჭდავი ნიმუშია ლუთერის დაკრძალვაზე მელანქთონის მიერ წარმოთქმული სიტყვაც, რომლის ფრაგმენტიც მოგვაქვს: „ძე ღმერთი, როგორც პავლე აღნიშნავს, მარჯვნივ უზის მამა ღმერთს და მადლს ანიჭებს ადამიანებს, სახელდობრ, ბიბლიისა და სულიწმიდის სახით. იმისათვის, რომ დააჯილდოოს ისინი, იგი (ე.ი. ქრისტე — გ.კ.) აღზრდის წინასწარმეტყველებს, მოციქულებს, მოძღვართ და პასტორებს და ჩვენს შორის ამოარჩევს იმათ, ვინც სწავლობს, ისმენს და ტკბება წინასწარმეტყველთა და მოციქულთა ნაწერებით"[13].

პატრიარქების, წინასწარმეტყველების, მოციქულებისა და ეკლესიის მოძღვართა ჩამოთვლის შემდეგ მელანქთონი ასკვნის:

---

[11] **Edwards Ir., Mark U.**, Luther and the False Brethren. Stanford, California, 1975, p. 203.

[12] იქვე.

[13] იქვე. გვ. 204.

„ამ არაჩვეულებრივ სიას, რომელშიც შედიან ყველაზე სახელმოხვეჭილი ადამიანები, ღმერთმა რომ აღზარდა, რათა გაეერთიანებინა და დაეარსებინა ეკლესია, და რომლებიც აღიარებულნი არიან ადამიანთა მოდგმის მთავარ სიამაყედ, უნდა დაემატოს მარტინ ლუთერის სახელიც. სოლონი, თემისტოკლე, სციპიონი, ავგუსტუსი და სხვები, რომლებმაც დააარსეს ან მართავდნენ დიდ იმპერიებს, მართლაც დიდი ადამიანები იყვნენ, მაგრამ ისინი ვერ გაუტოლდებიან ჩვენს წინამძღოლებს, ისაიას, იოანე ნათლისმცემელს, პავლეს, ავგუსტინესა და ლუთერს"[14].

ლაიფციგის დისპუტზე დაკავებულმა შეურიგებელმა პოზიციამ ლუთერს თვით ჰუმანისტებს შორისაც გაუჩინა მომხრეები. მართალია, თავდაპირველად ჰუმანისტები სკეპტიკურად მოეკიდნენ ლუთერის გამოსვლას, რადგან იგი რიგით ბერად ჩათვალეს, რომელმაც კინკლაობა იწყო ტეცელთან („ბერებს შორის ყოველთვის ყოფილა კინკლაობა, დაე, მათ ერთმანეთი დაუჭამიათ", – აცხადებდა ჰუტენი), მაგრამ სულ მალე, ლაიფციგის დისპუტის შემდეგ, ჰუმანისტები მიხვდნენ, რომ „ვიტენბერგელი ბერის პროტესტი" არ იყო ბერებს შორის უბრალო კინკლაობა, მას ეროვნული მნიშვნელობაც ჰქონდა, და ისინი ერთიმეორის მიყოლებით ლუთერის მხარეს გადავიდნენ.

ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც მალე გახდა რეფორმატორის თანამგზავრი, ლუთერის სიკვდილის შემდეგ კი – მისი საქმის გამგრძელებელი ფილიპ მელანქთონი იყო. თუმცა არსებობს რამდენადმე განსხვავებული მოსაზრებაც. მისი ავტორია გერმანელი ისტორიკოსი ლეო შტერნი. ამ მოსაზრების თანახმად ლუთერისა და მელანქთონის თანამშრომლობა რეფორმაციის საჭიროებით ნაკარნახევი „იძულებითი" კავშირი იყო. მეტიც, ჰუმანისტი მელანქთონი რომ არა, ლუთერი თავისი მოძღვრებისათვის ვერც მტკიცე „დოგმატურ-თეოლოგიური საფუძვლის შექმნას" შეძლებდა და ვერც ბიბლიის ზუსტად თარგმნას. ლ. შტერნი ამ მოსაზრებას მკვლევრებთან კამათისას გამოთქვამს, რომლებიც, მისი აზრით, ცდილობენ მელანქთონის დამცირებას ლუთერის სასარგებლოდ... მაგრამ ამ კამათში, ჩვენი აზრით, ლ. შტერნი თვითონ ვარდება უხერხულ მდგომარეობაში – ლუთერს ამცირებს მელანქთონის სასარგებლოდ. ჯერ ერთი, თუ გავიზიარებთ იმ აზრს, რომ ლუთერისა და მელანქთონის

---

[14] **Edwards Ir., Mark U.,** დასხ. ნაშრ., გვ. 205.

თანამშრომლობა რეფორმაციის საჭიროებით ნაკარნახევი „იძულებითი" კავშირი იყო, მაშინ, ბუნებრივია, დაგვებადება კითხვა: თუ არა ერთგულებამ, რამ შეუშალა ხელი მელანქთონს, ლუთერის გარდაცვალების შემდეგ მაინც, უარი ეთქვა ამ კავშირზე? მან ხომ 14 წელი კიდევ იცოცხლა. ვფიქრობთ, ასევე გაზვიადებული ჩანს ლ. შტერნის მეორე მოსაზრებაც — მელანქთონი რომ არა, ლუთერი ვერ შეძლებდა ვერც მტკიცე „დოგმატურ-თეოლოგიური საფუძვლის შექმნას" თავისი მოძღვრებისათვის და ვერც ბიბლიის ზუსტად თარგმნას. რა თქმა უნდა, მრავალმხრივ განათლებული მელანქთონის დახმარებას ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა ლუთერის მოძღვრების სისტემური გადმოცემისათვის, რისთვისაც გამოიყენა საკუთარი მოხდენილი სტილი, დახვეწილი ლათინური და სისტემატიზებული გონება[15]. მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გაკაფული გზის შელაძაზება გაკაფვაზე ბევრად ადვილია. ამ შემთხვევაში გამკაფავი და გზის მაჩვენებელი ლუთერი იყო. ამას თვითონ მელანქთონიც აღიარებდა: მას არასოდეს არ შორდება აზრი, რომ იგი ლუთერზე — „ამ ძლიერ პიროვნებაზე სუსტია" და რომ „ხშირადაც იძულებულია საკუთარი ნება დაუმორჩილოს მისას"[16]. საკუთარ თავზე მაღლა რომ აყენებდა ლუთერს, ეს მაშინაც ჩანს, როცა მელანქთონი ანაბაპტისტების ქადაგებათა სირთულეზე საუბრობს:. „ამაში, — წერს იგი, — არავის არ შეუძლია სწრაფად გაერკვეს, გარდა მარტინიუსისა"[17]. ამგვარად, როგორც ნათქვამიდან ჩანს, მელანქთონი, როცა რეფორმატორს ემხრობოდა, სავსებით შეგნებულად მოქმედებდა და საჭიროებით ნაკარნახევ „იძულებით" კავშირს ადგილი არ ჰქონია.

ლუთერის მოკავშირედ გამოაცხადა თავი ულრიხ ფონ ჰუტენმაც, რომელიც რაინდთა სამხედრო ძლიერების აღდგენაზე, ერთიანი გერმანიის შექმნასა და რომის პაპის გავლენისაგან მის განთავისუფლებაზე ოცნებობდა. ლუთერსაც გადაედო ეს პატრიოტული სულისკვეთება და გაბედულად ალაპარაკდა: „ჩემთვის წილი ნაყარია. მე მეზიზღება როგორც რომაელთა მძვინვარება, ისე მათი კეთილგანწყობილება, არ შემიძლია სამარადისოდ შევეგუო მათ, მქონდეს მათთან რაიმე საერთო. დაე, დაგ-

[15] Бэрд Ч. Реформация XVI века. СПБ., 1897, с. 86.
[16] Бецольд Фр., История Реформации в Германии. т. I, СПБ., 1900, с.61.
[17] Соловьев Э., დასახ. ნაშრ., გვ. 188.

მონ და დაწვან ჩემი წიგნები. სამაგიეროდ მე დავგმობ და სახალხოდ დავწვავ მთელ პაპისეულ სამართალს", – წერდა იგი სპალატინს 1520 წლის თებერვალში. ეს ის პერიოდია, როცა ლუთერის ღონიერმა გლეხურმა ბუნებამ შმაგად იჩინა თავი და იმპერატორსა და მთავრებს მოუწოდა ყოველნაირი იარაღით თავს დასხმოდნენ გარყვნილების მავნებელ მასწავლებლებს, პაპებს, კარდინალებს, ეპისკოპოსებსა და რომის სოდომის მთელ ხროვას. ლუთერი თვითონვე აღიარებდა, თუ რაოდენ კეთილმყოფელი გავლენა მოახდინეს მასზე ჰუტენმა და მისი პარტიის წარმომადგენლებმა, მათ შორის ზიკინგენმა. „მათ, – ამბობდა ლუთერი, – მიხსნეს მე ადამიანების წინაშე შიშისაგან. ამჟამად არაფრის არ მეშინია და სულ მალე გამოვცემ წიგნს გერმანულ ენაზე პაპის წინააღმდეგ, ქრისტიანული საზოგადოების გაუმჯობესების შესახებ".

ლუთერის დაპირები წიგნი-მიმართვა „გერმანელი ერის ქრისტიანი თავადაზნაურობისადმი", რომელიც ლეოპოლ ფონ რანკეს თქმით, მსოფლიო ისტორიული შინაარსის მატარებელია, მკითხველმა 1520 წლის აგვისტოში იხილა. იმავე წლის ბოლოს გამოვიდა რეფორმატორის ისეთი მნიშვნელოვანი თხზულებებიც, როგორებიცაა „ეკლესიის ბაბილონური ტყვეობის შესახებ" და „ქრისტიანის თავისუფლების შესახებ". ამ სამ თხზულებაში, ანუ ე. სოლოვიევის მოხდენილი თქმით, „რეფორმატორის ტრილოგიაში" დასმული იყო კათოლიკური საეკლესიო წყობილებისა და წეს-ჩვეულებების გარდაქმნის მოთხოვნა. ლუთერი, რა თქმა უნდა, იმის მომხრე როდი იყო, რომ საეკლესიო ღვთისმსახურებანი და წეს-ჩვეულებანი ერთიანად მოსპობილიყო, მაგრამ იმას კი ამტკიცებდა, რომ ისინი არავითარ როლს არ ასრულებდნენ ქრისტიანების ხსნის საქმეში. ეკლესიის შინაგანი ბუნება, მისი არსი, ლუთერის მოძღვრების თანახმად, მხოლოდ რწმენას შეეძლო განესაზღვრა. ამგვარად, ლუთერი უპირატესობას ანიჭებდა სულიერ, „უხილავ" ეკლესიას, უპირისპირებდა რა მას ხილულ ეკლესიას. ლუთერი ეჭვის ქვეშ აყენებდა თითქმის მთელ საეკლესიო ავტორიტეტს, გადაჭრით გამორიცხავდა არსებულ საეკლესიო იერარქიას, რომლის გარეშე წარმოუდგენელი იყო კათოლიკური ეკლესია. პაპობა, ეპისკოპოსობა, თეოლოგიის დოქტორები, სალხინებელი, წმინდანთა კულტი, საეკლესიო კრებათა დადგენილებანი, ხატები, ინდულგენცია, მესა, ბერული აღთქმანი, საიდუმ-

ლოებანი (შვიდი საიდუმლოებიდან მან მხოლოდ ორი დატოვა: ნათლობა და ზიარება), — ყველაფერი ეს, ლუთერის თანახმად, არ დასტურდება საღვთო წერილში და, მაშასადამე, თავის ღვთაებრივ წარმოშობასაც არ ამტკიცებს. ყველა ეს დაწესებულება, — ამტკიცებს ის, — წარმოადგენს „თესლს, რომელიც დათესილია ღვთის მინდორზე სატანის მიერ რომაული კერპის უმაღლესი ხელისუფლების შემწეობით". ლუთერის თვალთახედვით, თუ ეკლესია განთავისუფლდება ამ მძიმე ტვირთისაგან, ის გახდება ნეტარი, ხოლო ხალხი — თავისუფალი. ამგვარად, ლუთერი გამორიცხავდა ყველაფერს, რაც კათოლიკურ ეკლესიაში ისტორიულად დამკვიდრდა და არ შეესაბამებოდა სახარებას, რასაც რწმენისა და სულის ხსნის საქმეში არავითარი როლი არ ენიჭებოდა. ერთადერთი ავტორიტეტი, რომელსაც ცნობდა ლუთერი, იყო სახარება. იგი მიაჩნდა რწმენის წყაროდ, რომლიდანაც ის აზრი გამომდინარეობს, რომ მორწმუნის სულსა და ღმერთს შორის არ შეიძლება იყოს სხვა შუამავალი, გარდა იესო ქრისტესი, ამასთან, საჭიროა სიყვარული მოყვასისადმი.

ლუთერი ყოველგვარი შუასაუკუნეობრივი ასკეტიზმის წინააღმდეგაც ილაშქრებდა, გმობდა ცელიბატს, რომელიც ევროპაში XI საუკუნიდან მკვიდრდება და რომელიც ითვალისწინებდა კათოლიკური სამღვდელოების უქორწინობას: ლუთერს ქორწინება ღვთის ნების გამოვლინებად მიაჩნია, რომელსაც ადამიანებისათვის ზნეობრივი სიწმინდე უფრო მოაქვს, ვიდრე უზნეობა. აქედან გამომდინარე, იგი გმობს ათასგვარ შეზღუდვას, რომლებიც რომის პაპიდან თუ ეკლესიიდან მომდინარეობდა. ადამიანებს (თვით მღვდლებსაც) ლუთერი ქორწინებისა და გამრავლებისაკენ მოუწოდებს. ლუთერმა მღვდლებს თვითონვე მისცა მაგალითი, როცა 1525 წელს, 42 წლის ასაკში, ცოლად შეირთო ყოფილი მონაზონი, ახალგაზრდა (25 წლის) კატარინა ფონ ბორა, რომელთანაც ექვსი შვილი ეყოლა.

ეკლესიის გარეგნული მხარის გამარტივებას რომ ქადაგებდა, „ტრილოგიაში" ლუთერი იმ აზრსაც გამოთქვამდა, რომ უარი ეთქვათ ადამიანების სასულიერო და საერო წოდებებად ტრადიციულ დაყოფაზე, რადგან ასეთ დაყოფას არ იცნობს სახარება. მისი აზრით, ღვთისადმი სამსახური, აგრეთვე, იქადაგოს საღვთო წერილი, არა მარტო სამღვდელოების ფუნქციას შეადგენს, არამედ ყოველი ქრისტიანის უფლებამოსილებაცაა. ამგვარად, უიკლიფისა და ჰუსის მსგავ-

სად, ლუთერი საყოველთაო მღვდლობის იდეას ქადაგებს, თვლის, რომ ნამდვილი ქრისტიანული ეკლესიის ძირითადი და აქტიური ელემენტი თვითონ მრევლია, იგი უფლებამოსილია ირჩევდეს მღვდელს, აკონტროლებდეს მის მოქმედებას. ერთადერთი მოვალეობა, რომელიც მრევლის მიერ არჩეულ მღვდელს აქვს, ესაა სახარების ანუ „ღვთის სიტყვის“ ქადაგება, მისი გავრცელება მასებში, ღვთისადმი მორჩილების ჩაგონება. სამღვდელოების როლის ამდაგვარი შეზღუდვითა და ბერობის ინსტიტუტის გაუქმებით ლუთერი ძლიერ დარტყმას აყენებდა ფეოდალური საზოგადოების პირველ წოდებას.

საეკლესიო ორგანიზაციისა და წეს-ჩვეულებების ლუთერისეული მოთხოვნა იმითაც არის აღსანიშნავი, რომ მასში დასმულია მონასტრებისათვის ჩამორთმეული ქონების საქველმოქმედო საქმისათვის გადაცემის საკითხიც. ჩანს, ეს იდეა საფუძვლად დაედო „საერთო სალაროს წესრიგს“, გერმანიის რიგ ქალაქებში (ვიტენბერგსა თუ სხვაგან) 1522 წლიდან რომ იქმნება. სხვათა შორის, ამ საკითხზე მსჯელობისას ე. სოლოვიევი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ რეფორმატორს „საერთო სალაროს წესრიგის“ არავითარი აპოლოგია არ დაუწერია. სინამდვილეში კი, როგორც ეს მასალებიდან ირკვევა, როცა ქალაქ ლეისნიგის თემმა ლუთერს რჩევისათვის მიმართა, თუ როგორ გამოეყენებინათ ეკლესიისა და მონასტრებისათვის ჩამორთმეული ქონება, რეფორმატორმა თავისი აზრი ჩამოაყალიბა თხზულებაში — „საერთო სალაროს წესრიგში“ (Ordnung eines gemeinen Kasten), სადაც ლუთერი არათუ მხარს არ უჭერს „საერთო სალაროს წესრიგს“, არამედ იძლევა კონკრეტულ ჰუმანისტურ რჩევას, ესა თუ ის ჩამორთმეული ქონება როგორ და ვისზე გაენაწილებინათ. ამ რჩევის თანახმად, ქონების ერთი ნაწილი უნდა მოხმარებოდა მოქმედი მონასტრების მომსახურე პერსონალის შენახვას, მეორე ნაწილი გამიზნული იყო იმ პირთათვის, ვინც ტოვებდა საეკლესიო სამსახურს და სხვა სამუშაოზე გადადიოდა; ქონების მესამე ნაწილის შესახებ ლუთერი ასე წერს: „მესამე სახე ყველაზე კარგია: დარჩენილი „ნაწილი თავსდება „საერთო სალაროში“ და აქედან გაიცემა ქრისტიანული სიყვარულის გამო ან სესხის სახით ყველა იმ პირზე, ვინც დახმარებას საჭიროებს“. შემდეგ ლუთერი კონკრეტულად მიუთითებს, რისთვის ან ვისზე შეიძლებოდა ამ

სალაროდან თანხის გაცემა: მღვდელთა დასახმარებლად ან ფულადი ანაზღაურებისათვის, სკოლების ტექნიკური მომსახურებისათვის, დავრდომილი და მოხუცი ადამიანების დასახმარებლად, ობლებისა და ღარიბი ბავშვებისათვის, ღარიბი ადამიანებისათვის, უცხო პირთათვის, ვინც ამ მრევლში ცხოვრებას მოისურვებდა, მრევლის შენობების შესაკეთებლად და ახლების ასაგებად, გაჭირვების ჟამს მარცვლეულის მარაგის შესაქმნელად; დასასრულ, ლუთერს შესაძლებლად მიაჩნია, რომ გამოთავისუფლებული მონასტრების ერთი ნაწილისაგან შექმნილიყო მოზარდი გოგონებისა და ვაჟებისათვის საჭირო სკოლები, მეორე ნაწილი გამოყენებულიყო საცხოვრებელ სახლებად. ასეთია მოკლედ ის პროგრამა, რჩევა, რომლის განხორციელებასაც (ამისათვის თვითონ არც ძალას იშურებდა და არც გავლენას) მოითხოვდა ლუთერი საერო ხელისუფალთაგან, თუმცა სრული წარმატების იმედი არ ჰქონდა. „მე ვშიშობ, რომ ჩემს რჩევას მხოლოდ ცოტანი უსმენენ და მისდევენ“, — წერდა იგი.

„რეფორმატორული ტრილოგია“ ყურადღებას იმითაც იპყრობს, რომ ლუთერმა მასში პირველად მოგვცა საერო ცხოვრებისა და საერო საქმეების რეაბილიტაცია. ლუთერი დაბეჯითებით აცხადებდა, რომ ადამიანი და მისი საერო ცხოვრება არ უნდა განვიხილოთ როგორც ცოდვილობის სფერო, რასაც პაპის, და საერთოდ სქოლასტიკური მოძღვრების, წარმომადგენლები ამტკიცებდნენ. ადამიანის მოღვაწეობის ეს მხარე, თუმცა, მისი აზრით, წარმავალია, მაგრამ სავსებით საჭირო და აუცილებელია, აუცილებელია თვით სახელმწიფო დაწესებულებანიც, საერო ხელისუფლება და სამართალი, რომლებიც ღმერთის მიერაა დაწესებული. ამასთან, ეს დაწესებულებანი არათუ რომის პაპსა და საეკლესიო ადმინისტრაციას უნდა ემორჩილებოდნენ, რომლის პრეტენზიაც კათოლიკურ ეკლესიას ჰქონდა, არამედ, პირიქით, ისინი თვითონ უნდა კარნახობდნენ ეკლესიის მესვეურებს თავიანთ ნებას და „საჭიროების შემთხვევაში“ ალვირიც უნდა ამოსდონ მათ თვითნებობას.

ამგვარად, თუ რეფორმაციამდე ოფიციალური გერმანია რომის ყველაზე მორჩილი მონა იყო, ლუთერმა თავისი გამოსვლებითა და მოძღვრებით საფუძველი შეურყია ფეოდალური სისტემის უმსხვილეს ინტერნაციონალურ ცენტრს — რომის კათოლიკურ ეკლესიას, რითაც მნიშვნელო-

ვანი იმპულსი მისცა გერმანელი ხალხის დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვასა და საზოგადოებრივ პროგრესს, ე.ი. ლუთერის რწმენით გამართლების თეორია და აქედან გამომდინარე დებულებანი უშუალოდ ანტიფეოდალური, ბურჟუაზიული ხასიათის მატარებელიც იყო: რომის კათოლიკური ეკლესიის დოგმატების ნაცვლად რწმენის აღიარება, რწმენის თავისუფლების გამოცხადება, სამონასტრო ქონების გამოყენება საქველ-მოქმედო საქმისათვის და ა.შ. – „ობიექტურად ევროპული ფეოდალიზ-მის სამეურნეო, პოლიტიკური და, პირველ რიგში კი, მათი იდეოლოგიური დასაყრდენის – კათოლიციზმის წინააღმდეგ გალაშქრებასაც ნიშნავდა" (გ. ფაბიუნკე). ამასთან, ეს იდეები „ბიურგერობის, ჰუმანისტი ინ-ტელიგენციის, დაბალი სამღვდელოების, აზნაურთა ნაწილისა და ზო-გიერთი მთავრის ინტერესებს შეესაბამებოდა, იგი სტიმულს აძლევდა სახალხო რეფორმაციულ მოძრაობასაც" (გ. ბრენდლერი).

მაგრამ ლუთერის რადიკალიზმი ბოლომდე თანმიმდევრული არ აღ-მოჩნდა. 1520 წლის მეორე ნახევრიდან ის მნიშვნელოვან ევოლუციას განიცდის. ლუთერმა დაინახა, რომ მის მიერ გამოწვეულ მოძრაობაში ჩაბმულმა ფართო ოპოზიციურმა წრეებმა მისი მოთხოვნები თავისე-ბურად (ისე როგორც მათ სურდათ) გაიგეს და იარაღით ბრძოლის გზას დაადგნენ, ხოლო როცა მისმა მეგობრებმაც (კარლშტადტი და სხვ.) საეკლესიო გარდაქმნის საქმეში ძალა გამოიყენეს, რეფორმატორ-მა უკან დაიხია. ლუთერის თავდაპირველი „თაბორიტული მოწოდებანი" (ბეცოლდი) „მახვილისაგან ვერ შევქმნით კალამს", ასევე ხუცების წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა, ჩაქრა, მისთვის უცხო აღმოჩნდა ჰუტე-ნის მიერ შეთავაზებული გზაც. ჰუტენის მიწვევაზე – ჩემთან და ზიკინ-გენთან მოდი ებერნბურგში, რათა სამშობლოს ინტერესებისათვის ერ-თად ვიბრძოლოთ, ლუთერმა უპასუხა: „მე არ მინდა, რომ სახარება ძალმომრეობითა და სისხლის ღვრით დავიცვათ. ქვეყანა სიტყვამ დას-ძლია, ეკლესია სიტყვამ შეინახა, იგი ხელახლა სიტყვით აღსდგება და რაკი ანტიქრისტე თავისას მიიღებს ძალმომრეობის გარეშე, უძალმომ-რეობოდ დაემხობა". ეს იყო მშვიდობიანი პროგრესისა და პასიური წინააღმდეგობის გზა, თუმცა ლუთერის მებრძოლი სული ერთიანად არ ჩამკვდარა, სულ მოკლე ხანში მისი მეამბოხე სულისკვეთება კიდევ ორჯერ გამოვლინდა: პირველად 1520 წლის 10 დეკემბერს, როცა

ვიტენბერგის უნივერსიტეტის პროფესორებისა და სტუდენტების თან-დასწრებით ქალაქგარეთ დანთებულ კოცონზე წვავდნენ ეკის თხზულე-ბებსა და კანონიკურ წიგნებს, ლუთერმა ცეცხლს მისცა პაპის ბულა (1520 წლის 15 ივნისს გამოქვეყნებული, სადაც მთელი ლუთერისეული მოძღვრება დაყოფილი იყო 47 დებულებად და რომლის უარყოფასაც რეფორმატორისაგან მოითხოვდნენ) და დეკრეტები ლათინურად წარ-მოთქმული სიტყვების თანხლებით: „ისე როგორც შენ დალუპე ჭეშმარი-ტება ღვთისა, დაე, თვითონაც ამ ცეცხლში შთაინთქე დღეს". მსგავსი საქციელი თავის დროზე იან ჰუსმა ჩაიდინა.

ასევე გაბედულად მოიქცა ლუთერი, როცა ახლად არჩეულმა (1519 წელი) იმპერატორმა კარლ V იგი ვორმსის რაიხსტაგზე (1521 წელი) მიიწვია.

კარლ V მსოფლიო კათოლიკური მონარქიის შექმნაზე ოცნებობდა და, მაშასადამე, მას პაპის მხარდაჭერაც სჭირდებოდა. ამდენად, იგი მზად იყო წინ აღდგომოდა და დაეთრგუნა ყველაფერი, რომელიც მიმარ-თული იქნებოდა კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ. ბუნებრივია, კარლ V მიუღებელი აღმოჩნდა რეფორმაციული მოძრაობა. ამიტომაც იყო, რომ 1521 წლის აპრილში, ვორმსის რაიხსტაგზე, ერთ-ერთ საკითხად ლუთერის საქმეც იხილებოდა.

ვორმსის რაიხსტაგზე წასვლის წინ სპალატინის რჩევას, ხელი აეღო წასვლაზე — „ვაი თუ იან ჰუსის ბედი გეწიოს" — ლუთერმა ვაჟკაცურად მიუგო: „მართალია, ჰუსი დაწვეს, მაგრამ მასთან ერთად არ დაღუპულა ჭეშმარიტება. მე მაინც წავალ რაიხსტაგში, თუნდაც ჩემს წინააღმდეგ გამოვიდეს იმდენი ეშმაკი, რამდენიც კრამიტია სახუ-რავზე". ასეთმა გამბედაობამ ლუთერი ნაციონალურ გმირად აქცია, ვორმსში მიმავალ რეფორმატორს ყველგან ტრიუმფით ხვდებოდნენ, თუმცა გზისპირას, სადაც მას უხდებოდა გავლა, გაკრული იყო მის წინააღმდეგ მიმართული პაპის დეკრეტებიც, რითაც სურდათ მისი დაშინება.

1521 წლის 18 აპრილს, ხუთშაბათს, ლუთერი წარსდგა სახელმ-წიფო მოხელეების წინაშე: რაიხსტაგში იმყოფებოდა იმპერატორი, მისი ძმა ფერდინანდი, 6 — საიმპერიო კურფიურსტი, 28 — ჰერცოგი, 30 — პრელატი, მრავალი მთავარი, გრაფი, ქალაქის წარმომადგენლები, სტუმ-რები იტალიიდან და ესპანეთიდან (კარლ V ერთდროულად ესპანეთის

მეფეც იყო). საოცრად შთამბეჭდავი სანახაობა იყო. ლუთერს შეჰყურებდა ცნობისმოყვარე და განრისხებული ათეულობით ადამიანის თვალი, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც რეფორმატორს თანაუგრძნობდნენ. მიუხედავად ამისა, ლუთერს თავი ვაჟკაცურად და თავისუფლად ეჭირა. მისი ხმა მკაფიოდ გაისმოდა. მან გადაჭრით თქვა უარი ეკის (ტრირის არქიეპისკოპოსის ოფიციალის) მოთხოვნაზე, უარეყო თავისი თხზულებანი (რომლებიც იქვე მაგიდაზე ეწყო) და მასში გამოთქმული მოსაზრებანი, ხოლო როცა მოსთხოვეს გარკვევით ჩამოეყალიბებინა თავისი აზრი საეკლესიო კრების შესაძლებელ შეცდომებზე, ლუთერმა აქაც უკან არ დაიხია და თქვა: „ჩემგან პირდაპირი, ნათელი და კატეგორიული პასუხი სურთ. კარგით, მეც გიპასუხებთ მიკიბვ-მოკიბვის გარეშე: მე არ შემიძლია დავუმორჩილო ჩემი რწმენა არც პაპს და არც საეკლესიო კრებას[18], რადგან დღესავით ნათელია, რომ ისინი ხშირად ცდებიან და თვით ერთმანეთსაც ეწინააღმდეგებიან. თუ მე არ დამარწმუნებენ საღვთო წერილის დამოწმებით ან ნათელი გონივრული მოსაზრებით, თუ მე არ დამარწმუნებენ თვით იმ ტექსტებით, რომელნიც მოვიტანე, და თუ ამდაგვარად ღვთის სიტყვით არ შებოჭავენ ჩემს სინდისს, მაშინ მე არ შემიძლია და არც მსურს უარი ვთქვა არაფერზე, რადგან ქრისტიანს არ შეშვენის გამოვიდეს სინდისის წინააღმდეგ". ლათინურად წარმოთქმული ეს სიტყვა ლუთერმა გერმანულადაც გაიმეორა და თავისი გამოსვლა ასე დაასრულა: „ამაზე ვდგავარ და სხვაგვარად არ შემიძლია. დაე, ღმერთი შემეწიოს. ამინ" (Hier Stehe ich. Ich kann nicht anders. Gott helfe mir. Amen).

ლუთერის ეს გამოსვლა არა მარტო რომის თამამი გამოწვევა იყო, არამედ სინდისის, აზრის თავისუფლების პრინციპის საქვეყნოდ გამოცხადებაც. ასეთი რამ მანამდე იშვიათად მომხდარა.

შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა ლუთერმა კრებაზე, სხვადასხვაგვარი იყო. აღფრთოვანებულ წამოძახილებს, აღშფოთებულთა მუქარა ცვლიდა. ლუთერს მიაცილებდა ესპანელთა სტვენა და დაცინვა, თუმცა შიგადაშიგ მომხრეების მხარდამჭერი სიტყვებიც გაისმოდა. სასტუმრო-

[18] „პაპი, – ამბობდა ლუთერი სხვაგან, – რა უფლებით აწესებს კანონებს ჩვენზე? მას ვინ მისცა ძალაუფლება დაეპატრონოს თავისუფლებას, რომელიც გვეძლევა ნათლობით? მე ვამბობ: არც პაპს, არც ეპისკოპოსს, არც სხვა ვინმეს უფლება არა აქვს დააწესოს ქრისტიანზე თუნდაც მარტოოდენ ერთი სიტყვა, თუ ამაზე საკუთარი თანხმობა არ იქნება".

ში, სადაც ლუთერი შეჩერდა, მისმა მომხრეებმა მოიყარეს თავი. მათ შორის იყო ახალგაზრდა ლანდგრაფი ფილიპ ჰესენელი, რომელმაც ლუთერს უთხრა: „თუ შენ თვლი, რომ შენი საქმე ღვთაებრივია, იდექი მტკიცედ“. ლუთერმა რაიხსტაგში მიღებული შთაბეჭდილებები გამოთქვა წერილში, რომელიც თავის მეგობარს, ცნობილ მხატვარს ლუკა კრანახს მისწერა: „მე ვფიქრობდი, რომ მისი აღმატებულება ვორმსში შეკრებდა ღვთისმეტყველთა 50-მდე დოქტორს, რათა დავერწმუნებინე მე, ბერი. არაფერი ამდაგვარი. გაიმართა მხოლოდ ასეთი დიალოგი: შენია ეს წიგნები? — დიახ. უარყოფ მათ? — არა. მაშ, გაეთრიე! — აი, ასეთია მთელი ისტორია“.

ბუნებრივია, ამის პატიება არც პაპს შეეძლო და არც იმპერატორს. იმპერატორის განაჩენმაც არ დააყოვნა. 21 მაისს რაიხსტაგში წაკითხულ იქნა სამარცხვინო ვორმსის ედიქტი, რომლითაც ლუთერი კანონგარეშედ ცხადდებოდა, საფრთხე ემუქრებოდა იმათაც, ვინც რეფორმატორის დამალვას ან მისი წიგნების გავრცელებას შეეცდებოდა, მაგრამ გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც არ შეუშინდნენ ამ მუქარას. ლუთერს კვლავ მფარველად მოევლინა ფრიდრიხ ბრძენი, რომლის ნებით 26 აპრილს, როცა ლუთერი ვიტენბერგში ბრუნდებოდა, ნიღაბაფარებული შეიარაღებული რაინდების ჯგუფი „თავს დაესხა“ მის ეტლს, ეტლიდან ჩამოაგდეს რეფორმატორის თანამგზავრი ბერი და ლუთერი ბიბლიით ხელში გზას გაუყენეს. ამ გათამაშებული სპექტაკლის შესახებ თვითონ ლუთერმა არაფერი იცოდა, რის გამოც ვარტბურგის კომენდანტმა, ვისთანაც იგი მიიყვანეს, ბოდიშიც კი მოუხადა მას.

საიდუმლოებით მოცულმა ამ მოტაცებამ ხალხში მითქმა-მოთქმა გამოიწვია, გავრცელდა ხმა, რომ ლუთერი ჯვარს აცვეს სახარების მტრებმა, პაპისტებმა. მთელი გერმანია მწუხარებამ მოიცვა. მაშინდელი გერმანელების განწყობილებას გადმოსცემს მეორე დიდი გერმანელი მხატვარი (ასევე ლუთერის მეგობარი) ალბრეხტ დიურერი, როცა წერს: „ვინც დოქტორ მარტინ ლუთერის წიგნებს კითხულობს, ყველა ხედავს, რა ნათელი და გამჭვირვალეა მისი მოძღვრება — ის ხომ წმინდა სახარებას ასწავლის. ამიტომაც არათუ უნდა დავწვათ ეს წიგნები, არამედ დიდი პატივით უნდა შევინახოთ. უკეთესი ის იქნებოდა, რომ

ცეცხლისათვის მიგვეცა მისი მოწინააღმდეგეები მთელი თავიანთი მოსაზრებებით, რომლებიც ყოველთვის გამოდიან ჭეშმარიტების წინააღმდეგ და რომლებსაც ღმერთების შექმნა ადამიანებისაგან სურთ ... ოი, ღმერთო, თუ ლუთერი მკვდარია, მაშინ დღეის იქით ასე ნათლად ვინ გადმოგვცემს წმინდა სახარებას? ოი, ღმერთო, კიდევ რამდენის დაწერა შეეძლო მას ათი-ოცი წლის განმავლობაში! ოი, თქვენ, ღვთისმოსავო ქრისტიანებო, დამეხმარეთ მე ღირსეულად დავიტირო ღვთის ნების აღმსრულებელი ეს ადამიანი". სინამდვილეში კი, სრულიად უვნებელი, რაინდ გეორგის სახელს ამოფარებული ლუთერი, ამ დროს ვარტბურგის ციხეში იმალებოდა.

ე.წ. „ვარტბურგის ტყვეობას" უნაყოფოდ არ ჩაუვლია, სწორედ ამ პერიოდში იწყო ლუთერმა ბიბლიის თარგმნა, ჯერ ახალი აღთქმის თარგმანი დაასრულა, შემდეგ კი – ძველი აღთქმის, რითაც საფუძველი ჩაუყარა გერმანულ სალიტერატურო ენას. ბიბლიის ლუთერისეულ თარგმანს ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ მან დიდი გავლენა მოახდინა რეფორმაციული იდეების ფართოდ გავრცელებასა და რევოლუციური მოძრაობის შემდგომ რადიკალიზაციაზე. ამ თარგმანით ლუთერმა დაშლის გზაზე მდგარ ფეოდალურ საზოგადოებას ისეთი საზოგადოების სურათი უჩვენა, რომელმაც არაფერი იცოდა ხელოვნურად აგებულ ფეოდალურ იერარქიაზე.

თავისი ქვეყნის საზოგადოებისათვის დამახასიათებელ მანკიერებებს ლუთერი კონკრეტული მაგალითებითაც უჩვენებდა, თუმცა ამ საკითხებზე ჩვენ საუბარი გვაქვს წიგნში – „მარტინ ლუთერის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი" და აქ დაწვრილებით არ შევეხებით. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ლუთერს შეუძლებლად მიაჩნდა ამ მანკიერებების (ზნეობრივი გახრწნილების, გლეხთა აუტანელი ჩაგვრის) უცვლელად დატოვება. იგი პირდაპირ აცხადებდა, რომ თვითონ ხალხს არ შეუძლია მეტის მოთმენა, რომ „ახლა ის დრო აღარ არის, რაც ადრე, როცა თქვენ (მიმართავს თავისი ქვეყნის „ბატონებსა და მთავრებს" – გ.კ.) ძალლებს უსევდით და ნადირობდით ადამიანებზე". გამაფრთხილებლად ისმის მისი სიტყვები: „თუ არ გამოსწორდებით, დაისჯებით, დღეს იქნება ეს, თუ ხვალ".

ამდაგვარი გამონათქვამების მიუხედავად (თუმცა ისინი, ობიექტურად,

ხელს უწყობდნენ რევოლუციური სულისკვეთების გაღვივებას მასებში), შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ლუთერი ტირანიის აღმოფხვრას (არათუ საერო ხელისუფალთა, არამედ თვით პაპისტებისაც) ფიქრობდა „ქვემოდან“ დაწყებული აჯანყების გზით. მართალია, მას არაერთგზის გამოუქვამს მოსაზრება, რომ რომის პაპი და მისი მსახურები გერმანიაში იმსახურებენ ყოველგვარ უბედურებას, თვით სახალხო ანგარიშსწორებასაც კი, „თუ ეს მოხდა, უნდა ვიმხიარულოთ კიდეც!“ — აცხადებდა იგი. მაგრამ თვით მაშინაც, როცა ლუთერის ღონიერმა გლეხურმა ბუნებამ შმაგად იჩინა თავი და მოითხოვა ხუცების წინააღმდეგ ბრძოლა „იარაღით და არა სიტყვებით“, ეს მას სურდა არა უბრალო ხალხის ინიციატივით, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ „აჯანყებას“ ოფიციალური მმართველები, „იმპერატორი და მთავრები“, გაუძღვებოდნენ. „ვიდრე მმართველები ხელს არ მოჰკიდებენ საქმეს, — არწმუნებდა ლუთერი უბრალო ადამიანებს, — მანამდე აღვირი უნდა ამოსდო შენს ხელს, შენს ბაგესა და გულს და არაფერი არ უნდა გააკეთო. თუ უფროსებს არ სურთ გამოსვლა, არც შენ უნდა მოისურვო. უკეთუ შენსას არ დაიშლი (ე.ი. დაიწყებ დამოუკიდებელ გამოსვლას — გ.კ.), მაშინ შენ მტერზე უარესი ხარ“. შემთხვევითი არ იყო, რომ ლუთერი ვერ შეურიგდა თავის ყოფილ მომხრეებსაც კი (კარლშტადტსა და ცვილინგს), როცა ამ უკანასკნელებმა, ისარგებლეს რა რეფორმატორის „ვარტბურგის ტყვეობით“, მიმართეს ძალმომრეობას, ხელი მიჰყვეს საეკლესიო დოგმების აკრძალვას, ეკლესიიდან გაიტანეს საკურთხეველი, ხატები და მირონი, კათოლიკური წირვის შესრულება კი კერპთაყვანისმცემლობად გამოაცხადეს. ლუთერი სასწრაფოდ ვიტენბერგში დაბრუნდა და იწყო ქადაგება მათი საქმიანობის წინააღმდეგ. „თავისუფლება, — ამბობდა იგი, — გამორიცხავს ძალდატანებას. თვით რწმენაც, რომელიც თავისუფალი უნდა იყოს, არ უნდა გავხადოთ სავალდებულო“. ქორწინებაში შესვლა, ხატების განადგურება, ბერად და მონაზვნად აღკვეცა, ბერების მიერ მონასტრების დატოვება, ხორცის გამოყენება პარასკევს ან არ გამოყენება — ყველაფერი ეს დამოკიდებულია თავისუფალ ნებაზე და არავისაგან არ უნდა აიკრძალოს.

ამგვარად, გმობს რა „ქვემოდან“ მომდინარე ძალდატანებასა და აჯანყებას, როგორც არსებული მდგომარეობის გამოსწორების საშუ-

ალებას, ლუთერი მათ უდგება როგორც ეშმაკის სულის გამოვლინებას, რომელსაც ეროვნული ძალების გათიშვა, მოძმეთა სისხლისღვრა და უბედურება უფრო მეტი მოაქვს, ვიდრე „სასურველი გაუმჯობესება“. ლუთერის აზრით, როცა საქმე ეხება რეფორმაციასა და რომის პაპის ბატონობისაგან გერმანიის განთავისუფლების საქმეს, ქვეშევრდომებმა თვით ტირანიაც უნდა აიტანონ, მათ უნდა დაივიწყონ ყველა წოდებრივი კონფლიქტი, თვით სამართლიანი უკმაყოფილებაც კი, სხვაგვარად შეუძლებელია რელიგიურ ომში (რომის წინააღმდეგ მიმართულ ეროვნულ ბრძოლაში) წარმატების მოპოვება. ასეთი აზრის შემცველია ლუთერის 1522-1523 წლებში დაწერილი არაერთი თხზულება. ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა იგი 1524-1526 წლების გლეხთა ომის დროსაც, როცა თავდაპირველი შემრიგებლური პოზიციის შემდეგ (გლეხებმა მას არ მოუსმინეს) სასტიკად გაილაშქრა აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ლუთერი გამონაკლისი არ ყოფილა. ლუთერამდეც და მის შემდეგაც მრავალ გამოჩენილ პიროვნებას გაულაშქრია აჯანყების წინააღმდეგ. ასე იქცეოდნენ თვით ლუთერის თანამედროვე ჰუმანისტებიც, მათ შორის ერაზმ როტერდამელი და ტომას მორი. ამ უკანასკნელის აზრითაც, უბრალო ადამიანებს არა აქვთ უფლება, აძაგონ ხელისუფლება, პირიქით, უსიტყვოდ უნდა დაემორჩილონ მას. მეტიც, მორი ამბობდა: რომ ვიცოდე ჩემს წიგნს (მხედველობაში აქვს „უტოპია“) ისეთივე შედეგი მოჰყვება, როგორიც ლუთერის ქადაგებებს გერმანიაში (გლეხთა ომს იგი ლუთერის ქადაგების ნაყოფად მიიჩნევდა), ცეცხლს მივცემდი მასო. მან გაამართლა აჯანყებული გლეხების დასჯა გერმანიაში. მაშასადამე, არა მარტო ლუთერი, არამედ ერაზმი და მორიც გმობდნენ რევოლუციურ გარდაქმნებს; მათ ღრმად სჯეროდათ, რომ ძალადობა ძალადობას წარმოშობს, რომ თანამოძმეთა ურთიერთშორის ბრძოლა მხოლოდ ქვრივებსა და ობლებს ამრავლებს და მტრის წისქვილზე ასხამს წყალს, რომ ამ გზით მოპოვებული თავისუფლება (თვით ტირანიისაგან განთავისუფლებაც) ვერ პოულობს გამართლებას.

ხელისუფალთა ჯეროვანი აღზრდა და განათლება — აი, რაში ხედავდა ლუთერი არსებული მდგომარეობის გამოსწორების გზას. გა-

ნათლებული ხელისუფალი, ფიქრობდა იგი, თვითონაა ყოველგვარი უზნეობის მტერი, რომელიც იმას კი არ ფიქრობს, რომ ,,ქვეყანა და ხალხი ჩემია, როგორც მოვისურვებ, ისე მოვიქცევი", – არამედ იმას, რომ ,,მე ვეკუთვნი ქვეყანას და ხალხს, მე უნდა ვიმოქმედო მათი სარგებლობისა და წარმატებისათვის; არა პირად სარგებლობას ვეძიებ მე, არამედ ჩემი თანამდებობითაც ვემსახურები მათ". ცხადია, მმართველთა ასეთ ხარისხობრივ ცვლილებას საზოგადოებრივი ურთიერთობის გაუმჯობესებაც მოჰყვებოდა, აღმოიფხვრებოდა მისთვის დამახასიათებელი მანკიერებანი. ამრიგად, ლუთერი გვთავაზობდა მშვიდობიანი პროგრესის გზას. რამდენად სწორია ეს, სხვა საქმეა, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ერაზმიცა და მორიც გამოსავალს განათლებაში ხედავდნენ.

ხელისუფალი, ვიზეც ლუთერი განსაკუთრებულ იმედს ამყარებდა. ეს იყო გერმანიის იმპერატორი. მასში ხედავდა ერთიანობის სიმბოლოს, თუმცა, მისი აზრით, სწორედ ეს ერთიანობა აკლდა გერმანიას. ამიტომაც იყო, რომ უცხო ძალები (პაპი და მისი აგენტები) ადვილად ეპატრონებოდნენ მას. ჩიოდა რა უცხოური ფუფუნებითი საგნების მომრავლებაზეც, რომელიც ,,ქვეყნისა და მოსახლეობისაგან ფულის გამოწოვას" იწვევდა, ლუთერი გულისტკივილით წერდა: ,,არ იქნებოდა ეს, ჩვენ რომ ერთიანი მმართველობა და ხელმწიფე გვყავდეს". თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ლუთერანულმა რეფორმაციამ დაამყარა ახალი სარწმუნოება, სახელდობრ ისეთი, როგორიც აბსოლუტურ მონარქიას ესაჭიროებოდა, მოსალოდნელი იყო, რომ ლუთერი ამ სარწმუნოებას იმპერატორის სამსახურში ჩააყენებდა, მას ამისათვის არც დაუკლია ცდა, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ იმპერატორ კარლ V გერმანული ეროვნული საქმეებისათვის ნაკლებად ეცალა, როცა მას იმპერატორის მხრიდან მხარდაჭერის იმედი გადაეწურა, ლუთერმა ,,ახალი სარწმუნოება" (ლუთერანობა) ტერიტორიული საერო მთავრების აბსოლუტიზმის სამსახურში (განსაკუთრებით გლეხთა ომის დროიდან) ჩააყენა, თუმცა მისი პოლიტიკური იდეალი სრულებითაც არ ყოფილა მთავრების ხელისუფლება. ლუთერმა გერმანელ პროტესტანტ მთავრებს დაუქვემდებარა (თავიანთ სამფლობელოებში) საეკლესიო გარდაქმნის ორგანიზაცია და პაპისტების წინააღმდეგ ბრძოლა. მთავრები მან ,,საერო ეპისკოპოსებად" აღიარა და ამგვარად, ეკლესია მათ ხელისუფლებას

დაუმორჩილა. რამდენად გამართლებულია ლუთერის ეს ნაბიჯი მორალურად, სხვა საქმეა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ მოცემული მომენტისათვის გერმანიაში არ იყო სხვა ძალა, რომელსაც შეეძლო კათოლიკური ეკლესიისა და რომის პაპის ძალმომრეობის დათრგუნვა და პროტესტანტიზმის დაცვა. ამ უკანასკნელის მოსპობა და კვლავ კათოლიციზმის აღდგენა კი უდიდესი უბედურება იქნებოდა არა მარტო გერმანელებისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვისაც. პროტესტანტიზმმა ხომ ევროპის სულიერი განვითარება ერთგვაროვნებისაგან იხსნა.

ზემოთ ლუთერთან კავშირში ერაზმი და მორი ვახსენეთ, ახლა ორიოდე სიტყვით იმ კამათის შესახებ, რომელიც მათთან ჰქონდა რეფორმატორს.

ლუთერს ერთგვარი სიმპათია ერაზმისადმი ყოველთვის ჰქონდა. ერაზმს იგი მოიხსენიებს როგორც დიდ ადამიანს, რომელსაც ღვთისაგან ბოძებული აქვს განსაკუთრებული ნიჭი, გონება, განათლება, მჭევრმეტყველება. თვით ის ფაქტი, რომ მის თანამედროვე გერმანიაში „ჰყვავის და მეფობენ მეცნიერებანი“, რომ ადამიანებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნენ „ნამდვილ ბიბლიას“, ლუთერს ერაზმის დამსახურებად მიაჩნდა. მეტიც, ლუთერის თქმით, მის თანამედროვე ევროპაში არ არის ადამიანი, რომელსაც ასე თუ ისე უყვარდეს მეცნიერება და არ განეცადოს ერაზმის კეთილმყოფელი გავლენა; თავისი საქმიანობითა და მოძღვრებით ერაზმმა „არცთუ ისე ცოტა სამსახური გამიწია მეც“, — წერდა ლუთერი. ერაზმის ამ დამსახურებას, მის ნიჭსა და განათლებას, ლუთერი არ ივიწყებს მაშინაც, როცა მასთან ცხარე კამათი აქვს.

კამათი ერაზმმა დაიწყო. 1524 წელს გამოდის მისი თხზულება — „დიატრიბა, ანუ მსჯელობა თავისუფალი ნების შესახებ“. ჩანს, ამ თხზულების გამოცემას წინ უძღოდა ჰუმანისტის ერთგვარი მერყეობა, რომელიც წარმატებით დაძლია. ამას ნიშნავს მისი სიტყვები — „გამოვიდა წიგნაკი „თავისუფალი ნების შესახებ“, „წილი ნაყარია! რუბიკონი გადალახულია!“, რომელიც ნათქვამია ინგლისის მეფე ჰენრი VIII და ტომას მორის მეგობრის, ეპისკოპოს კუტბერტ ტუნსტალისადმი მიწერილ წერილში და რომელიც გაგზავნილია წიგნის გამო-

ქვეყნებიდან სულ მალე, 1524 წლის სექტემბერში.

წიგნში ერაზმის კრიტიკის უპირველეს საგანს შეადგენს ლუთერისეული რწმენით გამართლების თეორია, რწმენის თავისუფლება. ერაზმი გადაჭრით აცხადებს, რომ ლუთერისეული აზრი, — ადამიანს საუკუნო ხსნის მოპოვება შეუძლია მხოლოდ რწმენის მეშვეობით, მხოლოდ სახარებაზე დაყრდნობით, სხვა არაფერია, თუ არა უსაზღვრო ინდივიდუალიზმი, რომელიც შენიღბულია სახარების ავტორიტეტით და რომელსაც მხოლოდ შფოთი და ბოროტება მოაქვს. ასეთი თავისუფლება ამრავლებს „ქარაფშუტა და მეამბოხე" ელემენტებს, ანადგურებს „კეთილშობილ მეცნიერებებსა და განათლებას, წყვეტს მეგობრულ კავშირებს", მას შეიძლება „სისხლისმღვრელი აჯანყებაც" მოჰყვეს.

მაშასადამე, რწმენის თავისუფლება, რომელსაც ლუთერი ქადაგებს, ერაზმს დაუშვებლად მიაჩნია. ასეთ თავისუფლებას იგი უპირისპირებს ნების თავისუფლებას და მის ქვეშ ესმის ადამიანის იმდაგვარი მოქმედება, რომელსაც საფუძვლად უდევს არა მარტო სახარება, როგორც ეს ლუთერთანაა, არამედ „კეთილი საქმეებიც" (ლოცვები, მარხვები, მოწყალების გაცემა, მომლოცველობა და ა.შ.). ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანს შეუძლია სურვილისამებრ აირჩიოს ესა თუ ის კეთილი საქმე, რომელიც დადგენილია კათოლიკური ეკლესიის მიერ. ეს სხვა არაფერია, თუ არა საეკლესიო დადგენილებათა უზენაესობის აღიარება, იმის თქმა, რომ ადამიანის რწმენის, სინდისის მოსათვინიერებლად საჭიროა გარეგნული ძალები — საეკლესიო დადგენილებანი. ამით ცხადი ხდება, რომ ერაზმი ერთიანად არ ჩამოშორებია კათოლიკურ ეკლესიას. ამას არც თვითონ მალავს, როცა წერს: კათოლიკურ ეკლესიას იგი „არასოდეს არ ჩამოშორებია და არ ჰქონია სურვილი ლუთერთან კავშირის დამყარებისა".

ბუნებრივია, ერაზმის უპასუხოდ დატოვება ლუთერს არ შეეძლო. 1525 წელს გამოდის მისი ტრაქტატი „ნების მონობის შესახებ" — შტეფან ცვაიგის თქმით, „ყველაზე ძლიერი პოლემიკური თხზულება", რომელშიც რეფორმატორი იმ აზრს გამოთქვამს, რომ ერაზმისეული ნების თავისუფლება, ფაქტობრივად, ადამიანის ნების მონობას ნიშნავს, რადგან იგი უშვებს საეკლესიო დადგენილებებისადმი მორჩილებას და, ამ გზით სინდისის მოთვინიერებას. რა თქმა უნდა, ლუთერი იმის

წინააღმდეგი არ არის, რომ ბოროტი გამოვლინებანი, აჯანყება „მოთვინიერებულ იქნეს" მახვილის ძალით, მაგრამ ის კი დაუშვებლად მიაჩნია, რომ „სინდისის მოთვინიერება" გარეგნული ძალებით მოხდეს. მაგალითად, აღსარებას თუ სხვა ვალდებულებებს, რომლებსაც, ლუთერის აზრით, პაპები თავს ახვევენ ადამიანებს, მათთვის მოაქვს არა სიკეთე, არამედ აჩვევს თვალთმაქცობას, ამრავლებს ურწმუნოებს, რომელთაც გულში სძულთ ღმერთი; ასეთ ადამიანებს არც მოყვასი უყვარს, აკი კმაყოფილდებიან მხოლოდ პირადი კეთილდღეობისათვის ზრუნვით. მაშასადამე, ფიქრობს ლუთერი, სინდისის მოთვინიერება უნდა მოხდეს არა საეკლესიო დადგენილებებითა და კანონებით, როგორც ეს ერაზმთანაა, არამედ „მხოლოდ ღვთის მცნებებით", – ადამიანური კანონები ბოჭავენ სინდისს, ღვთის სიტყვა კი ათავისუფლებს მას, მხოლოდ სახარება „ამყარებს ქრისტიანულ თავისუფლებას". ამგვარად, ლუთერი სახარებაში ხედავს საყოველთაო ზნეობრივ ძალას, რომელსაც „მსოფლიოს შეცვლა და განახლება" მოაქვს. თანაც, ლუთერის აზრით, „მსოფლიოს შეცვლა და განახლება" არ შეიძლება მოხდეს უმტკივნეულოდ, „მღელვარებისა და სისხლისღვრის გარეშე", მაგრამ ეს იქნება ღვთის ნების გამოვლინება და გაგრძელდება მანამდე, ვიდრე „ღვთის სიტყვის მოწინააღმდეგენი არ გაითელებიან ქუჩის მტვერში", ვიდრე არ დაემხობა „პაპებისა და მისი დამქაშების სამეფო". ასეთ დროს უნდა ვწუხდეთ არა იმაზე, რომ დაიკარგება „მშვიდობა და თანხმობა", როგორც ამას ერაზმი აკეთებს, არამედ უნდა ვცდილობდეთ, ქრისტიანები გავათავისუფლოთ კათოლიკური ეკლესიის „ზნე-ჩვეულებებისა და კანონების" მონობისაგან. ამრიგად, ცხადი ხდება, რომ ლუთერს, განსხვავებით ერაზმისაგან, „მშვიდობისა და თანხმობის" დროებითი დაკარგვა დასაშვებად მიაჩნია, თუ ამას მოჰყვება ქრისტიანების განთავისუფლება კათოლიკური ეკლესიის სულიერი მონობისაგან.

ასევე სერიოზულ ხასიათს ატარებდა ლუთერის კამათი ინგლისის მეფე ჰენრი VIII და ტომას მორთან. ჰენრი VIII ჯერ კიდევ 1521 წელს გამოსცა წიგნი – „შვიდი საიდუმლოს დაცვა მარტინ ლუთერის წინააღმდეგ", სადაც მეფე იცავდა არა მარტო შვიდ საიდუმლოს, არამედ პაპის ავტორიტეტსაც, რის გამოც პაპმა მას „რწმენის დამცველის" საპატიო ტიტული უბოძა. ლუთერი არ მოერიდა არც მეფეს და არც პაპის

ავტორიტეტს: მეფეს მან უწოდა „უგუნური მასხარა, რომელსაც რწმენის არაფერი გაეგება". შეურაცხყოფილ მეფეს ტომას მორი გამოექომაგა „ლუთერისადმი პასუხში" (1523 წელი), სადაც, ერაზმის მსგავსად, ის აზრი გამოთქვა, რომ რწმენის თავისუფლების ლუთერისეული თეორია „საყოველთაო ქაოსის მომასწავებელია, რომ ეს არის თავაწყვეტილი თავისუფლება", რომელიც არ ცნობს კანონებისადმი მორჩილებას; იგი განადგურებით ემუქრება არა მარტო კათოლიკურ ეკლესიას, არამედ ყოველგვარ პოლიტიკურ წესრიგს, მთელ ქრისტიანულ კულტურას. სინამდვილეში კი, როგორც ამას რუსი ისტორიკოსი ი. ოსინოვსკი შენიშნავს, ლუთერი არასოდეს არ გამოსულა „თავაწყვეტილი თავისუფლების" ქადაგებით. ჩანს, მორს მხედველობიდან გამორჩა ლუთერის თხზულება „ქრისტიანული თავისუფლების შესახებ", სადაც ის აზრია გატარებული, რომ ქრისტიანული თავისუფლება — ეს მხოლოდ სულიერი თავისუფლებაა და არა ხორციელი. პაპის ავტორიტეტს რომ ეხება, მორი მისადმი მორჩილების აუცილებლობას ასაბუთებს, მიუთითებს პაპის ხელისუფლების ღვთაებრივ წარმოშობაზე, რომლის გარეშე უბრალო ადამიანს არ ძალუძს „ჩაწვდეს ბიბლიის წმინდა აზრს". მორი კათოლიკური ეკლესიის დადგენილებათა საჭიროებაზეც მიუთითებს და, მაშასადამე, აღიარებს ადამიანური გონების როლს რწმენის საქმეში. ეს კი ლუთერს დაუშვებლად მიაჩნდა, თუმცა, საერო საქმეებსა და საერო მმართველობაში გონების როლს არ გამორიცხავდა, მაგრამ ესეც მორის მხედველობის მიღმა რჩება.

ლუთერს პოლემიკა ჰქონდა, აგრეთვე, შვეიცარიელ რეფორმატორ ულრიხ ცვინგლისთან. ცვინგლს, რომელიც უფრო რაციონალისტურ პოზიციაზე იდგა, ჭეშმარიტი ქრისტიანული რწმენა გონებასთან სავსებით შესათავსებლად მიაჩნდა. აქედან გამოდიოდა იგი, როცა სახარებისეული ტექსტიდან — „ესე არს ხორცი ჩემი" — სიტყვა „არსს" განმარტავდა „ნიშნავს" მნიშვნელობით. მაშასადამე, ცვინგლი ზიარების საიდუმლოს უყურებდა როგორც ქრისტეს მიერ გაღებული მსხვერპლის სიმბოლურ გახსენებას. ლუთერს კი ამ საკითხზე ყოველგვარი განმარტება შეუთავსებლად ეჩვენებოდა, რადგან, მისი აზრით, სახეზე გვაქვს საღვთო წერილის სრულიად გასაგები ტექსტი; აქ სიტყვა „არს" გაიგება არა სხვაგვარად, თუ არა ზიარების პურსა და ღვინოში ქრისტეს ხორცისა

და სისხლის რეალური ყოფნის მნიშვნელობით. „ჩვენ, — წერდა იგი, — იმ აზრს ვიცავთ, გვწამს და ვასწავლით კიდეც, რომ ზიარების დროს ჭეშმარიტად და სხეულებრივად ვიღებთ და ვიგებთ ქრისტეს სხეულს. მაგრამ როგორ ხდება ეს, ან როგორ არის ქრისტე პურში, ჩვენ არ ვიცით და არც უნდა ვიცოდეთ“. ასეთ აზრზე იდგა ლუთერი მარბურგშიც (1529 წელი), სადაც შეხვდა ცვინგლს საკამათო საკითხის გადასაჭრელად, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ.

ახლა ცოტა რამ ლუთერის პირად თვისებებსა და ინტიმურ ცხოვრებაზეც. იგი საოცრად მოყვარული მამა და მეუღლე იყო, რაც მისი წერილებიდანაც ჩანს. ლუთერი უაღრესად პატიოსანიც გახლდათ, მისთვის უცხო იყო ანგარება. ამას მისი მტრებიც აღიარებდნენ. ის ჰონორარსაც არ იღებდა მსმენელებისაგან ან თხზულებებიდან, თუმცა გამომცემლები და წიგნის გამყიდველები მის ხარჯზე მდიდრდებოდნენ. ლუთერი ცხოვრობდა მხოლოდ პროფესორის ზომიერი ხელფასით, რომელიც კურფიურსტმა დაუნიშნა. ამასთან, რაც ასე ნიშანდობლივია, თავისი ხელმოკლეობის (მისი მატერიალური მდგომარეობა, შედარებით, მოგვიანებით გაუმჯობესდა) შესახებ მას არასოდეს არ დაუჩივლია, თუმცა იმას კი ხვდებოდა, რომ უზნეოსა და უწიგნურს უფრო წყალობდა ქონება, ვიდრე წესიერსა და გონიერს, რომ ფულიანი და დაბალი სულის მქონე ადამიანი მისსავე მსგავსთან ეძებდა საერთოს, რომ ასეთი ადამიანი, ჩვეულებრივ, უტიფარია, გაფხორილი და ცხვირაწეული დაიარება და არად დაგიდევს ქვეყნისა და მოყვასის გაჭირვებას, თავისი კეთილდღეობა (მატერიალური სიკეთე) მას მარადიული ჰგონია, ვერ წარმოუდგენია, რომ ეს სიკეთე შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს მტვრად იქცეს და გაჭირვებაში ჩავარდნილს თვითონვე დასჭირდეს დახმარება. ამ ჭეშმარიტების მცოდნე ლუთერს თავისი ხელმოკლეობის წლებშიც არ უთქვამს უარი იმათთვის, ვისაც ფულადი დახმარებისათვის მიუმართავს, თუნდაც ამისათვის ძვირფასი საოჯახო რელიკვიის დაგირავებაც დასჭირვებოდა. მასთან სახლში ყოველდღიურად სადილობდნენ ღარიბი სტუდენტები, უმუშევარი მქადაგებლები და ა.შ.

სტუმართმოყვარე ლუთერის სახლში ყოველთვის ხალხმრავლობა იყო. აქ ნახავდით რჩევისათვის მოსულ თეოლოგებს, მოსამართლეებს, ცნობისმოყვარე ადამიანებს და ა.შ, რომლებიც სხვადასხვა ქალაქებიდან

და ქვეყნებიდან ჩამოდიოდნენ[19]. ყველას ხიბლავდა რეფორმატორის უბრალოება და ყურადღება, მისი მუდმივი მზადყოფნა – სამსახური გაეწია მათთვის. ლუთერი თავს ყველაზე უკეთ მეგობრებსა და თანამ- წრომლებს შორის გრძნობდა, უყვარდა სჯა-ბაასი, ხუმრობა, ბევრი მახვილგონივრული აფორიზმი გამოუთქვამს მას. რელიგიურობისა და თავისი იდეისადმი ფანატიკური ერთგულების მიუხედავად, ლუთერში არაფერი იყო ბნელი და ასკეტური. ცხოვრების სიკეთით სარგებლობას იგი ცოდვად არ თვლიდა, პირიქით, ადამიანებს არწმუნებდა, რომ ღმერთს სიამოვნებს, როცა მის მიერ შექმნილ „გემრიელ ქარიყლაპიებსა და კარგ რაინულ ღვინოს" შეექცევიან, როცა ადამიანები სულის სიღრმიდან მხიარულობენ ან იცინიან. ლუთერს ბუნების სილამაზეც იტაცებდა, უყვარდა მუსიკა, ხშირად მღეროდა და უკრავდა ბარბითს[20].

ხანგრძლივმა და დაძაბულმა შრომამ შეარყია რეფორმატორის ჯანმრთელობა. იგი გარდაიცვალა 1546 წლის 18 თებერვალს აისლებენში, იმ ქალაქში, სადაც დაიბადა. მისი ცხედარი გადაასვენეს ვიტენბერგში და დაასაფლავეს ეკლესიაში, რომლის კარებზეც მან ოდესღაც გამოაკრა თავისი ცნობილი თეზისები.

[19] Edwards Ir., Mark U., დასახ. ნაშრ., გვ. 203-204.

[20] ...როგვარი სიმებიანი საკრავი.

## 2. ინდულგენციებით ვაჭრობის ისტორია და „95 თეზისი"

რომაულ-კათოლიკურ ეკლესიას შუა საუკუნეების ევროპაში განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა. ეს იყო ფეოდალური სისტემის მსხვილი ინტერნაციონალური ცენტრი, რომელიც კათოლიკურ ქვეყნებს, ურთიერთბრძოლების მიუხედავად, ერთ ძალად კრავდა და უპირისპირებდა როგორც ბერძნულ-მართლმადიდებლურ, ისე მუსლიმურ სამყაროს. ეკლესია უმსხვილესი მიწათმფლობელი და ფეოდალიზმის იდეოლოგიური დასაყრდენიც იყო, იგი არსებული ფეოდალური წესრიგის ურყეობას ქადაგებდა. ამასთან, ეკლესიის ხელში იყო სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი, უპირველესად, სამედიატორო სასამართლოები, სადაც საეკლესიო დოგმებსა და ბიბლიის ტექსტებს კანონის ძალა ენიჭებოდა.

კათოლიკური ეკლესიის მესვეურებს გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ განათლებისა და კულტურის სფეროში. წიგნის ბეჭდვისა და ჰუმანიზმის განვითარების მიუხედავად, რაც თვალსაჩინო ხდება XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნის დასაწყისში, სკოლებსა და უნივერსიტეტებში მეტწილად საეკლესიო დოგმები და სქოლასტიკა ბატონობდა; სწავლა და მეცნიერული მუშაობა სქოლასტიკას ექვემდებარებოდა.

პაპის კურიას (კარდინალებს, კარისკაცებსა და უმაღლეს საეკლესიო ადმინისტრაციას) თავის განკარგულებაში ჰყავდა მორჩილი ბერული ჯარი, რომელსაც ყოველგვარ მომენტში შეეძლო ალეძრა სარჩელი მწვალებლობისა და არაკეთილსაიმედობის შესახებ, მიეტანა პაპის ბულის წყევლა ევროპის ყველაზე შორეულ კუთხეებში და კათედრის სიმაღლეებიდან დაეწყო ბრძოლა რომისათვის არასასურველი ყოველი საერო ხელისუფლების წინააღმდეგ.

შუა საუკუნეების დასასრულისათვის ეკლესიის ხელში იყო დასავლეთ ევროპის ყველა დამუშავებული მიწის მესამედი, სადაც უმოწყალოდ იყვლიფებოდნენ მრავალრიცხოვანი ყმები და მებეგრეები, ამასთან,

უბრალო ადამიანებს, რომლებიც ეკლესიის გამგებლობაში არ შედიოდნენ, სამღვდელოების შესანახად უნდა გადაეხადათ თავიანთი შემოსავლის მეათედი („საეკლესიო მეათედი“). ეს ექსპლუატაცია და ფეოდალმღვდლების სიხარბე სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა, თუმცა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებას ის შედეგიც ჰქონდა, რომ ხდებოდა ეროვნული ბაზრების ფორმირება და, ამის კვალდაკვალ, ძლიერი ნაციონალური სახელმწიფოების აღმოცენება. უკვე XV საუკუნიდან რომის პაპის თეოკრატიულ მისწრაფებას თავი დააღწიეს ინგლისმა, საფრანგეთმა, რომლებშიც ცენტრალიზებული მონარქიული ხელისუფლება მტკიცდებოდა. ამ სახელმწიფოებში ახლა თვით ეკლესიის შემოსავალს დაედო სახელმწიფო გადასახადები, ეკლესია უკვე ვერ სარგებლობდა „საერო მახვილის“ (საერო სახელმწიფო სამხედრო და პოლიციის ძალის) დახმარებით ისე, როგორც ეს ადრე იყო. ერთი სიტყვით, ახალი მონარქები უკვე ქმნიან მნიშვნელოვან დაბრკოლებას, რათა რომს კვლავ აღარ ესარგებლა მათი ნაციონალური სიმდიდრით.

ერთადერთი ქვეყანა, სადაც სასულიერო-ფეოდალური იერარქია, თვით რომის პაპის ჩათვლით, თავს ლაღად გრძნობდა, ეს იყო პოლიტიკურად დაქუცმაცებული და წინააღმდეგობათა ქაოსში გახვეული გერმანია. ყველაზე კეთილსინდისიერად და მკაცრად საეკლესიო გადასახადები გერმანიაში იკრიბებოდა მისი სამღვდელოების სიძლიერისა და სიმრავლის წყალობით. აქ იფურჩქნებოდა სიმონია (საეკლესიო ხარისხის გაყიდვა) და ანატები (ერთდროული გადასახადი პაპის კურიის სასარგებლოდ), რელიკვიებით ვაჭრობა და ეკლესიების მევახშური ოპერაციები. ფართოდ მიმართავდნენ იუბილეებზე ფულის აკრეფას. პაპის ლეგატები, ყვავების გუნდის მსგავსად, დაფრინავდნენ გერმანიაში, რათა საიუბილეო ფულის სახელით უკანასკნელი ლუკმა გამოეცალათ გლეხებისა და მოქალაქეებისათვის. მაგალითად, 1450 წლის იუბილეესთან დაკავშირებით გერმანიაში ჩამოვიდა თვით ნიკოლოზ კუზანელი, რომელიც საიუბილეო ბულას „50 პროცენტის დაკლებით“ ყიდდა. მართალია, ამან გარკვეული რეაქცია გამოიწვია გერმანიაში, პამფლეტიც კი გამოქვეყნდა მაინცში, სადაც სარკასტულად დასცინოდნენ კურიას, რომელიც „საზიზღარი და წყეული სიმონიის საშუალებით“ სასულიერო თანამდე-

ბობებს ყიდდა ბაზარში[21], ისე როგორც „ღორებსა და ძროხებს“. სამაგიეროდ იძარცვებოდა გერმანია, ოქრო და ვერცხლი უხვად მიედინებოდა რომში[22], რითაც პაპი თავის ხარჯებს ფარავდა. სწორედ ეს ძარცვა ჰქონდა მხედველობაში, როცა გერმანელი ჰუმანისტი ულრიხ ფონ ჰუტენი ზატოვნად წერდა: „ოქროთი და ვერცხლით სავსე ტომრები, მსგავსად ფრინველებისა, გერმანიიდან ალპების გავლით მიფრინავენ“. ეს ძარცვა კიდევ უფრო გააძლიერა ინდულგენციებით ვაჭრობამ, რომელმაც ფართო ხასიათი მიიღო გერმანიაში XVI საუკუნის დასაწყისში. 1501, 1504 და 1509 წლებში აქ გამოჩნდნენ ამ „წმინდა საქონლით“ მოვაჭრენი.

* * *

ინდულგენციებით ვაჭრობას, უპირველესად, თეორიული დასაბუთება სჭირდებოდა. ეკლესიამ იმთავითვე იზრუნა და ამ მიზნით შესანიშნავად გამოიყენა მოძღვრება ადამიანის მიწიერი არსებობის „ცოდვილიანობის“ შესახებ. ამ მოძღვრების მქადაგებლები უბრალო ადამიანებს იმაში არწმუნებდნენ, რომ ცოდვებისაგან განთავისუფლება მათ თვითონ არ ძალუძთ; „ხსნა“ შეუძლია მხოლოდ ღმერთს, იგი ანიჭებს „ხსნას“ თავისი რჩეული ადამიანების სულებს. ამასთან ერთად, კათოლიკური დოგმატიკის თანახმად, ღმერთმა ცოდვიან დედამიწას მოუვლინა თავისი დაწესებულებაც – ეკლესია, რომელიც „უძღვება“ „სულების ხსნის“ საქმეს, თუმცა საეკლესიო მოღვაწეობის ეს მხარე მისაწვდომი როდია რიგითი ადამიანებისათვის; მაშასადამე, ეკლესია ფლობს „საიდუმლოს“, რომელსაც ღმერთი ანდობს მას მისი (ე.ი. ღმერთის) „წყალობის“ გამგებლობის უფლებასთან ერთად. კათოლიკური ეკლესია ადამიანებისაგან (მათ მიერ ჩადენილი ცოდვების გამო) არ მოითხოვს შინაგან მონანიებას. სულის ხსნა, ანუ „გამართლება“, მათ ეძლევათ მექანი-

---

[21] პაპის კურიას თითქმის ყველა სასულიერო თანამდებობების სპეციალური პრეისკურანტი ჰქონდა, ამასთან, ფასი მათზე სწრაფად იზრდებოდა (Hoffmann W. Zur Geschichte der päpstlichen Kanzlei. Leipzig, 1904, S. 64).

[22] Лозинский С. Папский „департамент покаянных дел“. – Вопросы истории, религии и атеизма, Сб., 2, М., 1954, с. 336.

კურად მითითებული საეკლესიო წესების შესრულების შედეგად. კათოლიკური დოგმის თანახმად ეკლესიას აქვს შესაძლებლობა, „გამართლება“ მისცეს იმ ქრისტიანებსაც, რომლებიც არ წარმოადგენენ ღმერთის „რჩეულებს“, რამდენადაც ეკლესია „უფლებამოსილია“ არა მარტო ღვთიური წყალობა გაანაწილოს, არამედ გადაანაწილოს კიდეც, გადასცეს ერთს ის, რაც მეორეს ეკუთვნის. კათოლიკე ღვთისმეტყველები ამას ასაბუთებდნენ მისტიკური „ქრისტიანული კორპუსის“ (Corpus christianum) ერთიანობის შესახებ დოგმით, რომელსაც უმატებდნენ მეორე დოგმასაც — „საჭიროზე მეტი კეთილი საქმეების“ შესახებ. „თვითონ ქრისტემ, აგრეთვე მისი მოწაფეებისა და წამებულთა მრავალრიცხოვანმა ამალამ, — ქადაგებდა ეს დოგმა, — შეასრულა მრავალი კეთილი საქმე და ამით შექმნა „ეკლესიის კეთილ საქმეთა საგანძური“, „ზედმეტი მადლის ფონდი“. საჭიროა ამ „საგანძურის“ მოხმარება და მორწმუნეთა სულების ხსნა (როგორც დედამიწაზე, ისე სალხინებელშიც) მათ მიერ ჩადენილი ცოდვებისაგან, რათა ისინი ჯოჯოხეთის ნაცვლად სამოთხეში მოხვდნენ. ამ საგანძურის მოხმარება და მორწმუნეებზე მისი გაყიდვის უფლება აქვს რომის პაპს, როგორც ხილული ეკლესიის მეთაურსა და ქრისტეს ერთადერთ ჭეშმარიტ მონაცვლეს დედამიწაზე, აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც „პაპი მიანდობს ამ საქმეებს“. ერთი სიტყვით, ეკლესიას იმის პრეტენზია ჰქონდა, რომ მას შეეძლო გაეთავისუფლებინა ცოდვილი მასზე განკუთვნილი სასჯელისაგან (თავისი საქციელის აშკარა არაღვთისმოსაობის გამო რომ დაიმსახურა) როგორც ცოდვილის სიცოცხლეში, ისე გარდაცვალების შემდეგ სალხინებელში. აქედან გამოდიოდნენ, როცა კათოლიკე ღვთისმეტყველები ინდულგენციებით ვაჭრობის პრაქტიკას ასაბუთებდნენ. ძირითადი რელიგიური მოტივი მაინც, რომლიდანაც აღმოცენდა ინდულგენცია, სალხინებლის წინაშე შიშია, დანერგილი პაპების მიერ ფეოდალურ საერო ბატონობაზე მისი პირველი ხელყოფის მომენტიდან.

* * *

საერთოდ შენდობასა და ინდულგენციებით ვაჭრობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ წარმართულ რელიგიებში არსებობდა ჩვეულება გამოსასყიდი მსხვერპლისა, რომელიც დამნაშავე ადამიანს მიჰქონდა შეურაცხყოფილი ღმერთისადმი. პირველყოფილმა ქრისტიანობამ ეს ჩვეულება შეცვალა და იმის მტკიცება დაიწყო, რომ მიწიერი შეცოდებისათვის მხოლოდ ზეცაში მოხდება გადახდა, თუმცა ამ შეხედულებამ დიდხანს ვერ გაძლო. შექმნის პროცესში მყოფი კათოლიკური ეკლესია ცოდვილთ იმაში არწმუნებდა, რომ შესაძლებელია ამ ქვეყნად ნაწილობრივ მაინც გამოვისყიდოთ ღვთაებრივი სასჯელი თვითგვემით, მარხვით, მომლოცველობით. ეს იყო საეკლესიო მოსანანიებელი ტანჯვა — ეპიტიმია, რომელსაც X საუკუნიდან ცვლის მონანიებული მადლი ანუ სატისფაკცია. ამავე დროს, წარმოიქმნება საოცრად მოფიქრებული „კეთილი საქმეების" იერარქიაც. ყველაზე მაღალ საფეხურზე დგას სამსხვერპლო აქტები (ჩუქება, ბოძება), რომელიც ეკლესიის ინტერესებს შეესაბამებოდა; საშუალო საფეხურზე მოდის მოსანანიებელი მოქმედებანი, მოყვასისადმი სიყვარულის იდეას რომ ეფუძნებოდა და რომელიც ეკლესიის დავალებით ვლინდებოდა (მაგალითად, ეკლესიას ებოძებოდა ფული ღარიბებისათვის გადასაცემად). ყველაზე დაბლა იდგა ქრისტიანული კეთილმოსურნეობის ჩვეულებრივი გამოვლინება. სათნოების ამდაგვარი იერარქიული ინტერპრეტაცია, რა თქმა უნდა, ფეოდალური ეკლესიის გამდიდრებას ემსახურებოდა.

სატისფაქციამ, რომელსაც მალე უწოდეს ინდულგენცია (ე.ი. ცოდვების შენდობა) და რომელიც სხვა არაფერი იყო, თუ არა ადრე დანიშნული ეპიტიმიის შენდობა, ფართო გავრცელება ჰპოვა ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქაში. ამ დროს მკვიდრდება ტრადიცია — მიეცათ ყოველი მომნანიებლისათვის ზეციური განსაწმენდელი ტანჯვისაგან ნაწილობრივი მიტევების საშუალება. მაგალითად, შეიძლებოდა მონაწილეობის მიღება ჯვაროსნულ ლაშქრობებში[23]. იმათთვის, ვისაც პირადად არ შეეძლო მონაწილეობის მიღება ლაშქრობაში, შეეძლო თავისი შემცვლელი გაეგზავნა.

[23] Ludolphy I. დასახ. ნაშრ., გვ. 6.

1187 წელს პაპმა გრიგოლ VIII ცოდვები აპატია არა მარტო იმათ, ვინც პირადად მონაწილეობდა ჯვაროსნულ ლაშქრობაში, არამედ იმათაც, ვინც დაეხმარა მას ფულადი შესაწირით. სულ მოკლე დროში ინდულგენციამ მიიღო „წმინდა საქონლის" იარლიყი, რომელსაც მოგზაური ვაჭრები მთელ მსოფლიოში ავრცელებდნენ[24]. მათი ფართო და რეგულარული გავრცელებისათვის გამოიყენებოდა შესაბამისი ქაღალდის ნიშანი. XV საუკუნის 70-იანი წლებიდან კი ეკლესია ბეჭდური სახით ამზადებს ფასიან ქაღალდებს – მიტევების სიგელებს, რომელიც გადაეცემოდა მყიდველს. თანაც რომის კურიამ ისიც დაადგინა, რომ ეს სიგელები გაეყიდათ არა მარტო საიუბილეო წელს; იგი მიეყიდებოდა ცოდვილს იმ შემთხვევაშიც, თუ მას აღსარება არ ჰქონდა ნათქვამი. შენდობას ახლა მიცვალებულებზეც ავრცელებდნენ, ე.ი. გარდაცვლილის ნათესავს ან მეგობარს უფლება ჰქონდა ეყიდა მიტევების სიგელები იმათი სულებისათვის, ვინც იტანჯებოდა სალხინებელში. ერთი სიტყვით, რწმენის, სინდისისა და სათნოების გაყიდვით პაპები უზარმაზარ მოგებას ნახულობდნენ. შეიძლებოდა არათუ ჩადენილი ცოდვის, არამედ ჯერ არ მომხდარ ცოდვათა გამოსყიდვაც კი, არა მარტო უბრალო, არამედ მომაკვდინებელი ცოდვაც ეპატიებოდა წყალობის სიგელის მყიდველს. მეტიც, პაპ იოანე XXII (1316-1334 წლები) ინდულგენციის გასაყიდი ნიხრიც (ფასიც) კი ჰქონდა დაწესებული[25]. აი, ზოგიერთი ამონაწერი ღვთის „მონაცვლის" პრეისკურანტიდან, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ რა სახის ცოდვა რა თანხის ინდულგენციის შეძენით გამოისყიდებოდა:

„მღვდლის მიერ ქალიშვილის გაუპატიურება – 2 ლივრი და 8 სუ[26];

მღვდლის მიერ ნათესავ ქალებთან ჩადენილი მრუშობა – 67 ლივრი და 12 სუ;

მონაზვნის ცოდვა რამდენიმე მამაკაცთან – 131 ლივრი და 15 სუ;

მღვდლისათვის უფლების მიცემა ნათესავ ქალთან ცხოვრებისათვის – 76 ლივრი და 1 სუ;

---

[24] Ludolphy I., დასახ. ნაშრ., გვ. 7.

[25] 1470 წელს ხელახლა გამოიცა იოანეს ეს ნიხრი, მაგრამ უკვე გაძვირებული ფასით.

[26] ლივრი ვერცხლის მონეტა იყო და მასში შედიოდა 20 სუ. იმ დროის ხის ბოძი, რომელზეც აკრავდნენ სიკვდილმისჯილ პირს დასაწვავად, ღირდა 2,5 სუ, ე.ი. ერთ ლივრად შეიძლებოდა 8 ასეთი ბოძის ყიდვა.

გაძარცვა, ქურდობა და გადაწვა – 131 ლივრი და 7 სუ;

ერისკაცის მიერ ჩადენილი ერთი მკვლელობის შენდობა ფასდება 15 ლივრად და 4 სუდ. თუ მკვლელი ერთსა და იმავე დღეს მოკლავს რამდენიმე კაცს... მაშინ ის გადაიხდის მხოლოდ ერთი მკვლელობისათვის;

საკუთარი ბავშვის დამხრჩობმა უნდა გადაიხადოს 17 ლივრი და 15 სუ;

ძმის, დის, მამის, ან დედის მკვლელობისათვის უნდა იქნეს გადახდილი 17 ლივრი და 15 სუ;

ის, ვინც მოისურვებს იყიდოს ავანსად შენდობა მთელი ცხოვრების მანძილზე ყოველგვარი შესაძლებელი შემთხვევითი მკვლელობისათვის, ვალდებულია გადაიხადოს 168 ლივრი და 15 სუ;

ქმრის მიერ ცოლის ცემა – 3 ლივრი და 14 სუ;

რამდენიმე მღვდლის მკვლელობისათვის: პირველის მოკვლისათვის – 137 ლივრი და 6 სუ, ყველა დანარჩენიდან თითოეულისათვის – ამის ნახევარი ფასი;

მწვალებელი, რომელიც ეკლესიას დაუბრუნდება – 269 ლივრი"[27].

ერთი სიტყვით, პაპობის ვერავითარი მოძულე ვერ შეძლებდა უფრო დამაჯერებელი სატირის მოფიქრებას კათოლიკურ ეკლესიაზე, ვიდრე ამას პაპი აკეთებდა. ნიხრი საოცარი სიცხადით გადაგვიშლის ეკლესიის მსახურთა გარყვნილობისა და სიხარბის მთელ სიღრმეს. პეტრარკას სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში, როცა აღშფოთებული წერდა პაპის რომზე: „ოქრო თუ გაქვთ, ამ წყეულ ქალაქში თქვენ შეგიძლიათ გარყვნათ საკუთარი დები, მოკლათ საკუთარი მშობლები; ოქროთი სავსე ქისით აქ თქვენ შეგიძლიათ გახსნათ ცის კარი, იყიდოთ წმინდანები, ანგელოზები, ღვთისმშობელი, სულიწმინდა, იესო ქრისტე და თვით მამა-ღმერთიც. პაპი ყველაფერს ყიდის ოქროზე, ყველაფერს..., გარდა თავისი ტიარისა"[28].

პოეტს, დ. მიხნევიჩის თქმით, არ შეეძლო განეჭვრიტა, რომ პეტრარკას გარდაცვალების ას წელზე ცოტათი მეტი ხნის შემდეგ პაპი

---

[27] Михневич Д. Очерки из истории католической реакции (иезуиты). М., 1955, с. 28; Календарь антирелигиозника на 1941 год, с. 110.

[28] Михневич Д., დასახ. ნაშრ., გვ. 29.

ინოკენტი VIII პაპის ტიარასაც დააგირავებდა ასი ათას დუკატად[29].

ამგვარად, კათოლიკურმა ეკლესიამ სამოთხესა და ჯოჯოხეთში შესვლის საკითხი არა მარტო ვაჭრობის საგნად აქცია, არამედ ცოდვის აქვე გამოსყიდვის დაწესებით დიდად შეუწყო ხელი ზნეობრივ დეგრადაციას და ყოველგვარი ბოროტმოქმედების – მკვლელობის, ქურდობის, გაუპატიურებისა და სხვა უხამსი საქმეების – ჩადენის გახშირებას მორწმუნეებში.

ზნეობრივი დეგრადაციისა და ყოველგვარი უხამსობის ამდაგვარი გამოვლინების საუკეთესო ნიმუში მაინც, როგორც ზემოთ ვთქვით, დაქუცმაცებული გერმანია იყო. „არც ერთი ერი არ განიცდიდა პაპიზმის „ზომიერ" ბატონობას ისე მძიმედ და დამთრგუნველად", როგორც გერმანელები[30]. სწორედ გერმანია იყო პაპისათვის ყველაზე ერთგული მეწველი ფური. ამ ძარცვაში კი რომის პაპი ეყრდნობოდა ადგილობრივ „წარჩინებულ პირებს", როგორც ეკლესიის მსახურებს, ისე საერო მთავრებს, რომელთა სამფლობელოებშიც წარმოებდა ინდულგენციებით ვაჭრობა. პაპი ეყრდნობოდა გერმანელ მევახშეებსაც; ინდულგენციის გაყიდვის უფლებას ზოგიერთი მათგანი ქრთამის გზით იძენდა, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ თაღლითების ჯილაგი ეწეოდა საზიზღარ საქმოსნობას. ისინი მზად იყვნენ თვით სამშობლო-გერმანიაც კი გაეწირათ, ოღონდაც პირადი კეთილდღეობა შეენარჩუნებინათ. ეს მარიონეტები რომის პაპთან და მის აგენტებთან ადვილად ნახულობდნენ საერთო ენას. ასე იყო 1517 წლის ოქტომბერსაც, როცა პაპმა ლეო X (1513-1521 წლები) გამოსცა მორიგი, 18 ოქტომბრის ბულა ცოდვების მიტევებისა და ინდულგენციებით ვაჭრობის შესახებ, რათა ამ გზით მიღებული თანხა მოეხმარათ „წმინდა პეტრეს ტაძრის აგებისა და ქრისტიანული სამყაროს სულების ხსნისათვის"[31]. გერმანიაში ინდულგენციებით ვაჭრობის უფლება მიეცა მაინცის არქიეპისკოპოსს – ალბრეხტს, რომელმაც, თავის მხრივ, „წმინდა საქონლის" გასაღება დაავალა თავის აგენტს, დომინიკანელ ბერ იოანე ტეცელს. ამ უკანასკნელმაც, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა პაპის ზედამხედ-

---

29 Михневич Д., დასახ. ნაშრ., გვ. 29.

30 Holborn H. Ulrich von Hutten. Lpz., 1929, S.119.

31 Смирин М. Германия эпохи Реформации и Великой крестьянской войны, с. 155.

ველის ჩინი, ფუგერების ბანკირთა სახლის წარმომადგენლის თანხლებით[32] ინდულგენციების საოცრად ცინიკური და თავხედური ვაჭრობა გააჩაღა. „ეკლესიაში დასმულ პაპის ღერბიან შენდობის წითელ ჯვარს, — ამბობდა იგი, — ისეთივე ძალა აქვს, როგორიც ქრისტეს ჯვარს... ვინც ყუთში ჩაუშვებს ფულს სალხინებელში ვინმეს სულისათვის და როგორც კი მონეტა მიაღწევს ძირამდე და გაწკარუნდება, სული მაშინვე ზეცაში გაფრინდება. შენდობის მადლი სწორედ ის მადლია, რომელიც ადამიანს ღმერთთან შეარიგებს. საჭირო არ არის მონანიება, თვითგვემა და ეპიტიმია ცოდვისათვის, თვით მომავალი ცოდვებისთვისაც კი, თუ ვიყიდით ინდულგენციას ანუ შენდობის სიგელს". „ინდულგენციის შემსყიდველი, — განაგრძობს ტეცელი, — ხდება მისგან (ე.ი. ინდულგენციისაგან — გ.კ.) უფრო სუფთა, ვიდრე... ადამი იყო სამოთხეში ცოდვასთან ზიარებამდე. ინდულგენციების გამყიდველი ადამიანებს ხდის უფრო მეტად წმინდანებს, ვიდრე იყო პეტრე მოციქული... არ არის ისეთი ცოდვა, რომელიც არ დაიფარება ინდულგენციით, იყიდეთ ინდულგენცია და თქვენ გეპატიებათ მომაკვდინებელი ცოდვა, ჩადენილი თვით ღვთისმშობელთანაც კი. მოიტათ! მოიტათ! გადმოალაგეთ ფულები! ისარგებლეთ შემთხვევით! გადაარჩინეთ თქვენი ნათესავები და ახლობლები ჯოჯოხეთში ცოდვის განმწმენდელი ტანჯვისაგან"[33].

ბუნებრივია, ტეცელის საქმიანობას გერმანიაში არ შეიძლება ერთსულოვანი მხარდაჭერა ჰქონოდა. მოწინავე ადამიანები სულ მალე უკმაყოფილებამ და აღშფოთებამ მოიცვა. აღშფოთებას ვერ მალავდა ლუთერიც, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ტეცელმა თავისი სავაჭრო დუქანი გახსნა ვიტენბერგის ახლოს, იუტერბოკსა და ცერბსტში, სადაც თავს იყრიდა ხალხი. ამაში, კ. ლამპრეხტის მართებული თქმით, მნიშვნელოვანი როლი ასეთმა გარემოებამაც შეასრულა: 1515 წელს, მას შემდეგ, რაც ავად გახდა ვიტენბერგის მღვდელი — სიმონ გეინზე, მის ნაცვლად დაინიშნა ლუთერი (ერთდროულად ვიტენბერგის უნივერსიტეტის თეოლოგიის პროფესორიც იყო). მართალია, თავდაპირველად

[32] აღებული თანხის ნახევარი რომის პაპს ეგზავნებოდა, მეორე ნახევარი კი უნდა მიეცათ ფუგერებისათვის იმ ვალის დასაფარავად, რომელიც მაინცის ეკლესიას ემართა (I. Ludolphy, დასახ. ნაშრ., გვ. 7-8).

[33] Хрестоматия по истории средних веков, т. Ш, М., 1950, с. 108.

ლუთერი უხალისოდ მოეკიდა მღვდლის მოვალეობას, მაგრამ დროთა განმავლობაში შეეჩვია მას და ჭეშმარიტ მოძღვრადაც გადაიქცა, ისე გაიწაფა, რომ დღეში ხშირად რამდენჯერმე წარმოთქვამდა ქადაგებას. მისი მეგობრები ხუმრობდნენ კიდეც. „ჯერ კიდევ გაუგებარია, მღვდელია იგი, თუ პროფესორი"[34]. და აი, როცა ვიტენბერგის ახლოს გამოჩნდა ტეცელი, რომელიც ინდულგენციების ვაჭრობით ხრწნიდა რელიგიურ თემს, ანგრევდა სახარების იმ ზნეობრივ ნორმებს, რასაც ლუთერი ქადაგებდა, ამის მოთმენა უკვე აღარ შეიძლებოდა, მორწმუნე თემისადმი მოძღვრის პასუხისმგებლობამ ლუთერს გადამჭრელი გადაწყვეტილების მიღება შთააგონა. მართალია, თავისი თეზისების გამოქვეყნებამდე ბევრად ადრე, 1516 წელს, ლუთერი ქადაგებდა ინდულგენციებით ვაჭრობის წინააღმდეგ, მაგრამ ამან სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. საჭირო შეიქნა ახალი გზის ძიება. როგორც პროფესორს, ლუთერს უფლება ჰქონდა ჩამოეყალიბებინა თეზისები საკამათო საკითხებზე და მოეწვია მოწინააღმდეგე მათი განხილვისათვის.

მართლაც, 1517 წლის 31 ოქტომბერს, ვიტენბერგის ეკლესიის კარებზე ლუთერმა გამოაკრა თავისი „95 თეზისი". ამ თხზულების რამდენიმე ეგზემპლარი, როგორც მოსაწვევი, მან წესის თანახმად დაგზავნა დისპუტისათვის. თეზისები ელვისებური სისწრაფით (14 დღეში) გავრცელდა მთელ გერმანიაში, ამან თვით ლუთერიც კი განაცვიფრა. სინამდვილეში თეზისების გავრცელებისათვის იზრუნეს მისმა მეგობრებმა და წიგნის მბეჭდავებმა, რომლებმაც მასში სარგებელი დაინახეს. თეზისებმა მთელ გერმანიაში პოვა გამოძახილი. ალბრეხტ დიურერმა მადლობის ნიშნად ლუთერს გამოუგზავნა ხესა და სპილენძზე შესრულებული გრავიურებიანი რამდენიმე წიგნი[35].

ამდაგვარი გავრცელებისა და გამოძახილის მიუხედავად, ვიტენბერგში თეზისების განხილვის დროს არავინ არ მოსულა. არსებითი რეაქციის გარეშე დარჩა ლუთერის წერილიც, რომელიც თეზისებთან ერთად დაუგზავნა საეკლესიო ხელისუფალთ, მაინცის არქიეპისკოპოსს ალბრეხტსა და ბრანდენბურგის ეპისკოპოსს იერონიმეს[36]. ერთადერთი ტეცელი იყო, წერილობითი ანტითეზისებით რომ გამოვიდა, რისთვისაც

34 Лампрехт К. История германского народа, т. III, ч.5, М., 1896, с. 172.
35 Ludolphy I., დასახ. ნაშრ., გვ. 8.
36 იქვე.

მას იმავე 1517 წლის ბოლოს თეოლოგიის დოქტორის ხარისხი მიანიჭეს ფრანკფურტის უნივერსიტეტში, რომელიც ვიტენბერგის უნივერსიტეტის მოწინააღმდეგე იყო.

მაინც რითი იპყრობს ყურადღებას თეზისები? განა ლუთერამდე არ იყვნენ ადამიანები გერმანიაში, რომლებიც ილაშქრებდნენ ინდულგენციებით ვაჭრობის წინააღმდეგ?

რა თქმა უნდა, ლუთერი პირველი არ ყოფილა გერმანიაში, ვინც ხმა აღიმაღლა ინდულგენციების წინააღმდეგ. ლუთერამდე ინდულგენციებით ვაჭრობას ებრძოდა მრავალი ჰუმანისტი, განსაკუთრებით კი ცნობილი სატირის — „ბნელი ადამიანების წერილების" ავტორები. მაგალითად, ულრიხ ფონ ჰუტენი შემდეგი სიტყვებით მიმართავდა რომის პაპ იულიუს II: „სირცხვილი არაა, იულიუს, გაყიდო ის, რასაც ყველაზე მეტად შენ საჭიროებ?" „იულიუსი — ეს ავაზაკი, — წერდა შემდეგ ჰუტენი პაპზე, — რომელიც გასვრილია ყოველგვარი ბიწიერებით, თვითნებურად კეტავს ზეცას ერთის წინაშე და უხსნის მას მეორეს. მისი მეშვეობით ერთნი განცხრომაში არიან, მეორენი კი — ტანჯვაში"[37]. მაგრამ გერმანელი ჰუმანისტები, ინდულგენციებით ვაჭრობას რომ აკრიტიკებდნენ, მის უზნეობას უფრო იმაში ხედავდნენ, რომ ამ გზით მოგებული თანხა ხმარდებოდა არა ღვთისმოსაობის მიზნებს, არამედ თვით პაპის ფუფუნებით ცხოვრებას. ისინი ვერ ხვდებოდნენ, რომ შენდობის გაყიდვა — ესაა ერისკაცთა ფეოდალური ექსპლუატაციის განსაკუთრებული ნაირსახეობა, რომელიც დაფუძნებულია გამოსასყიდი მსხვერპლის იდეაზე; ისინი ვერ ხედავდნენ, რომ ბაზარზე გამოტანილი შენდობის სიგელი — ეს მხოლოდ ეპიტიმიისა და სატისფაქციის შენაცვლებაა. ყველაფერი ეს შესანიშნავად განჭვრიტა ლუთერმა. ეკლესიაში, რომელიც ინდულგენციებს ყიდდა, მან დაინახა არა უბრალოდ ვაჭარი, არამედ მოვაჭრე ფეოდალი, რომელსაც ტაძრის აშენება სურდა „თავისი სამწყსოს ძვლებით, ხორცითა და ტყავით". ლუთერმა ისიც შესანიშნავად განჭვრიტა, რომ ეკლესიის ამდაგვარი მისწრაფებების დაძლევა საეკლესიო დოგმების პრინციპული კრიტიკის გარეშე შეუძლებელი იყო. მისი თეზისების სიახლე სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მათში იგმობოდა არა მარტო ინდულგენციებით ვაჭრობის ამორა-

---

[37] Штраус Д., Ульрих фон Гуттен. СПБ., 1896, с. 64.

ლური მხარე, არამედ კათოლიკური დოგმების ის სისტემაც, რომელზეც დაფუძნებული იყო საეკლესიო-ფეოდალური ექსპლუატაცია. აი, ის თეზისებიც, რომლებშიც დაგმობილია ის აზრი, რომ ეკლესიას ან პაპს შეუძლია ადამიანებს მისცეს „ცოდვების მიტევება" რომელიმე „საიდუმლოს" ძალით ან კიდევ ისინი ასრულებენ შუამავლის როლს ადამიანებსა და ღმერთს შორის: „ცდებიან ინდულგენციის მქადაგებლები, რომლებიც ირწმუნებიან, რომ ადამიანი პაპის ინდულგენციის წყალობით ყოველგვარი სასჯელისაგან თავისუფლდება და მოიპოვებს ხსნას" (21-ე თეზისი); „განსაკუთრებით უნდა ვერიდოთ იმათ, ვინც ამბობს, რომ პაპის ინდულგენცია — ესაა ფასდაუდებელი ღვთიური ნიჭი, რომლის შემწეობითაც ადამიანი ურიგდება ღმერთს" (33-ე თეზისი); „ამაოა და ფუჭი იმედი ინდულგენციების დახმარებით ხსნისა, მაშინაც კი, თუ ზედამხედველი, თვით პაპიც კი, ამისათვის თავის სულს დააგირავებს" (52-ე თეზისი); „უგუნურებაა ის მოსაზრება, თითქოს პაპის ინდულგენციას ისეთი ძალა ჰქონდეს, რომ მაშინაც კი შეეძლოს ადამიანის ცხონება, თუ იგი ღვთისმშობელს შებღალავს" (75-ე თეზისი); „ამის საპირისპიროდ ჩვენ ვამბობთ, რომ პაპის ინდულგენციას სულ უმნიშვნელო შეცოდების შემთხვევაშიაც კი არ ძალუძს დანაშაულის მოხსნა" (76-ე თეზისი); „როცა ამბობენ, თვით წმინდა პეტრეც კი, ახლა რომ პაპი იყოს, ვერ შეძლებდა უფრო დიდი მადლის (ვიდრე ინდულგენციაა) ბოძებას, ეს ცილისწამებაა წმინდა პეტრესა და პაპის მიმართ" (77-ე თეზისი).

აღსანიშნავია, რომ ლუთერი კიცხავდა არა მარტო ინდულგენციებით მოვაჭრეთა საქმიანობას, არამედ ამ „წმინდა საქონლის" შეძენის მსურველებსაც. „სამუდამოდ შეჩვენებული იქნებიან თავიანთ მოძღვრებთან ერთად ისინი, — ნათქვამია 32-ე თეზისში, — ვინც დარწმუნებულია, რომ ინდულგენციის მეშვეობით მოიპოვებს დახსნას". ლუთერის გულისწყრომას განსაკუთრებით იმ ადამიანთა საქციელი იწვევდა, ვინც ღარიბსა და გაჭირვებულს დაინახავდა და არ გაიღებდა მოწყალებას, ვინც საკუთარი ოჯახის შესანახი სახსრების დაზოგვას ინდულგენციების შეძენას ამჯობინებდა. ლუთერი ხალხს იმაში არწმუნებდა, რომ პაპისეული შენდობა „სიყვარულის სხვა კეთილ საქმეებზე მაღლა" არ იდგა (41-ე თეზისი), ხოლო კეთილ საქმეებს ვერავითარი წყალობის სიგელი ვერ

შეცვლიდა. კეთილი საქმეები იმიტომაც არის საჭირო, რომ მისი წყალობით ადამიანებს შორის იზრდება სიყვარული, ადამიანიც უკეთესი ხდება და, საბოლოო ჯამში, ღმერთისადმი მისი სიყვარულიც ძლიერდება (42-ე და 46-ე თეზისი). როგორც ვხედავთ, ლუთერი შორს იდგა „კეთილი საქმეების" კათოლიკური გაგებისაგან.

ლუთერი მორწმუნეებს იმასაც უმტკიცებდა, რომ ინდულგენციებით ვაჭრობა მიზნად ისახავდა ჭეშმარიტად არა მორწმუნეთა სულისათვის ზრუნვას, არამედ მხოლოდ ანგარებით მიზნებს. ჯერ ერთი, მისი თქმით, ასეთ ვაჭრობას „დიდი მოგება მოაქვს" (67-ე თეზისი), მეორეც, იგი ხელს უწყობს ზოგიერთი დაინტერესებული პირის დაუმსახურებულ დაწინაურებას, იმას, რომ იგი „უკანასკნელებს პირველებად აქცევს" (64-ე თეზისი).

მაშასადამე, ლუთერის აზრით, მორწმუნეებმა „სულების ხსნა" უნდა მოიპოვონ არა ინდულგენციების შეძენით, არამედ ჭეშმარიტი მონანიებით. ესაა შინაგანი პროცესი, რომელიც ქრისტიანის მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება. თუ ადამიანი ჭეშმარიტად ინანიებს, მაშინ ის მზადაა მიიღოს ზეციური სასჯელები და არა აქვს არავითარი ფარული აზრი დაუსჯელობის შესახებ (1-ელი და მე-4 თეზისი). იმავე აზრს გადმოსცემდა ლუთერი, როცა წერდა: „ყოველ ქრისტიანს, რომელიც გულწრფელად ინანიებს, სასჯელისა და დანაშაულის სრული მიტევება ინდულგენციის გარეშეც ეკუთვნის" (36-ე თეზისი). ამგვარად, ლუთერის ღრმა რწმენით, ადამიანების განთავისუფლება ცოდვებისაგან გარედან მოხვეულ არავითარ მოწყალების სიგელს არ ძალუძს; ცოდვა – ესაა სულის ხრწნა და მისგან განწმენდა, დასაბამიერი სიწმინდის აღდგენა კაცში შეუძლია ერთადერთ ღვთიურ მადლს, წყალობას, რომელიც ადამიანებს ეძლევათ არა ეკლესიის შუამავლობით ან ინდულგენციის შეძენის გზით, არამედ უშუალოდ ღმერთისაგან. ღმერთი მადლს მოგვაგებს მისივე წმინდა სიკეთისა და მაცხოვრის ღვაწლის გამო, რათა წარწყმედისაგან იხსნას ჩვენი სულები. „ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანი, ცოცხალი თუ მკვდარი, მონაწილეა ქრისტესა და ეკლესიის ყოველგვარი სიკეთისა, რაც მას ასევე ინდულგენციის გარეშე, ღვთისაგან აქვს ნაბოძები" (37-ე თეზისი), – ასკვნიდა ლუთერი.

ამგვარად, თავს ესხმოდა რა ინდულგენციებით ვაჭრობას, ლუთერი

კითხვის ქვეშ აყენებდა ციური გამოსასწორებელი სასჯელების უფლებაზე ეკლესიის პრეტენზიას, იგი ასევე ეჭვის ქვეშ აყენებდა თვით ტრადიციულ ეპიტიმიას და მორწმუნეებს სინდისის მოთხოვნილებასთან აახლოებდა, ხელს უწყობდა ადამიანში ზნეობრივი დამოუკიდებლობის, მართლშეგნებისა და თვითკრიტიკის განვითარებას.

ამასთან, ლუთერის სიტყვები — „ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანი, ცოცხალი თუ მკვდარი, მონაწილეა ქრისტესა და ეკლესიის ყოველგვარი სიკეთისა" — სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ღვთიური მადლი ყველა ქრისტიანის ხვედრია. თვით მოყვანილი სიტყვებიდან ჩანს, რომ ლუთერთან ღვთიური მადლის მონაწილეა მხოლოდ ჭეშმარიტი ქრისტიანი, ის ადამიანები, რომლებიც განუხრელად მისდევენ ქრისტეს მოძღვრებას, გულწრფელად ინანიებენ, ეძლევიან თვითგვემას და ამგვარად მოიპოვებენ სასუფეველში შესვლის უფლებას. ლუთერი გამონაკლისსაც უშვებდა: მისი აზრით, თვით ცოდვილიც (რა თქმა უნდა, თუ მომაკვდინებელი ცოდვა არა აქვს ჩადენილი) მიიღებს ღვთის მადლს, თუ გულწრფელი მონანიებით მიაღწევს სრულყოფილებას, თუმცა ეს ყველას როდი შეუძლია. „ჭეშმარიტი მომნანიებელი", ლუთერის თქმით, ისევე იშვიათია, როგორც „ინდულგენციის ჭეშმარიტი მყიდველი, დიახ, ასეთები ძალზე იშვიათია" (31-ე თეზისი).

გულწრფელი მონანიების აუცილებლობას რომ ქადაგებდა, ლუთერი იმ აზრსაც გამოთქვამდა, რომ ეს შეუძლებელია ღმერთისადმი რწმენის გარეშე, ისეთ ვითარებაშიც, როცა ეკლესიებში ინდულგენციების ქადაგებას უფრო მეტი დრო ეთმობა, ვიდრე სახარებას (53-ე და 55-ე თეზისი). მართალია, აქ ისე თამამად არ არის ნათქვამი, როგორც 1513-1516 წლების „საკითხავებში", მაგრამ მინიშნებით მაინც ვლინდება ლუთერისეული რწმენით გამართლების თეორია, რომლის თანახმად ადამიანები „სულის ხსნას", ანუ „გამართლებას" მოიპოვებენ არა საეკლესიო „საიდუმლოებებისა" და „კეთილი საქმეების" გზით, როგორც ამას კათოლიკე ღვთისმეტყველები ქადაგებდნენ, არამედ „მხოლოდ რწმენის" დახმარებით. ეს თეორია ეჭვის ქვეშ აყენებდა მთელი საეკლესიო იერარქიის საჭიროებას.

რწმენით გამართლების ლუთერისეული თეორიიდან უშუალოდ გამომდინარეობს დებულება იმის შესახებაც, რომ პაპის დეკრეტები და

მიმართვები, საეკლესიო დადგენილებანი და ა.შ., რომლებიც „საღვთო გადმოცემებში“ ერთიანდებიან, უარსაყოფია (თუმცა თეზისებში ხელაღებით უარყოფასთან არა გვაქვს საქმე), რადგან მრავალი შეცდომის შემცველია. ერთადერთი ავტორიტეტი, რომელსაც, ლუთერის აზრით, უნდა დაეყრდნონ ქრისტიანები, ესაა საღვთო წერილი, რომელიც გაცილებით უფრო ადრინდელია, „ეკლესიის ჭეშმარიტი საგანძური კი, – ნათქვამია 62-ე თეზისში, – არის ღვთის დიდებისა და მადლის წმინდა სახარება“.

კათოლიკური ეკლესიისა და სამღვდელოების ავტორიტეტის ამდაგვარი კრიტიკის მიუხედავად, არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს ლუთერი „თეზისებში“ აბსოლუტურად გამორიცხავდა ეკლესიისა და სამღვდელოების როლს. ლუთერი, როცა ქადაგებდა – ადამიანს მორჩილება მართებს ღმერთისადმი, – იქვე მიუთითებდა იმასაც, რომ ეს მორჩილება მას მღვდლის დახმარების გარეშე არ შეუძლია. „ღმერთი, – ნათქვამია მე-7 თეზისში, – საერთოდ, არც ერთ დანაშაულს არ მიუტევებს ისე, თუ, ამავე დროს, ცოდვილს ყველაფერში არ დაუმორჩილებს მღვდელს, როგორც თავის მონაცვლეს“[38]. მაშასადამე, ლუთერი ეკლესიასა და სამღვდელოებას ჯერ კიდევ უყურებდა როგორც ძალას, რომელიც ჩაყენებულია ღვთის სამსახურში, ისინი ადამიანებს ღვთის წინაშე „შუამდგომლობას“ უწევენ, მეტიც, ფლობენ ღვთის მადლსაც, საიდანაც პაპი გასცემს შენდობას, მაგრამ ლუთერი იქვე განმარტავდა: პაპის მადლსა და შენდობას ყოვლისმომცველი ძალა არა აქვს. მსგავსად ტაულერისა[39], რომელიც ქადაგებდა, ეკლესიას და პაპს შეუძლიათ ადამიანებს ჩამო-

[38] „მღვდლის“ ქვეშ აქ, რა თქმა უნდა, პაპი იგულისხმება, თანაც მას ღვთის მოადგილედაც მოიხსენიებს, მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ სიტყვებში ლუთერი ზუსტად იმავე შინაარსს დებს, როგორსაც კათოლიკე ღვთისმეტყველები.

[39] ლუთერი ტაულერის ქადაგებებს მაღალ შეფასებებს აძლევდა. სპალატინისადმი წერილში (1516 წელი) მას ნათქვამი აქვს: „თუ შენ გსურს გაეცნო სად თეოლოგიას გერმანულ ენაზე, რომელიც სავსებით ჰგავს ძველს, მაშინ შეიძინე იოჰან ტაულერის ქადაგებანი, რადგან არც ლათინურ და არც გერმანულ ენებზე მე არ მინახავს უფრო სადი და სახარების შესატყვისი თეოლოგია“ (Ullmann C. Reformatoren vor der Reformation,Bd.II,1866,s. 192). ტაულერის გავლენა ეტყობა ლუთერის თეზისების ერთ ნაწილს. ამ გავლენის შესახებ ვრცელი საუბარი აქვს მ. სმირინს თავის წიგნში – „Народная реформация Томаса Мюнцера и Великая крестьянская война“. ტაულერისა თუ სხვა მისტიკოსების გარკვეული გავლენის მიუხედავად, ლუთერი შორს დგას მისტიკოსათვის დამახასიათებელი მეტისმეტი მგრძნობელობისაგან. ის, რაც მისწონდა ლუთერს და მის ხელზე კეთილად მოქმედებდა, იყო გულითადი სითბო, რომელსაც ავლენს მისტიკა ღმერთის ადამიანებთან ურთიერთობაში.

ართვან მხოლოდ ის, რასაც თვითონ გასცემენო[40], ლუთერიც გამოთქვამს მოსაზრებას, რომ პაპისეულ მადლსა და შენდობას ძალა აქვს არა სალხინებელში (ლუთერის სიტყვებით რომ ვთქვათ, პაპის ხელთ არსებული „გასაღები“ ვერ მოერგება სალხინებელს, ღვთაებრივ მადლს, შინაგან მონანიებას, რწმენას და ა.შ., რომლებიც უშუალოდ ღმერთს ექვემდებარებიან), არა ყოველგვარ ცოდვათა მიტევებისათვის, როგორც ამას ინდულგენციებით მოვაჭრენი ქადაგებდნენ (21-ე და 75-ე თეზისი), არამედ განსაკუთრებულ შემთხვევაში, ისეთი „საკრამენტული“ სასჯელების მისატევებლად, რომელიც თვითონ პაპის მიერ იყო დადებული. „პაპს, – ნათქვამია მე-5 თეზისში, – არ სურს და არც შეუძლია განთავისუფლება რაიმე სხვა სასჯელისაგან, გარდა იმისა (ეპიტიმიისა), რაც მან თვითონ დაადო საკუთარი გადაწყვეტილებით ან კანონების თანახმად“. ამგვარად, ლუთერი კატეგორიულად ილაშქრებდა ღვთაებრივი უფლებების ხელყოფის წინააღმდეგ, გამორიცხავდა ზეციური გამოსასწორებელი სასჯელების უფლებაზე პაპის პრეტენზიას. თვითონ ეკლესიისა და პაპის „შუამდგომლობასაც“ ადამიანებისადმი, მისი აზრით, საფუძვლად უნდა დასდებოდა არა „ანგარება და სიხარბე“, არამედ ღვთის ნება, საღვთო წერილი. პაპს მის მიერ დადებული სასჯელის პატიება მხოლოდ მაშინ შეეძლო, თუ წინასწარ განაცხადებდა და დაადასტურებდა, რომ ეს „ცოდვა ღვთის მიერაა შენდობილი“ (მე-6 თეზისი). ერთი სიტყვით, ეკლესიასა და სამღვდელოებას, თეზისების მიხედვით, ეკისრება არა ის როლი, რომლის პრეტენზიაც აქვთ, არამედ მეტად შეზღუდული. სახელდობრ, მათ მართებთ ლოცვა, კეთილი რჩევები და სახარების გაცნობა ადამიანებისათვის, თვით შენდობის გაცემაც ლოცვით უნდა ხდებოდეს. „ქრისტიანებს უნდა ვასწავლოთ: პაპს ინდულგენციების გაცემასა და ფულის ამოღებაზე უფრო გულმხურვალე ლოცვა სურს თავისთვის“, – ამბობს ლუთერი 48-ე თეზისში. ანალოგიურ შინაარსს შეიცავს 26-ე თეზისიც. ამგვარად, ღვთისმოსავ ლოცვასა და სახარების ქადაგებაში ხედავდა ლუთერი პაპების უპირველეს მოვალეობას.

პაპს და, საერთოდ, სამღვდელოებას ლუთერი იმისკენაც მოუწოდებდა, რომ განუხრელად ეზრუნათ ეკლესიის სიწმინდისა და ავ-

[40] Tauler I. Predigten. Bd.II. Jena. 1913. S. 58-59.

ტორიტეტის ამაღლებისათვის. ეპისკოპოსებმა და მოძღვრებმა, მისი თქმით, თვალყური უნდა მიადევნონ იმას, რომ შენდობის მქადაგებლები „პაპისეულ დავალებათა ნაცვლად საკუთარ მონაჩმახს არ ქადაგებდნენ" (70-ე თეზისი). მათ ბოლო უნდა მოუღონ სამღვდელოების თვითნებობასა და სიხარბეს, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იწვევს ერისკაცთა ბოროტ ჭორებსა და „მწვავე შეკითხვებს", რომლებზეც თვით სწავლულებსაც უჭირთ პასუხის გაცემა და „პაპის ღირსების დაცვა" (81-ე თეზისი). აი, ეს კითხვებიც: „რატომ არ გამოიხსნის პაპი სულებს სალხინებლიდან წმინდა სიყვარულისა და უკიდურესი გაჭირვების გამო – ეს ხომ უმნიშვნელოვანესი მიზეზია, მაშინ, როდესაც ის ათავისუფლებს უამრავ სულებს წმინდა პეტრეს ტაძრის ასაგებად საჭირო ბინძური ფულის გამო, – რომელიც უმნიშვნელო მიზეზია?" (82-ე თეზისი); „რატომ არის შენარჩუნებული სულის მოსახსენებელი მესა და ყოველწლიური აღაპი მიცვალებულთათვის, და რატომ არ აბრუნებს ის (პაპი) ყველა შემოსავალს უკან, ან რატომ არ იძლევა მიცვალებულთათვის შეწირული ფულების უკან დაბრუნების უფლებას, თუკი ლოცვა უკვე შენდობილთათვის – უმართებულოა?" (83-ე თეზისი); „ეს რა ახლებური ღვთისმოსაობაა ღვთისა და პაპის წინაშე, რომელიც ნებას რთავს ბიწიერსა და არაკეთილმოსურნეს გამოიხსნას ღვთისმოსავი და ღვთის ერთგული სული ფულის გამო, ხოლო ღვთისმოსავ და საყვარელ სულს არ ათავისუფლებს პირადი გაჭირვებისა და უანგარო სიყვარულის გამო?" (84-ე თეზისი), „პაპის სიმდიდრე სადღეისოდ დიდად აღემატება კრასუსის სიმდიდრეს, ამიტომ ვერ აშენებს განა წმინდა პეტრეს ტაძარს უმალ საკუთარი ხარჯით, ვიდრე ღარიბ-ღატაკი მორწმუნეების ფულით?" (86-ე თეზისი) და ა.შ. ზნეობრივი სიწმინდე – აი, რა მიაჩნდა ლუთერს ამგვარი კითხვების აღმოფხვრის გარანტიად. სამღვდელოების ზნეობრივი სიწმინდე უბრალო ადამიანებისათვის გადამდები აღმოჩნდებოდა, მომრავლდებოდა ჭეშმარიტი მორწმუნეები და, მაშასადამე, არც უბრალო ადამიანების „მწვავე" კითხვები იქნებოდა. და თუ მაინც გამოერეოდა ვინმე, ვისაც ასეთი კითხვები კვლავ ექნებოდა, მაშინაც კი, ლუთერის აზრით, მღვდლები, როცა შეეცდებოდნენ მის აღმოფხვრას, დაეყრდნობოდნენ არა ძალას, არამედ „დამაჯერებელ პასუხსა

და სიტყვას", წინააღმდეგ შემთხვევაში „ეკლესიასა და პაპს მტრები მასხრად აიგდებდნენ" (90-ე თეზისი). მაგალითად, ქრისტიანული თემი მათი ყალბი კეთილდღეობისადმი რწმენით კი არ უნდა განეწყოთ, არამედ უნდა ეჩვენებინათ ის სინამდვილე, რომელიც ახლავს მორწმუნეთა ყოველდღიურ ცხოვრებას, უნდა დაერწმუნებინათ ისინი, რომ სამოთხეში მოხვედრა ტანჯვით უფროა შესაძლებელი, ვიდრე ამქვეყნიურ სიკეთეზე ყალბი წარმოდგენით (95-ე თეზისი). მაშასადამე, ლუთერის აზრით, დასაგმობია ყველა „წინასწარმეტყველი", რომლებსაც ქრისტიანები შეცდომაში შეჰყავს, მათ „მშვიდობა, მშვიდობაო, ეუბნება, და მშვიდობა კი არ არის" (92-ე თეზისი); სამაგიეროდ ლოცა-კურთხევას იმსახურებს ის წინასწარმეტყველი, რომელიც მორწმუნეებს უქადაგებს: „ჯვარი, ჯვარიო, და ჯვარი არ არის" (93-ე თეზისი). ერთი სიტყვით, სამღვდელოების ზნეობრივ სიწმინდეში ხედავდა ლუთერი მათდამი მორწმუნეთა პატივისცემისა და ჭეშმარიტი ნდობის გარანტიას.

დასასრულ, უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ ლუთერი, როცა გმობდა ინდულგენციებით ვაჭრობას, დარწმუნებული იყო, რომ ეს ხდებოდა ინდულგენციების გამყიდველთა თვითნებობით, რომ მასში რომის პაპის ხელი არ ერია. „ქრისტიანებს უნდა ვასწავლოთ, — ნათქვამია 50-ე თეზისში, — პაპმა რომ იცოდეს ინდულგენციების გამყიდველთა გამომძალველობის შესახებ, იგი უმალ წმინდა პეტრეს ტაძრის ფერფლად ქცევას ამჯობინებდა, ვიდრე მის შენებას თავისი სამწყსოს ტყავით, ხორცითა და ძვლებით". მეტიც, ლუთერის აზრით, შენდობის მქადაგებელნი პაპის სულისკვეთებითა და განზრახვის შესაბამისად რომ მოქმედებდნენ, მაშინ არათუ ადვილი არ იქნებოდა ერისკაცთა „ცილისწამებებისა და მწვავე შეკითხვების" გაფანტვა, არამედ საერთოდ არ წამოიჭრებოდნენ ისინი (91-ე თეზისი), ამრიგად, კიცხავდა რა „95 თეზისში" ინდულგენციებით მოვაჭრეთა მოქმედებას, ლუთერი ჯერ კიდევ არ ფიქრობდა კათოლიკურ ეკლესიასა და რომის პაპთან განხეთქილებას (ასეთ გზას იგი 1519 წლის შემდეგ დაადგა). ასეთ საქციელს ლუთერი თავის ერთ-ერთ წერილში შემდეგნაირად ხსნიდა: „მე მარტოდმარტო ვიყავი... ამ საქმეში და პაპს ვუთმობდი არა მხოლოდ ბევრ რამეში, არამედ გულწრფელად ვაღმერთებდი მას. რადგან ვინ ვიყავი მე

მაშინ? უმნიშვნელო ბერი, რომელიც გვაშს უფრო ჰგავდა, ვიდრე ცოცხალ არსებას'"[41].

მიუხედავად ამისა, ლუთერის ამ გამოსვლას დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. თეზისები შეიცავდა გაბედულ აზრს, ყველა სასჯელისა და მძიმე გადასახადის უსამართლობის შესახებ, რომლებიც ეკლესიიდან მომდინარეობდა. აქედან ასეთი დასკვნაც გამომდინარეობდა: თუ ღმერთისათვის საკმარისია მხოლოდ მონანიება, თუ ის ადამიანისაგან არ მოითხოვს არავითარ გამოსასყიდსა და შესაწირავს, მაშასადამე, ყველაფერი ის, რაც ეკლესიამ აკრიფა ერისკაცებისაგან საუკუნეების მანძილზე, მას მისაკუთრებული აქვს არა ღვთაებრივი სამართლით. უსინდისობაა მიღებული არა მარტო უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მიტევების სიგელის გაყიდვით აკრეფილი ფული, არამედ ეკლესიის უძველესი ქონებაც: მისი მიწები და ყმა გლეხები. აქედან ძნელი არ იყო გადასვლა საეკლესიო ქონების სეკულარიზაციისა და საეკლესიო-ფეოდალური ჩაგვრის აღმოფხვრის იდეაზე.

მართლაც, ტიურინგიელი ავგუსტინელი ბერის მიერ წარმოჩენილმა ქრისტიანულმა სიმართლემ ახალი ძალა შთაბერა გერმანულ ანტიპაპურ ოპოზიციას. ლუთერის თეზისებმა ისე იმოქმედა, როგორც ნაპერწკალმა დენთის კასრში. მათში თავდაპირველად საერთო, ზოგადი გამოხატულება პოვა მრავალმხრივ გადაჯვარედინებულმა მისწრაფებებმა როგორც რაინდებისა, ისე მოქალაქეებისა, როგორც გლეხებისა, ისე პლებეებისა, როგორც სუვერენობის მაძიებელი მთავრებისა, ისე დაბალი სამღვდელოებისა, როგორც ფარული მისტიური სექტებისა, ისე ლიტერატურული — სწავლული და ბურლესკულ-სატირული ოპოზიციისა; ყველა ეს ელემენტი გასაოცარი სისწრაფით შეჯგუფდა ამ თეზისების გარშემო. მართალია, ლუთერმა წინასწარ ვერ განჭვრიტა, თუ რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა თეზისების გამოქვეყნებას, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ამ აქტმა სათავე დაუდო (შეასრულა ბიძგის როლი) რეფორმაციულ მოძრაობას, რომელმაც ყველა წოდება თავის მორევში ჩაითრია. თუ როგორ განვითარდა ეს მოძრაობა, როგორ იჩინა თავი ინტერესთა მძაფრმა წინააღმდეგობებმა, რა პოზიცია დაიკავა ლუთერმა ამ მოძრაობის შემდგომ ეტაპზე, ეს მეტად ვრცელი საკითხია

---

[41] **Кареев Н.** История западной Европы в новое время, Т.П. ч. 1, СПБ., 1898, с. 49.

და არც შეადგენს ჩვენი მსჯელობის საგანს, თუმცა, ნაწილობრივ, მასზე უკვე ვისაუბრეთ. აქ ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ თითოეულმა ფენამ, რომელიც მოძრაობაში ჩათრეული აღმოჩნდა, თეზისებში დაინახა არა მარტო ის, რაზედაც ლუთერი მიუთითებდა, არამედ ისიც, რაც საერთოდ აწუხებდათ.

# თეზისები

# 95 თეზისი[1]

ჭეშმარიტების სიყვარულისა და მისი ნათელყოფის სურვილის გამო, ქვემომოყვანილი თეზისები განხილულ იქნება ვიტენბერგში ღირსი მამის, თავისუფალ ხელოვნებათა და წმინდა თეოლოგიის მაგისტრის, და აგრეთვე თეოლოგიის ორდინალური პროფესორის მარტინ ლუთერის ხელმძღვანელობით. ამიტომ სთხოვს იგი ყველას, ვისაც პირადად არ შეუძლია ჩვენთან დისპუტში ჩაება, ეს დაუსწრებლად, წერილობით გააკეთოს. ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით, ამინ.

1. ჩვენს უფალსა და მოძღვარს იესო ქრისტეს, როცა ამბობდა „მოინანიეთ"[2] და ა.შ., სურდა მორწმუნეთა მთელი ცხოვრება განუწყვეტელი მონანიება ყოფილიყო.
2. ეს სიტყვა [მონანიება]* არ უნდა გავიგოთ როგორც მონანიების საიდუმლო, ესე იგი როგორც აღსარება და ცოდვათა მიტევება, რომელიც მღვდელმსახურებით ხორციელდება.[3]
3. მაგრამ ის [ეს სიტყვა] არ გულისხმობს მხოლოდ შინაგან მონანიებას; დიახ, შინაგანი მონანიება ამაოა, თუ არ ახლავს გარეგნულად ხორცის სხვადასხვაგვარი მოკვდინება[4].
4. ამიტომაც რჩება [ღვთაებრივი] სასჯელი მანამდე, ვიდრე გრძელდება სიძულვილი საკუთარი თავისადმი (ესაა ჭეშმარიტი შინაგანი მონანიება), სახელდობრ, ცათა სასუფეველში შესვლამდე[5].
5. პაპს არ სურს და არც შეუძლია განთავისუფლება რაიმე სხვა სასჯელისაგან, გარდა იმისა [ეპიტიმიისა][6], რაც მან თვითონ დაადო საკუთარი გადაწყვეტილებით ან კანონების** თანახმად[7].
6. პაპს არც სურს და არც ძალუძს რაიმე ცოდვის[8] მიტევება, თუ არ განაცხადებს და არ დაადასტურებს, რომ [ის] ღვთის მიერაა შენდობილი, ანდა, იგი უეჭველად მიუტევებს იმ შემთხვევებში, როცა ამის უფლება შენარჩუნებული აქვს; თუ იგი უგულებელყოფდა ამას, ცოდვა, საერთოდ, შეუნდობელი დარჩებოდა[9].

---

* კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვები ორიგინალისეული არ არის, იგი აქაც და ქვემოთაც ტექსტის სიცხადისთვისაა მთარგმნელის მიერ ჩამატებული.

** ე.ი. საეკლესიო დადგენილების.

7. ღმერთი, საერთოდ, არც ერთ დანაშაულს არ მიუტევებს ისე, თუ, ამავე დროს, ცოდვილს ყველაფერში არ დაუმორჩილებს მღვდელს, როგორც თავის მონაცვლეს.

8. მონანიების კანონები* ვრცელდება მხოლოდ ცოცხლებზე; მომაკვდავებს კი — სწორედ ამ დებულებების თანახმად — არაფერი მოეკითხებათ[10].

9. ამიტომაც გვწყალობს სულიწმიდა[11] პაპის სახით, რადგან იგი [პაპი] თავის დეკრეტებიდან ყოველთვის გამორიცხავს სიკვდილისა და უკიდურესი გაჭირვების შემთხვევას.

10. უმეცრად და ცუდად იქცევიან ის მღვდლები, რომლებიც მომაკვდავებს კანონიკურ ეპიტიმიას სალხინებელშიც უნარჩუნებს[12].

11. ეს ღვარძლი, კანონიკური სასჯელის სალხინებლისეულ სასჯელად ქცევის თობაზე, ჩანს, მაშინ ჩაითესა, როდესაც ეპისკოპოსებს ეძინათ[13].

12. წინათ კანონიკურ სასჯელებს ადებდნენ არა ცოდვათა მიტევების შემდეგ, არამედ მიტევებამდე, ერთგვარად მონანიების გულწრფელობის გამოსაცდელად[14].

13. თავიანთი სიკვდილით მომაკვდავნი ყველაფერს ინანიებენ და ისინი კანონიკური სამართლისათვის უკვე მკვდარნი არიან და, მაშასადამე, მისგან სამართლიანად თავისუფალნი.

14. მომაკვდავის უსრულობას სულიერ სისაღესა და სიყვარულში აუცილებლად დიდი შიში მოაქვს. რაც უფრო მეტია უსრულობა, მით უფრო დიდია შიშიც[15].

15. [მომაკვდავის] ეს შიში და ძრწოლა /სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ/ თავისთავად საკმარისია, რათა ძალა მიიტანოს სალხინებლის სასჯელზე, ვინაიდან ის [ეს ძრწოლა] ძალზე ახლოსა დგას სასოწარკვეთილების ძრწოლასთან[16].

16. ჯოჯოხეთი, სალხინებელი და სამოთხე[17], როგორც ჩანს, განსხვავდებიან ისე, როგორც სასოწარკვეთილება, ზღვარი სასოწარკვეთილებისა და უშფოთველობა.

17. სალხინებელში სულთათვის, როგორც ჩანს, აუცილებელია, რომ

---

* ე.ი. საეკლესიო დებულებანი, თუ როგორ უნდა აღსარება და მონანიება.

იმდენადვე იკლოს ძრწოლამ, რამდენადაც იმატებს სიყვარული[18].
18. არც გონებრივი მოსაზრებით[19], და არც საღმრთო წერილით, როგორც ჩანს, ასევე არ არის დამტკიცებული, რომ მათ [სულებს სალხინებელში] არ შეუძლიათ მოიპოვონ დამსახურებული მდგომარეობა ან არ შეუძლიათ გაზარდონ სიყვარული.
19. აგრეთვე არც ისა ჩანს დამტკიცებული, რომ ისინი დარწმუნებულები და დაიმედებულნი იყვნენ თავიანთ ნეტარებაში, ანდა, სულ ცოტა, რომ ყველანი იყვნენ ასე, თუმცაღა ჩვენ შეიძლება სრულებით დარწმუნებულნი ვიყოთ ამაში.
20. ამიტომ პაპს ყველა ცოდვილის სრულ მიტევებაში ესმის არა საერთოდ ყოველგვარი სასჯელისაგან განთავისუფლება, არამედ მხოლოდ იმათგან [ეპიტიმიისაგან], რომელნიც მან თვითონ დაადო[20].
21. ცდებიან ინდულგენციის ის მქადაგებლები[21], რომლებიც ირწმუნებიან, რომ ადამიანი პაპის ინდულგენციის წყალობით ყოველგვარი სასჯელისაგან თავისუფლდება და მოიპოვებს ხსნას.
22. დიახ, პაპი, ვერც ერთ სასჯელს ვერ მიუტევებს სულებს სალხინებელში, რომელნიც მათ ამქვეყნიურ ცხოვრებაში უნდა მოენანიებინათ კანონებისამებრ.
23. თუკი რამენაირად შესაძლებელია ყველა სასჯელის სრული მიტევება, მაშინ ის, უეჭველად, მხოლოდ სრულყოფილთა, ანუ ძალზე მცირეთა, ხვედრი იქნება[22].
24. ამიტომ ხალხის დიდი ნაწილი გარდუვალად მოტყუებული დარჩება ამ განურჩეველი და გულუხვი დაპირებებით, თითქოს მათ სასჯელები მიეტევებათ[23].
25. ისეთივე ძალაუფლება, როგორიც პაპსა აქვს საერთოდ სალხინებლის მიმართ, აქვს აგრეთვე განსაკუთრებით ყოველ ეპისკოპოსს თავის ეპარქიაში და ყოველ მოძღვარს თავის მრევლში[24].
26. პაპი სწორად იქცევა, როცა მიუტევებს სულებს არა გასაღების ძალით (რომელიც მას არა აქვს), არამედ შუამდგომლობის გზით[25].
27. ადამიანურ მოძღვრებას[26] ქადაგებენ ისინი, ვინც ამბობს, რომ, როგორც კი ფულები აჩხრიალდება ყუთში, სული მაშინვე ტოვებს სალხინებელსო[27].
28. უეჭველია, როგორც კი ფულები აჩხრიალდება ყუთში, მაშინვე

იზრდება ანგარება და სიხარბე; ეკლესიის შუამდგომლობა კი მხოლოდ ღვთის ნებითაა.

29. ვინ იცის, სურს თუ არა ყველა სულს ისე ხსნა სალხინებელში, როგორც, გადმოცემის თანახმად, მოიქცნენ წმინდა სევერინუსი და წმინდა პასქალიუსი[28].

30. არვინ უნდა იყოს დაიმედებული, რომ მას ჭეშმარიტი მონანიება საკმარისად აქვს; კიდევ უფრო ნაკლებად უნდა იყოს ის დაიმედებული ცოდვების სრულ მიტევებაში[29].

31. როგორი იშვიათიცაა ჭეშმარიტი მომნანიებელი, ისევე იშვიათია ინდულგენციის ჭეშმარიტი მყიდველი, დიახ, ასეთები ძალზე იშვიათია[30].

32. სამუდამოდ შეჩვენებულ იქნებიან თავიანთ მოძღვრებთან ერთად ისინი, ვინც დარწმუნებულია, რომ ინდულგენციის მეშვეობით მოიპოვებს დახსნას[31].

33. განსაკუთრებით უნდა ვერიდოთ იმათ, ვინც ამბობს, რომ პაპის ინდულგენცია – ესაა ფასდაუდებელი ღვთიური ნიჭი, რომლის შემწეობითაც ადამიანი ურიგდება ღმერთს[32].

34. რადგან ამ ინდულგენციათა მადლი ეხება მხოლოდ საკრამენტულ ცოდვათა გამოსყიდვის სასჯელს, რომელიც დაწესებულია ადამიანის მიერ[33].

35. არაქრისტიანულად ქადაგებს ის, ვინც ასწავლის: მას, ვინც სალხინებლიდან სულებს გამოისყიდის ან აღსარების სიგელს [ინდულგენციას] შეიძენს, მეტად აღარ ესაჭიროება მონანიება[34].

36. ყოველ ქრისტიანს, რომელიც გულწრფელად ინანიებს, სასჯელისა და დანაშაულის სრული მიტევება ინდულგენციის გარეშეც ეკუთვნის.

37. ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანი, ცოცხალი თუ მკვდარი, მონაწილეა ქრისტესა და ეკლესიის ყოველგვარი სიკეთისა[35], რაც მას ასევე, ინდულგენციის გარეშე, ღვთისაგან აქვს ნაბოძები.

38. და მაინც, არასგზით არ შეიძლება პაპის მიტევებისა და მონაწილეობის [ზემოხსენებულ მადლში] უგულებელყოფა, რადგან ის, როგორც უკვე ვთქვით, განცხადებაა ღვთის მიტევებისა[36].

39. თვით ყველაზე განსწავლულ თეოლოგთათვისაც კი მეტისმეტად

ძნელია, ხალხის წინაშე ინდულგენციის სიუხვისა და გულწრფელი მონანიების ერთდროულად განდიდება.

40. გულწრფელ მონანიებას სურს და უყვარს სასჯელი; ინდულგენციის სიუხვე კი გულგრილს ხდის და სიძულვილს იწვევს მისდამი, ყოველ შემთხვევაში, საამისო საბაბს იძლევა.

41. სამოციქულო ინდულგენცია[37] ფრთხილად უნდა ვიქადაგოთ, რათა ხალხში არ გავრცელდეს მცდარი აზრი, თითქოს ეს ინდულგენცია სიყვარულის სხვა კეთილ საქმეებზე მაღლა იდგეს[38].

42. ქრისტიანებს უნდა ვასწავლოთ, რომ სულაც არ არის პაპის აზრი, თითქოს ინდულგენციის შესყიდვა რამენაირად მოწყალების საქმის ტოლფასი იყოს.

43. ქრისტიანებს უნდა ვასწავლოთ: ინდულგენციების მყიდველებზე უკეთესად იქცევა ის, ვინც განიკითხავს ღარიბებს ან ეხმარება გაჭირვებულებს.

44. რადგან სიყვარულის საქმის მეშვეობით იზრდება სიყვარული და ადამიანი უმჯობესდება, ხოლო ინდულგენციის მეშვეობით იგი კი არ უმჯობესდება, არამედ მხოლოდ თავისუფლდება სასჯელისაგან[39].

45. ქრისტიანებს უნდა ვასწავლოთ: ის, ვინც გაჭირვებულს დაინახავს და, მიუხედავად ამისა [მასზე ზრუნვის ნაცვლად], ინდულგენციის შეძენას ამჯობინებს, პაპისეულ შენდობას კი არ მოიპოვებს, არამედ ღვთის რისხვას დაითევს[40].

46. ქრისტიანებს უნდა ვასწავლოთ, რომ ვისაც ზედმეტი ქონება არა აქვს, ვალდებულია თავისი ოჯახის რჩენაზე მეტად იზრუნოს და ეს სახსრები არამც და არამც არ გაფლანგოს ინდულგენციებზე.

47. ქრისტიანებს უნდა ვასწავლოთ, რომ ინდულგენციების შეძენა ნებაყოფლობითია და არა ნაბრძანები [ანუ არასავალდებულო].

48. ქრისტიანებს უნდა ვასწავლოთ: პაპს ინდულგენციების გაცემასა და ფულის ამოღებაზე უფრო გულმხურვალე ლოცვა სურს თავისთვის[41].

49. ქრისტიანებს უნდა ვასწავლოთ: პაპისეული ინდულგენცია სასარგებლოა, თუ მასზე იმედებს არ ამყარებენ, მაგრამ ის უკიდურესად საზიანოა, თუ მისი წყალობით ღვთისმოშიშობას კარგავენ[42].

50. ქრისტიანებს უნდა ვასწავლოთ: პაპმა რომ იცოდეს ინდულგენციების გამყიდველთა გამომძალველობის შესახებ, იგი უმალ წმინდა

პეტრეს ტაძრის ფერფლად ქცევას ამჯობინებდა, ვიდრე მის შენებას თავისი სამწყსოს ტყავით, ხორცითა და ძვლებით.

51. ქრისტიანებს უნდა ვასწავლოთ: პაპი – როგორც ეს მას ევალება კიდეც – სიამოვნებით ამჯობინებდა, თუნდაც ამისთვის წმინდა პეტრეს ტაძრის გაყიდვა დასჭირვებოდა, საკუთარი ფული დაერიგებინა ყველა იმათთვის, ვისაც უპირატესად ზოგიერთი ინდულგენციებით მოვაჭრე ფულსა სძალავს[43].

52. ამაოა და ფუჭი იმედი ინდულგენციების დახმარებით ხსნისა[44], მაშინაც კი, თუ ზედამხედველი, თვით პაპიც კი, ამისთვის თავის სულს დააგირავებს.

53. ქრისტესა და პაპის მტრები არიან ისინი, ვინც ინდულგენციების ქადაგების გზით სავსებით ახშობენ ღვთის სიტყვას [სახარებას] სხვა ეკლესიებში.

54. უსამართლობაა ღვთის სიტყვის მიმართ, თუკი ერთსა და იმავე ქადაგებაში ერთნაირი, ან უფრო მეტი, დრო ეთმობა ინდულგენციებს, ვიდრე მას [ღვთის სიტყვას][45].

55. პაპს არ შეუძლია იფიქროს სხვაგვარად, თუ არა ასე: თუკი ინდულგენციას /როგორც უმცირესს/ აღნიშნავენ ერთი ზარით, ერთი პროცესიით, ერთი მღვდელმსახურებით, მაშინ სახარება /როგორც უდიდესი/ უნდა იქადაგებოდეს ასობით ზარით, ასობით პროცესიით, ასობით – მღვდელმსახურებით.

56. ეკლესიის საგანძურები, საიდანაც პაპი ინდულგენციას გასცემს, არც საკმარისადაა განსაზღვრული, არც ნაცნობია ქრისტიანი ხალხისათვის[46].

57. უეჭველია, რომ ისინი წარმავალი საგანძურები არ გახლავს, რადგან ისინი კი არ განიბნევიან, არამედ იკრიბებიან ამ უამრავი ინდულგენციების გამყიდველის ხელით.

58. ესენი [საგანძურში] აგრეთვე არც ქრისტესი და არც წმინდანების დამსახურება არ არის, რადგან ისინი [საგანძურები] ყოველთვის პაპის [მონაწილეობის] გარეშეც აძლევენ მადლს ადამიანის შინაგან [სულიერ] მეს, ხოლო ჯვარს [ტანჯვას], სიკვდილსა და ჯოჯოხეთს ადამიანის გარეგან [ხორციელ] მეს[47].

59. ეკლესიის საგანძურებს წმინდა ლავრენტიუსი უწოდებდა ღარიბ

მორწმუნეებს, მაგრამ იგი თავის დროის ენაზე მეტყველებდა.

60. აუჩქარებლად ვამბობთ ჩვენ, რომ ეს საგანძური არის ეკლესიის გასაღები[48], ქრისტეს წყალობით რომ მიენიჭა ეკლესიას.

61. ვინაიდან ცხადია, რომ პაპის ძალაუფლება საკმარისია მხოლოდ ეპიტიმიებისა და განსაკუთრებული [პაპზე დამოკიდებული] შემთხვევებისაგან გასათავისუფლებლად[49].

62. ეკლესიის ჭეშმარიტი საგანძური კი არის ღვთის დიდებისა და მადლის წმინდა სახარება[50].

63. მაგრამ ეს საგანძური სამართლიანად ითვლება საძულველად, რადგან იგი პირველებს უკანასკნელებად აქცევს[51].

64. ინდულგენციის საგანძური კი სამართლიანად ითვლება ყველაზე სასიამოვნოდ, რადგან იგი უკანასკნელებს პირველებად აქცევს[51].

65. მაშასადამე, სახარების საგანძური – ესაა ბადე, რომლითაც წინათ მდიდარ ადამიანებზე თევზაობდნენ[52].

66. ინდულგენციის საგანძური კი – ესაა ბადე, რომლითაც დღეს ადამიანთა სიმდიდრეზე თევზაობენ [52].

67. ინდულგენცია, როგორც ამას მოქადაგენი აცხადებენ, უდიდესი მადლია, [მათთვის] მართლაც რომ ასეთია, რადგან დიდი მოგება მოაქვს.

68. სინამდვილეში კი ის [ინდულგენცია] სრულიად უმნიშვნელო მადლია ღვთის მადლთან და ჯვრის წყალობასთან შედარებით[53].

69. ეპისკოპოსები და მოძღვრები მოვალენი არიან დაუშვან მოციქულისეული[54] ინდულგენციების ზედამხედველნი მთელი პატივით[55].

70. მაგრამ უფრო მეტად არიან ისინი ვალდებული თვალყური ადევნონ იმას, რომ ეს ზედამხედველნი პაპისეულ დავალებათა ნაცვლად საკუთარ მონაჩმახს არ ქადაგებდნენ.

71. დაე ანათემას[56] მიეცეს და წყეულიმც იყოს ყველა, ვინც სამოციქულო ინდულგენციების ჭეშმარიტების წინააღმდეგ გამოდის[57].

72. მაგრამ ვინც ინდულგენციის მქადაგებელთა თავგასული და კადნიერი სიტყვების წინააღმდეგ თამამად გამოდის, კურთხეულიმც იყოს!

73. როგორც პაპი სამართლიანად შეაჩვენებს იმას, ვინც ინდულგენციის საქმის საზიანოდ განიზრახავს რაიმე მანქანებას,

74. ისე უფრო მეტად ცდილობს იგი, ანათემით გაანადგუროს ის, ვინც

ინდულგენციის საბაბით წმინდა სიყვარულისა და ჭეშმარიტების საზიანოდ მიმართავს მანქანებას[58].

75. უგუნურებაა ის მოსაზრება, თითქოს პაპის ინდულგენციას ისეთი ძალა ჰქონდეს, რომ მაშინაც კი შეეძლოს ადამიანის ცხონება, თუ იგი ღვთისმშობელს შებღალავს[59].

76. ამის საპირისპიროდ ჩვენ ვამბობთ, რომ პაპის ინდულგენციას სულ უმნიშვნელო შეცოდების შემთხვევაშიაც კი არ ძალუძს დანაშაულის მოხსნა[60].

77. როცა ამბობენ, თვით წმინდა პეტრეც კი, ახლა რომ პაპი იყოს, ვერ შეძლებდაო უფრო დიდი მადლის [ვიდრე ინდულგენციაა] ბოძებას, ეს ცილისწამებაა წმინდა პეტრესა და პაპის მიმართ.

78. ამის საპირისპიროდ ჩვენ ვამბობთ, რომ როგორც ახლანდელის, ასევე საერთოდ ყველა პაპის ხელთ არის უფრო დიდი მადლი [ვიდრე ინდულგენციაა], სახელდობრ, სახარება, სათნოებანი, ნიჭი მკურნალობისა და სხვ. იხ. I კორინთელთა მიმართ 12.

79. იმის თქმა, რომ [ეკლესიებში] თვალსაჩინო ადგილზე აღმართული პაპის ღერბიანი [ინდულგენციის] ჯვარი ქრისტეს ჯვრის ტოლფასია, ღვთისგმობაა.

80. ეპისკოპოსები, მოძღვრები და თეოლოგები, რომლებიც ნებას რთავენ ამგვარ ქადაგებას ხალხის წინაშე, პასუხს აგებენ ამისათვის.

81. ინდულგენციის ასეთ უტიფარ ქადაგებას მივყევართ იქამდე, რომ თვით სწავლულებსაც უჭირთ პაპის ღირსების დაცვა ერისკაცთა ცილისწამებისაგან ან, ყოველ შემთხვევაში, მწვავე შეკითხვებისაგან[61].

82. ასე, მაგალითად: რატომ არ გამოიხსნის პაპი სულებს სალხინებლიდან წმინდა სიყვარულისა და უკიდურესი გაჭირვების გამო — ეს ხომ უმნიშვნელოვანესი მიზეზია, მაშინ, როდესაც ის ათავისუფლებს უამრავ სულებს წმინდა პეტრეს ტაძრის ასაგებად საჭირო ბინძური ფულის გამო, — რომელიც უმნიშვნელო მიზეზია?

83. და შემდგომ: რატომ არის შენარჩუნებული სულის მოსახსენებელი მესა[62] და ყოველწლიური აღაპი მიცვალებულთათვის, და რატომ არ აბრუნებს ის [პაპი] ყველა შემოსავალს უკან, ან რატომ არ იძლევა მიცვალებულთათვის შეწირული ფულების უკან დაბრუნების უფლებას, თუკი ლოცვა უკვე შენდობილთათვის — უმართებულოა?

84. და შემდგომ: ეს რა ახლებური ღვთისმოსაობაა ღვთისა და პაპის წინაშე, რომელიც ნებას რთავს ბიწიერსა და არაკეთილმოსურნეს გამოიხსნას ღვთისმოსავი და ღვთის ერთგული სული ფულის გამო, ხოლო ღვთისმოსავ და საყვარელ სულს არ ათავისუფლებს პირადი გაჭირვებისა და უანგარო სიყვარულის გამო?

85. და შემდგომ: მონანიების კანონები, რომლებიც სინამდვილეში გამოუყენებლობის გამო უკვე დიდი ხანია გაუქმებული და მკვდარია[63], კვლავ რატომ გამოიყენება ინდულგენციის ყიდვის გასამართლებლად, თითქოს ისინი კვლავ ძალაში იყოს?

86. და შემდგომ: პაპის სიმდიდრე სადღეისოდ დიდად აღემატება კრასუსის[64] სიმდიდრეს, ამიტომ ვერ ააშენებს განა წმინდა პეტრეს ტაძარს უმალ საკუთარი ხარჯით, ვიდრე ღარიბ-ღატაკი მორწმუნეების ფულით?

87. და შემდგომ: რას მიუტევებს ან რის მონაწილედ ხდის პაპი თავისი ინდულგენციის მეშვეობით იმათ, ვინც გულწრფელი მონანიების წყალობით უკვე მიიღო სრული მიტევებისა და [მადლში] მონაწილეობის უფლება?

88. და შემდგომ: რა იქნებოდა ეკლესიისათვის იმაზე უკეთესი, თუ პაპი ამ მიტევებასა და მონაწილეობას ყოველ მორწმუნეს უბოძებდა არა [მხოლოდ] ერთგზის, როგორც ის /ახლა/ აკეთებს, არამედ დღეში ასჯერ?[65]

89. თუ პაპი უბოძებს ინდულგენციებს უფრო სულების ხსნისათვის, და არა ფულისათვის, მაშინ რატომ აუქმებს ის ადრე ბოძებულ ინდულგენციებს, ისინი ხომ ასევე ძალაშია?[66]

90. თუ ერისკაცთა ამ ძალზე მწვავე შეკითხვებს ჩაახშობენ მხოლოდ შიშველი ძალით, და არ გააბათილებენ მათ გონივრული დასაბუთებით, ეს ნიშნავს, რომ ეკლესიასა და პაპს მტრები მასხრად აიგდებენ და ქრისტიანებს გააუბედურებენ.

91. ამიტომ ინდულგენცია რომ იქადაგებოდეს პაპის სულისკვეთებისა და განზრახვის შესაბამისად, ადვილი იქნებოდა ამ შეპასუხებათა გაქარწყლება. დიახ, ისინი საერთოდ არ წამოიჭრებოდა.

92. ამიტომ შორს ყველა ის წინასწარმეტყველი, ვინც ქრისტიანებს „მშვიდობა, მშვიდობა" – ეუბნება, და მშვიდობა კი არ არის[67].

93. კურთხეულ იყოს ყველა ის წინასწარმეტყველი, ვინც ქრისტიანებს ეუბნება – „ჯვარი, ჯვარი“, და ჯვარი კი არ არის.

94. ქრისტიანებს უნდა ჩავაგონოთ, რომ მათ უნდა მისდიონ ქრისტეს – მათ თავს – ტანჯვის, სიკვდილისა და ჯოჯოხეთის გზით.

95. და ამგვარად სწამდეთ მათ, რომ შევლენ ცათა სასუფეველში უფრო მრავალი ტანჯვის გზით, ვიდრე ყალბი სულიერი სიმშვიდის იმედით[68].

Amore et studio elucidande veritatis hec subscripta disputabuntur Wittenberge, Presidente R. P. Martino Lutther, Artium et S. Theologie Magistro eiusdemque ibidem lectore Ordinario. Quare petit, ut qui non possunt verbis presentes nobiscum disceptare agant id literis absentes. In nomine domini nostri Hiesu Christi. Amen.

1. Dominus et magister noster Iesus Christus dicendo, Penitentiam agite etc.' omnem vitam fidelium penitentiam esse voluit.
2. Quod verbum de penitentia sacramentali (id est confessionis et satisfactionis, que sacerdotum ministerio celebratur) non potest intelligi.
3. Non tamen solam intendit interiorem, immo interior nulla est, nisi foris operetur varias carnis mortificationes.
4. Manet itaque pena, donec manet odium sui (id est penitentia vera intus), scilicet usque ad introitum regni celorum.
5. Papa non vult nec potest ullas penas remittere preter eas, quas arbitrio vel suo vel canonum imposuit.
6. Papa non potest remittere ullam culpam nisi declarando et approbando remissam a deo Aut certe remittendo casus reservatos sibi, quibus contemptis culpa prorsus remaneret.
7. Nulli prorsus remittit deus culpam, quin simul eum subiiciat humiliatum in omnibus sacerdoti suo vicario.
8. Canones penitentiales solum viventibus sunt impositi nihilque morituris secundum eosdem debet imponi.
9. Inde bene nobis facit spiritussanctus in papa excipiendo in suis decretis semper articulum mortis et necessitatis.
10. Indocte et male faciunt sacerdotes ii, qui morituris penitentias canonicas in purgatorium reservant.
11. Zizania illa de mutanda pena Canonica in penam purgatorii videntur certe dormientibus episcopis seminata.

12. Olim pene canonice non post, sed ante absolutionem imponebantur tanquam tentamenta vere contritionis.
13. Morituri per mortem omnia solvunt et legibus canonum mortui iam sunt, habentes iure earum relaxationem.
14. Imperfecta sanitas seu charitas morituri necessario secum fert magnum timorem, tantoque maiorem, quanto minor fuerit ipsa.
15. Hic timor et horror satis est se solo (ut alia taceam) facere penam purgatorii, cum sit proximus desperationis horrori.
16. Videntur infernus, purgatorium, celum differre, sicut desperatio, prope desperatio, securitas differunt.
17. Necessarium videtur animabus in purgatorio sicut minui horrorem ita augeri charitatem.
18. Nec probatum videtur ullis aut rationibus aut scripturis, quod sint extra statum meriti seu augende charitatis.
19. Nec hoc probatum esse videtur, quod sint de sua beatitudine certe et secure, saltem omnes, licet nos certissimi simus.
20. Igitur papa per remissionem plenariam omnium penarum non simpliciter omnium intelligit, sed a seipso tantummodo impositarum.
21. Errant itaque indulgentiarum predicatores ii, qui dicunt per pape indulgentias hominem ab omni pena solvi et salvari.
22. Quin nullam remittit animabus in purgatorio, quam in hac vita debuissent secundum Canones solvere.
23. Si remissio ulla omnium omnino penarum potest alicui dari, certum est eam non nisi perfectissimis, i. e. paucissimis, dari.
24. Falli ob id necesse est maiorem partem populi per indifferentem illam et magnificam pene solute promissionem.
25. Qualem potestatem habet papa in purgatorium generaliter, talem habet quilibet Episcopus et Curatus in sua diocesi et parochia specialiter.
26. Optime facit papa, quod non potestate clavis (quam nullam habet) sed per modum suffragii dat animabus remissionem.
27. Hominem predicant, qui statim ut iactus nummus in cistam tinnierit

evolare dicunt animam.

28. certum est, nummo in cistam tinniente augeri questum et avariciam posse: suffragium autem ecclesie est in arbitrio dei solius.

29. Quis scit, si omnes anime in purgatorio velint redimi, sicut de s. Severino et Paschali factum narratur.

30. Nullus securus est de veritate sue contritionis, multominus de consecutione plenarie remissionis.

31. Quam rarus est vere penitens, tam rarus est vere indulgentias redimens, i. e. rarissimus.

32. Damnabuntur ineternum cum suis magistris, qui per literas veniarum securos sese credunt de sua salute.

33. Cavendi sunt nimis, qui dicunt venias illas Pape donum esse illud dei inestimabile, quo reconciliatur homo deo.

34. Gratie enim ille veniales tantum respiciunt penas satisfactionis sacramentalis ab homine constitutas.

35. Non christiana predicant, qui docent, quod redempturis animas vel confessionalia non sit necessaria contritio.

36. Quilibet christianus vere compunctus habet remissionem plenariam a pena et culpa etiam sine literis veniarum sibi debitam.

37. Quilibet verus christianus, sive vivus sive mortuus, habet participationem omnium bonorum Christi et Ecclesie etiam sine literis veniarum a deo sibi datam.

38. Remissio tamen et participatio Pape nullo modo est contemnenda, quia (ut dixi) est declaratio remissionis divine.

39. Difficillimum est etiam doctissimis Theologis simul extollere veniarum largitatem et contritionis veritatem coram populo.

40. Contritionis veritas penas querit et amat, Veniarum autem largitas relaxat et odisse facit, saltem occasione.

41. Caute sunt venie apostolice prodicande, ne populus false intelligat eas preferri ceteris bonis operibus charitatis.

42. Docendi sunt christiani, quod Pape mens non est, redemptionem

veniarum ulla ex parte comparandam esse operibus misericordie.

43. Docendi sunt christiani, quod dans pauperi aut mutuans egenti melius facit quam si venias redimeret.

44. Quia per opus charitatis crescit charitas et fit homo melior, sed per venias non fit melior sed tantummodo a pena liberior.

45. Docendi sunt christiani, quod, qui videt egenum et neglecto eo dat pro veniis, non indulgentias Pape sed indignationem dei sibi vendicat.

46. Docendi sunt christiani, quod nisi superfluis abundent necessaria tenentur domui sue retinere et nequaquam propter venias effundere.

47. Docendi sunt christiani, quod redemptio veniarum est libera, non precepta.

48. Docendi sunt christiani, quod Papa sicut magis eget ita magis optat in veniis dandis pro se devotam orationem quam promptam pecuniam.

49. Docendi sunt christiani, quod venie Pape sunt utiles, si non in eas confidant, Sed nocentissime, si timorem dei per eas amittant.

50. Docendi sunt christiani, quod, si Papa nosset exactiones venialium predicatorum, mallet Basilicam s. Petri in cineres ire quam edificari cute, carne et ossibus ovium suarum.

51. Docendi sunt christiani, quod Papa sicut debet ita vellet, etiam vendita (si opus sit) Basilica s. Petri, de suis pecuniis dare illis, a quorum plurimis quidam concionatores veniarum pecuniam eliciunt.

52. Vana est fiducia salutis per literas veniarum, etiam si Commissarius, immo Papa ipse suam animam pro illis impigneraret.

53. Hostes Cristi et Pape sunt ii, qui propter venias predicandas verbum dei in aliis ecclesiis penitus silere iubent.

54. Iniuria fit verbo dei, dum in eodem sermone equale vel longius tempus impenditur veniis quam illi.

55. Mens Pape necessario est, quod, si venie (quod minimum est) una campana, unis pompis et ceremoniis celebrantur, Euangelium (quod maximum est) centum campanis, centum pompis, centum ceremoniis predicetur.

56. Thesauri ecclesie, unde Papa dat indulgentias, neque satis nominati sunt neque cogniti apud populum Christi.
57. Temporales certe non esse patet, quod non tam facile cos profundunt, sed tantummodo colligunt multi concionatorum.
58. Nec sunt merita Christi et sanctorum, quia hec semper sine Papa operantur gratiam hominis interioris et crucem, mortem infernumque exterioris.
59. Thesauros ecclesie s. Laurentius dixit esse pauperes ecclesie, sed locutus estusu vocabuli suo tempore.
60. Sine temeritate dicimus claves ecclesie (merito Christi donatas) esse thesaurum istum.
61. Clarum est enim, quod ad remissionem penarum et casuum sola sufficit potestas Pape.
62. Verus thesaurus ecclesie est sacrosanctum euangelium glorie et gratie dei.
63. Hic autem est merito odiosissimus, quia ex primis facit novissimos.
64. Thesaurus autem indulgentiarum merito est gratissimus, quia ex novissimis facit primos.
65. Igitur thesauri Euangelici rhetia sunt, quibus olim piscabantur viros divitiarum.
66. Thesauri indulgentiarum rhetia sunt, quibus nunc piscantur divitias virorum.
67. Indulgentie, quas concionatores vociferantur maximas gratias, intelliguntur vere tales quoad questum promovendum.
68. Sunt tamen re vera minime ad gratiam dei et crucis pietatem comparate.
69. Tenentur Episcopi et Curati veniarum apostolicarum Commissarios cum omni reverentia admittere.
70. Sed magis tenentur omnibus oculis intendere, omnibus auribus advertere, ne pro commissione Pape sua illi somnia predicent.
71. Contra veniarum apostolicarum veritatem qui loquitur, sit ille anathema

et maledictus.
72. Qui vero contra libidinem ac licentiam verborum Concionatoris veniarum curam agit, sit ille benedictus.
73. Sicut Papa iuste fulminat eos, qui in fraudem negocii veniarum quacunque arte machinantur,
74. Multomagis fulminare intendit eos, qui per veniarum pretextum in fraudem sancte charitatis et veritatis machinantur.
75. Opinari venias papales tantas esse, ut solvere possint hominem, etiam si quis per impossibile dei genitricem violasset, Est insanire.
76. Dicimus contra, quod venie papales nec minimum venialium peccatorum tollere possint quo ad culpam.
77. Quod dicitur, nec si s. Petrus modo Papa esset maiores gratias donare posset, est blasphemia in sanctum Petrum et Papam.
78. Dicimus contra, quod etiam iste et quilibet papa maiores habet, scilicet Euangelium, virtutes, gratias curationum etc. ut i. Co. xij.
79. Dicere, Crucem armis papalibus insigniter erectam cruci Christi equivalere, blasphemia est.
80. Rationem reddent Episcopi, Curati et Theologi, Qui tales sermones in populum licere sinunt.
81. Facit hec licentiosa veniarum predicatio, ut nec reverentiam Pape falice sit etiam doctis viris redimere a calumniis aut certe argutis questionibus laicorum.
82. Scilicet.Cur Papa non evacuat purgatorium propter sanctissimam charitatem et summam animarum necessitatem ut causam omnium iustissimam, Si infinitas animas redimit propter pecuniam funestissimam ad structuram Basilice ut causam levissimam?
83. Item. Cur permanent exequie et anniversaria defunctorum et non reddit aut recipi permittit beneficia pro illis instituta, cum iam sit iniuria pro redemptis orare?
84. Item. Que illa nova pietas Dei et Pape, quod impio et inimico propter pecuniam concedunt animam piam et amicam dei redimere, Et tamen

propter necessitatem ipsius met pie et dilecte anime non redimunt eam gratuita charitate?

85. Item. Cur Canones penitentiales re ipsa et non usu iam diu in semet abrogati at mortui adhuc tamen pecuniis redimuntur per concessionem indulgentiarum tanquam vivacissimi?

86. Item. Cur Papa, cuius opes hodie sunt opulentissimis Crassis crassiores, non de suis pecuniis magis quam pauperum fidelium struit unam tantummodo Basilicam sancti Petri?

87. Item. Quid remittit aut participat Papa iis, qui per contritionem perfectam ius habent plenarie remissionis et participationis?

88. Item. Quid adderetur ecclesie boni maioris, Si Papa, sicut semel facit, ita centies in die cuilibet fidelium has remissiones et participationes tribueret?

89. Ex quo Papa salutem querit animarum per venias magis quam pecunias, Cur suspendit literas et venias iam olim concessas, cum sint eque efficaces?

90. Hec scrupulosissima laicorum argumenta sola potestate compescere nec reddita ratione diluere, Est ecclesiam et Papam hostibus ridendos exponere et infelices christianos facere.

91. Si ergo venie secundum spiritum et mentem Pape predicarentur, facile illa omnia solverentur, immo non essent.

92. Valeant itaque omnes illi prophete, qui dicunt populo Christi, "Pax pax", et non est pax.

93. Bene agant omnes illi prophete, qui dicunt populo Christi "Crux crux", et non est crux.

94. Exhortandi sunt Christiani, ut caput suum Christum per penas, mortes infernosque sequi studeant,

95. Ac sic magis per multas tribulationes intrare celum quam per securitatem pacis confidant.

Liebe zur Wahrheit und der Wille, sie ans Licht zu bringen, sind der Anlaß, daß die folgenden Sätze in Wittenberg unter dem Vorsitz des ehrwürdigen Vaters Martin Luther, Magisters der freien Künste und der heiligen Theologie, sowie ordentlichen Professors der Theologie daselbst, verhandelt werden sollen. Darum bittet er alle, die nicht persönlich anwesend sein und mündlich mit uns die Sache erörtern können, dies in Abwesenheit schriftlich zu tun. Im Namen unsres Herrn Jesu Christi, Amen.

1) Unser Herr und Meister Jesus Christus hat mit seinem Wort "tut Buße" usw: gewollt, daß das ganze Leben der Gläubigen [nichts als Buße] sein solle.
2) Dieses Wort kann nicht von der Buße als Sakrament verstanden werden, das heißt von der Buße der Beichte und der Genugtuung, die durch das Amt der Priester ausgeübt wird.
3) Doch meint dieses Wort auch nicht nur eine innerliche Buße, ja es gibt überhaupt keine innerliche Buße, die nicht äußerlich mancherlei Abtötung des Fleisches bewirkt.
4) Deshalb dauert auch die Strafe solange, als des menschen Haß gegen das eigene Ich währt (das ist die wahre innerliche Buße), nämlich bis zum Eingang ins Himmelreich.
5) Der Papst will und kann keine anderen Strafen erlassen als diejenigen, die er entweder nach seiner eigenen oder nach der kanonischen Bestimmung auferlegt hat.
6) Der Papst kann keine Schuld anders erlassen als durch die [nachträgliche] Erklärung und Bestätigung, daß sie von Gott erlassen ist; außerdem kann er zweifellos Fälle, die er sich vorbehalten hat, erlassen; würde dies verachtet, so bliebe freilich die Schuld gänzlich unerlassen.
7) Gott vergibt überhaupt keinem die Schuld, ohne ihn zugleich in allen Stücken gedemütigt dem Priester als seinem Stellvertreter zu unterwerfen.

8) Die kanonischen Bußsatzungen sind allein den Lebenden auferlegt; Sterbenden darf — entsprechend eben diesen Satzungen — nichts auferlegt werden.
9) Daher tut uns der heilige Geist im Papste darin wohl, daß er in seinen Verfügungen immer den Fall des Todes und der äußersten Not ausnimmt.
10) Unverständig und übel handeln die Priester, die den Sterbenden die kanonischen Bußleistungen noch für das Fegefeuer aufsparen.
11) Jenes Unkraut von der Verwandlung der kanonischen Strafe in die Fegfeuer-Strafe wurde offensichtlich ausgesät, als die Bischöfe schliefen.
12) Früher wurden die kanonischen Strafen nicht *nach*, sondern *vor* der Absolution auferlegt, gewissermaßen zur Prüfung der wahren Reue.
13) Die Sterbenden bezahlen mit dem Tode alles, sie sind den kanonischen Gesetzen schon abgestorben und also von Rechts wegen davon los und frei.
14) Ist der Sterbende [geistlich] nicht genesen oder unvollkommen in der Liebe, so bringt dies unvermeidlich große Furcht mit sich, und zwar um so größere Furcht, je kleiner der Glaube und die Liebe ist.
15) Diese Furcht und dieser Schrecken sind schon für sich allein hinreichend (von anderem zu schweigen!), um die Pein des Fegfeuers zu bereiten, da dieser Schrecken dem Schrecken der Verzweiflung ganz nahe kommt.
16) Offensichtlich unterscheiden sich Hölle, Fegfeuer und Himmel so, wie sich Verzweiflung, annähernde Verzweiflung und Gewißheit voneinander unterscheiden.
17) Es scheint für die Seelen im Fegfeuer notwendig, daß bei ihnen der Schrecken abnimmt und in demselben Maß die Liebe wächst.
18) Augenscheinlich ist es auch weder durch Vernunftgründe noch durch Schrifstellen erwiesen, daß die Seelen im Fegfeuer sich außerhalb des Standes befinden, in dem ein Verdienst erworden werden oder die Lie-

be wachsen kann.
19) Ebenso aber scheint nicht erwiesen zu sein, daß die Seelen im Fegfeuer über ihre Seligkeit sicher und gewiß sind – wenigstens nicht alle –, auch wenn wir darüber ganz sicher sind.
20) Deshalb versteht der Papst unter "vollem Erlaß aller Strafen" nicht schlechthin die Vergebung aller Strafen, sondern er meint damit lediglich die Strafen, die er selbst auferlegt hat.
21) Es irren deshalb diejenigen Ablaßprediger, die sagen, durch des Papstes Ablässe werde der Mensch von *aller* Strafe los'und ledig, frei und selig.
22) Ja, keine einzige Strafe erläßt der Papst den Seelen im Fegfeuer, die sie in diesem Leben nach den kirchlichen Satzungen hätten büßen müssen.
23) Wenn je ein vollständiger Erlaß aller Strafen einem Menschen gegeben werden kann, dann ist es sicher, daß er nur den Vollkommensten und d. h. nur ganz Wenigen gegeben wird.
24) Deshalb ist es unausbleiblich, daß der größte Teil des Volkes betrogen wird durch jenes unterschiedslose und wichtigtuerische Versprechen, ihre Strafe sei getilgt.
25) Die gleiche Gewalt, die der Papst über das Fegfeuer hat im allgemeinen, die hat auch jeder beliebige Bischof und Pfarrer in seinem Bezirk und seiner Pfarrei im besonderen.
26) Sehr wohl tut der Papst daran, wenn er nicht durch die Schlüsselgewalt (die er für das Fegfeuer gar nicht hat), sondern in Form der Fürbitte den Seelen Nachlaß gewährt.
27) Menschenlehre predigen die, welche sagen, sobald die Münze in den Kasten falle und klinge, fahre die Seele alsbald aus dem Fegfeuer heraus.
28) Das ist sicher: sobald die Münze im Kasten klingt, können Gewinn und Geiz zunehmen; die Fürbitte der Kirche aber steht allein in Gottes

Wohlgefallen.
29) Wer weiß,ob alle Seelen im Fegfeuer überhaupt erlöst werden wollen, wie vom heiligen Severinus und Paschalis berichtet wird?
30) Niemand ist sicher über die Echtheit seiner Reue, wieviel weniger über die Erlangung des vollen Erlasses.
31) Wie Selten ein wahrhaft Bußfertiger zu finden ist, so selten ist einer, der in Wahrhaftigkeit Ablässe kauft, ja ihrer sind sehr wenige.
32) Verdammt in Ewigkeit samt ihren Lehrmeistern werden die sein, die durch Ablaßbriefe ihres Heils gewiß zu sein glauben.
33) Vor denen muß man sich ganz besonders hüten, die sagen, der Ablaß des Papstes sei jene unschätzbare Gottesgabe, durch welche der Mensch mit Gott versöhnt wird.
34) Denn jene Ablaßgnaden beziehen sich nur auf die Strafen der sakramentalen Genugtuung, die von Menschen eingesetzt sind.
35) Unchristlich predigen die, welche lehren, wer Seelen aus dem Fegfeuer loskaufe oder Beichtbriefe löse, habe die Reue nicht nötig.
36) Jeder Christ ohne Ausnahme, der wahrhaft reue empfindet, hat völlige vergebung von Strafe und Schuld, die ihm auch ohne Ablaßbriefe gebührt.
37) Jeder wahre Christ, ob lebending oder tot, hat teil an allen Gütern Christi und der Kirche; diese Teilnahme ist ihm auch ohne Ablaßbrief von Gott gegeben.
38) Doch darf man darum die Vergebung und Austeilung des Papstes auf keine Weise verachten, weil sie (wie gesagt) eine Erklärung der göttlichen Vergebung ist.
39) Es ist überaus schwer auch für die allergelehrtesten Theologen, zugleich vor dem Volk reichliche Ablaßgnaden und die wahrhaftige Reue zu rühmen.
40) Wahrhaftige Reue sucht und liebt die Strafen; reichliche Ablässe aber erleichtern die Strafen und bewirken Haß gegen dieselben, zum mindesten schaffen sie Gelegenheit dazu.

41) Vorsichtig muß man den apostolischen Ablaß predigen, damit das Volk nicht zu der falschen Ansicht kommt, dieser Ablaß stehe über den andern guten Werken der Liebe.
42) Lehren muß man die Christen, daß es keineswegs die Meinung des Papstes ist, der Ablaßkauf sei irgendwie den Werken der Barmherzigkeit gleichzustellen.
43) Lehren muß man die Christen: wer dem Armen gibt oder dem Bedürftigen leiht, tut besser, als wenn er Ablaß löst.
44) Denn durch das Werk der Liebe wächst die Liebe und der Mensch wird besser; aber durch die Ablässe wird er nicht besser, sondern nur freier von der Strafe.
45) Lehren muß man die Christen: wer einen Bedürftigen sieht, ihn aber mißachtet und sein Geld für Ablässe ausgibt, der erwirkt sich damit nicht den Ablaß des Papstes, sondern Gottes Ungnade.
46) Lehren muß man die Christen: wer nicht reichlich mit überflüssigem Gut versehen ist, ist verpflichtet, die Notdurft für sein Haus zurückzubehalten und keinesfalls für Ablaß zu verschwenden.
47) Lehren muß man die Christen, daß der Kauf von Ablässen freiwillig ist, nicht befohlen.
48) Lehren muß man die Christen: wie der Papst beim Ablaßgewähren viel eher des Gebetes bedarf, so wünscht er auch für sich viel mehr ein andächtiges Gebet als willfährige Zahlung.
49) Lehren muß man die Christen: der Ablaß des Papstes ist nützlich, wenn man nicht sein Vertrauen auf ihn setzt, aber er ist äußerst schädlich, wenn man durch ihn die Furcht vor Gott verliert.
50) Lehren muß man die Christen: wenn der Papst die Beitreibungen und die Schinderei der Ablaßprediger wüßte, wollte er lieber, daß die St. Peterskirche in Asche verwandelt, als daß sie mit Haut, Fleisch und Knochen seiner Schafe gebaut würde.
51) Lehren muß man die Christen: der Papst wollte gerne — wie er auch schuldig ist —, selbst wenn er dazu die Peterskirche verkaufen

müßte, von seinem eigenen Gelde all den vielen schenken, welchen jetzt gewisse Ablaßprediger das Geld aus der Tasche locken.
52) Eitel und nichtig ist das Vertrauen, durch Ablaßbriefe das Heil zu erlangen, auch wenn der Kommissar, ja der Papst selbst seine eigene Seele dafür zum Pfande gäbe.
53) Feinde Christi und des Papstes sind die, welche um der Ablaß–predigt willen das Wort Gottes in anderen Kirchen ganz zum Schweigen bringen.
54) Dem Worte Gottes geschieht Unrecht, wenn in derselben Predigt gleich viel oder gar noch mehr Zeit für den Ablaß verwendet wird als für das Wort Gottes.
55) Die Meinung des Papstes kann keine andere sein als diese: wenn schon die Ablässe (als das Geringste) mit einer Glocke, einer Prozession und Festlichkeit begangen werden, dann muß das Evangelium (als das Größte) mit hundert glocken, hundert Prozessionen, hundert Festlichkeiten gepredigt werden.
56) Die Schätze der Kirche, woraus der Papst den Ablaß austeilt, sind weder genügend mit Namen genannt noch bekannt bei dem Volke Christi.
57) Daß es bestimmt nicht zeitliche Schätze sind, geht schon daraus hervor, daß viele von den Predigern sie nicht so leicht ausschütten, sondern bloß einsammeln.
58) Auch sind es nicht die Verdienste Christi und der Heiligen, denn diese bewirken immer, auch ohne den Papst, Gnade für den inneren Menschen, Kreuz, Tod und Hölle für den äußeren Menschen.
59) Der heilige Laurentius nannte die Armen der Kirche den Schatz der Kirche; aber er redete nach dem Sprachgebrauch seiner Zeit.
60) Wohlüberlegt sagen wir: die Schlüssel der Kirche (durch das Verdienst Christi uns geschenkt) sind dieser Schatz.
61) Denn es ist Klar, daß zum Erlaß der Strafen und besonderer Fälle die gewalt des Papstes allein genügt.
62) Der wahre Schatz der Kirche ist das hochheilige Evangelium der

Ehre und Gnade Gottes.
63) Dieser Schatz aber ist mit Recht der allerverhaßteste, weil er aus Ersten Letzte macht.
64) Der Schatz der Ablässe aber ist mit Recht der allerangenehmste, weil er aus Letzten Erste macht.
65) Deshalb sind die Schätze des Evangeliums die Netze, mit denen man einst Menschen von Reichtum gefischt hat.
66) Die Schätze des Ablasses sind die Netze, mit denen man jetzt den *Reichtum* von Menschen fischt.
67) Die Ablässe, die die Prediger als die größten Gnaden ausschreien, sind in der lat als solche anzusehen, sofern sie nämlich großen Gewinn einbringen.
68) In Wirklichkeit sind sie jedoch die allergeringsten Gnaden im Vergleich mit der Gnade Gottes und der Barmherzigkeit des Kreuzes.
69) Die Bischöfe und Seelsorger sind verpflichtet, die apostolischen Ablaß-Kommissare mit aller Ehrerbietung zuzulassen.
70) Aber viel mehr noch sind sie verpflichtet, ganz Auge und ganz Ohr zu sein, damit die Ablaß-Prediger nicht anstelle des päpstlichen Auftrags ihre eigenen Träume predigen.
71) Wer gegen die Wahrheit der apostolischen Ablässe redet, der sei verbannt und verflucht.
72) Wer aber gegen die zügellosen und zuchtlosen Worte eines Ablaß-Predigers auf der Wacht ist, der sei gesegnet.
73) So wie der Papst gerechterweise alle die mit seinem Bannstrahl trifft, die zum Schaden des Ablaß-Geschäftes mit irgendwelchen Machenschaften am Werke sind,
74) so, und noch viel mehr ist er darauf bedacht, alle die mit seinem Bannstrahl zu zerschmettern, die unter dem Vorwand des Ablasses zum Schaden der heiligen Liebe und Wahrheit am Werke sind.
75) Die Meinung, die päpstlichen Ablässe seien so wirksam, daß sie einen Menschen lossprechen könnten, auch wenn er (unmögliche Sa-

che!) die Mutter Gottes geschändet hätte, ist reiner Wahnsinn.
76) Wir sagen dagegen, daß die päpstlichen Ablässe auch nicht die kleinste von den läßlichen Sünden wegnehmen können, was deren *Schuld* betrifft.
77) Daß man sagt, auch Sankt Petrus könnte, wenn er jetzt gerade Papst wäre, keine größeren Gnaden geben, ist eine Lästerung gegen den heiligen Petrus und gegen den Papst.
78) Wir sagen dagegen, daß auch der jetzige und überhaupt jeder Papst größere Gnaden [als den Ablaß] hat, nämlich das Evangelium, geistliche Kräfte, Gaben der Heilung usw., s. 1 Kor. 12.
79) Zu sagen, das mit dem päpstlichen Wappen herrlich aufgerichtete Ablaßkreuz habe den gleichen Wert wie das Kreuz Christi, ist eine Lästerung.
80) Bischöfe, Seelsorger und Theologen, die zulassen, daß man solche Predigten dem Volk öffentlich bietet, werden dafür Rechenschaft ablegen müssen.
81) Diese unverschämte Ablaßpredigt macht, daß es auch für gelehrte Männer nicht leicht ist, die Ehrfurcht vor dem Papst zu retten vor böser Nachrede oder vor den freilich spitzigen Fragen der Laien.
82) So z. B.: Warum befreit der Papst nicht aus dem Fegfeuer allein um der allerheiligsten Liebe und der höchsten Not der Seelen willen — das ist doch der allerwichtigste Grund —, wenn er doch unzählig viele Seelen befreit um des unseligen Geldes willen, zum Bau der Peterskirche — also aus einem ganz nichtigen Grunde?
83) Ferner: Warum bleiben die Leichenbegängnis — und Jahresfeiern für die Verstorbenen immer noch bestehen, und warum gibt der Papst nicht alle Pfründen zurück oder erlaubt die Zurücknahme der für die Toten gestifteten Gelder, wenn es doch Unrecht ist, für die schon Erlösten noch zu beten?
84) Ferner: was ist das für eine neue Heiligkeit Gottes und des Papstes, daß sie einem gottlosen und feindseligen Menschen um des Geldes willen

gestatten, eine fromme und von Gott geliebte Seele zu erlösen, und daß sie dennoch dieselbe um der *Not* derselben frommen und geliebten Seele willen nicht aus freier, uneigennütziger *Liebe* erlösen?

85) Ferner: warum werden die Bußsatzungen, die ja der Sache nach und durch ihren Nichtgebrauch schon längst abgeschafft und tot sind, immer noch mit Geld abgelöst durch die Bewilligung des Ablasses, wie wenn sie in voller Lebenskraft stünden?

86) Ferner: warum baut der Papst, dessen Vermögen heute größer ist als das des allerreichsten Crassus, nicht wenigstens die eine Kirche des heiligen Petrus lieber von seinem eigenen Geld als von dem der armen Gläubigen?

87) Ferner: was schenkt denn der Papst Ablaß oder Anteil an geistlichen Güter denen, die durch vollkommene Reue schom das Recht auf völlige Vergebung und Anteilnahme haben?

88) Ferner: was könnte der Kirche besseres widerfahren, als wenn der Papst, wie er jetzt einmal tut, so hundertmal am Tage jedem Gläubigen diese Vergebung und Anteilnahme schenkte?

89) Wenn doch der Papst durch die Ablässe mehr das heil der Seelen als das Geld sucht, warum hebt er dann schon früher gewährte Briefe und Ablässe auf, die doch ehenso wirksam sind?

90) Diese ganz spitzigen Fragen und Folgerungen der Laien mit bloßer Gewalt unterdrücken und nicht Rede und Antwort stehen und sie widerlegen, heißt die Kirche und den Papst dem Gelächter der Feinde aussetzen und die Christen unglücklich machen.

91) Wenn also der Ablaß nach dem Geist und Sinn des Papstes gepredingt würde, würden jene Einwände alle leicht zerstreut, ja sie wären überhaupt nicht vorhanden.

92) Deshalb fort mit all *den* Propheten, die dem Volke sagen "Friede, Friede", und ist kein Friede.

93) Wohlergehen soll's all *den* Propheten, die dem Volks Christi sagen "Kreuz, Kreuz", und ist kein Kreuz.

94) Ermahnen muß man die Christen, daß sie ihrem Haupt Christus durch Leiden, Tod und Höllen nachzufolgen trachten.
95) Und so sollen sie viel mehr ihr Vertrauen darauf setzen, durch viele Trübsale ins Himmelreich einzugehen, als durch die Sicherheit eines [falschen] Friedens.

# შენიშვნები

1. თეზისებს, როცა ლუთერმა ისინი ვიტენბერგის ეკლესიის კარებზე გამოაკრა (1517 წლის 31 ოქტომბერს), სათაურად ჰქონდა „Disputatio pro declaratione virtutis indulgentiarum“ (დისპუტი ინდულგენციის ძალის გარკვევისათვის). თეზისები დაწერილი იყო ლათინურ ენაზე; მალე (დეკემბერში) გამოჩნდა გერმანული თარგმანი.
2. აქ ლუთერს მხედველობაში აქვს ერთი ადგილი ახალი აღთქმიდან (მათე 4,17) და იძლევა მის განმარტებას.
3. მონანიება (აღსარება) ერთ-ერთი ქრისტიანული საიდუმლოებათაგანია, რომელიც რელიგიური წარმოდგენების თანახმად, მდგომარეობს იმაში, რომ მორწმუნე, გაუმხელს რა თავის ცოდვებს მღვდელს, მისგან ღებულობს შენდობას – ცოდვების პატიებას. კათოლიკე ღვთისმეტყველები მონანიების საიდუმლოებაში განასხვავებენ სამ ეტაპს, რომლებიც მომნანიებელს თანმიმდევრობით უნდა გაევლო: პირველია მონანიება (contritio), რომელსაც ლუთერი მე-2 თეზისში განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევს; მეორეა აღსარება (confessio), რომელიც გულისხმობს ყოველი სასიკვდილო ცოდვის აღიარებას მღვდლის წინაშე; დაბოლოს, მესამეა ცოდვათა მიტევება (satisfactio), რომელთაც თან ახლავს მოვალეობის დაკისრება გამოისყიდოს ისინი „კეთილი საქმეების“ (რომლის ქვეშ იგულისხმება ლოცვები, მარხვები, მოწყალების გაცემა, მომლოცველობა, შეწირულობათა გაღება ეკლესიისა და მის დაწესებულებათა – ჰოსპიტლების, თავშესაფრებისა და ა.შ. სასარგებლოდ) მეშვეობით. ლუთერის „განმარტებებიდან“ კი ის აზრი გამომდინარეობს, რომ მონანიების საიდუმლოს სამეტაპიან დაყოფას არაფერი აქვს საერთო „სახარებისეულ“ მონანიებასთან. მონანიება მიწიერი ცხოვრების მხოლოდ ერთ ნაწილს – გარეგნულ მხარეს მოიცავს, რაც შეიძლება გულწრფელი არ იყოს. ამასთან, მონანიების საიდუმლოს არა აქვს რაიმე მითითება, რომ ის ქრისტესაგან მომდინარეობს. იგი პაპებისა და ეკლესიის გამონაგონია და ამიტომაც არ შეიძლება იყოს საიდუმლო (ე.ი. საეკლესიო წეს-ჩვეულება, რომელშიც უხილავად ესწრება ღმერთი

და რომელიც შთააგონებს მას). თავისი კრიტიკით, რომელიც დაფუძნებულია სახარებაზე, ლუთერს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს კათოლიკური თეოლოგიის მხილებაში. შემდგომში ის შეიმუშავებს თავის თეოლოგიას, რომელშიც ტოვებს მხოლოდ ორ საიდუმლოს: მონათვლასა და ზიარებას.

4. ლუთერი უპირატესობას აძლევს არა გარეგნულ, საეკლესიო მონანიებას, არამედ „შინაგან", ჭეშმარიტ მონანიებას, თუმცა მას გარეგნული გამოვლინებაც აქვს. ლუთერს ახალგაზრდობაში მარხვებითა და ლოცვებით თავი დაუძლურებამდე მიჰყავდა და ამიტომ აკავშირებს „შინაგან მონანიებას" „ხორცის მოკვდინებასთან".

5. ლუთერი ამოდის ქრისტიანული წარმოდგენიდან ადამიანზე, როგორც დასაბამიდან ცოდვილ არსებაზე (იგულისხმება ეგრეთ წოდებული „პირველქმნილი ცოდვა"), რომელმაც, ამიტომაც, უნდა მოინანიოს თავისი ცოდვები მთელი ცხოვრების მანძილზე. ადამიანი, სრულად ესმის რა თავისი ცოდვიანობა, შინაგან მონანიებას მიჰყავს სიძულვილამდე საკუთარი თავისადმი და სიყვარულამდე ღმრთისადმი, რომლისგანაც ის ელოდება პატიებას; მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ მაშინ, როცა მისი სული (სხეულის სიკვდილის შემდეგ) შევა „ცათა სასუფეველში".

   ცათა სასუფეველი, სასუფეველი ღვთისა — იდეალური მდგომარეობა, რომელიც, რელიგიური წარმოდგენების თანახმად, დადგება ე.წ. „განკითხვის დღის" შემდეგ. დაჩაგრულ ადამიანებს სწამდათ, რომ ციდან დაეშვება, გამოჩნდება მხსნელი, რომლის მოსვლასთან ერთად ყველაფერი შეიცვლება: მკვდრეთით აღდგებიან მკვდრები და ცოცხლებთან ერთად წარსდგებიან ღვთის სასამართლოს წინაშე, სადაც ყოველი მიიღებს დამსახურებისამებრ — ცოდვილებს მიესჯებათ „საუკუნო სატანჯველი" ჯოჯოხეთში, ხოლო წმინდანნი შევლენ „ცათა სასუფეველში" და მარადიულ ნეტარებაში იქნებიან სამოთხეში.

6. ეპიტიმია (ბერძნული epitimion – საკანონო, სასჯელი) — ზნეობრივგამასწორებელი ზომა მართლმადიდებლობასა და რომაულ კათოლიციზმში, ე.ი. მორწმუნეთა საეკლესიო სასჯელი მათ მიერ საეკლესიო კანონებისა და მოძღვრის — მღვდლის მითითებათა დარღვევის

გამო. სასჯელთა სახეობა: ხანგრძლივი ლოცვა, მწუხრის ლოცვა, გაძლიერებული მარხვა, თაყვანისცემა ხატის, ჯვრის წინაშე, მომლოცველობა და მისთანანი. ეპიტიმიას უფრო ხშირად სამღვდელოება დაადებს, იგი იშვიათად, ნებაყოფლობით, მიიღება თვით მორწმუნის მიერ.

7. ლუთერმა სავსებით შეცვალა ეკლესიის მიერ მიღებული სასჯელთა რიგი, რომლის თანახმად კანონიკური (ბერძნული kanon – ნორმა, წესი – დებულებათა კრებული, რომელთაც აქვთ დოგმატიკური ხასიათი) სასჯელი პირველ ადგილზე იდგა. ლუთერის „განმარტებებში" სასჯელები შემდეგი თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი: სამუდამო ტანჯვა, ნებაყოფლობითი ტანჯვა, რომელიც ხორცის მოკვდინებაში გამოიხატება, შემდეგ ღვთის სასჯელი, დაბოლოს, ეკლესიის მიერ დაწესებული სასჯელი.

8. ცოდვა – რელიგიური ცნება, რომელიც გამოიყენება რელიგიურზნეობრივი მითითებების საწინააღმდეგო მოქმედებების, სიტყვებისა და აზრების აღსანიშნავად. რადგან ეს მითითებანი წარმოითქმება ღმერთის სახელით, ამდენად, მათი შეუსრულებლობა ითვლება „ღვთის ნების" დარღვევად, რომელსაც თითქოს „ღვთის სასჯელი" მოსდევს.

9. აქ ლუთერი განასხვავებს პატიებას, ღმერთისაგან მომდინარეს, და პატიებას, პაპის მიერ გამოცხადებულს. ამ და მომდევნო (მე-7) თეზისიდან ისიც კარგად ჩანს, რომ ლუთერი თავის ამ თხზულებაში ხელაღებით არ უარყოფს საეკლესიო დოგმებს: რადგან პაპს აქვს ღმერთისაგან ბოძებული „გასაღები" (ძალაუფლება), მას, შესაბამისად, მისგან (ე.ი. პაპისაგან) მომდინარე სასჯელის მოხსნაც შეუძლია (ამაზე უფრო დაწვრილებით საუბარი გვაქვს ჩვენს ნარკვევში. იხ. აგრეთვე 25-ე და 44-ე შენიშვნები).

10. მერვე და მომდევნო (მე-9 და მე-13) თეზისებიდან გამომდინარეობს, რომ მონანიება არ შეიძლება გავრცელდეს არა მარტო მკვდრების სალხინებელში მყოფ სულებზე, არამედ მომაკვდავთა სულებზეც; რომ ამდაგვარ უფლებას გამორიცხავს თვით კანონიკური (პაპისეული) დადგენილებანი; რომ საეკლესიო სასჯელის დადება მომაკვდავის სულზე – ეს ღვთის ხელისუფლებაში ჩარევაა. ამით ლუთერი ფაქტობრივად ილაშქრებს ინდულგენციებით ვაჭრობის წინააღმდეგ.

11. სულიწმიდა – სალვთო წერილის თანახმად, ღმერთი არის ერთი და სამპიროვანი: პირველი პირია მამა-ღმერთი, მეორეა ძე-ღმერთი, ე.ი. იესო ქრისტე, ხოლო მესამეა სულიწმიდა ღმერთი. მამა-ღმერთი არაა შობილი, არაა გაჩენილი სხვა ღვთაებრივი პირის მიერ, ძე-ღმერთი შობილია მამა-ღმერთის მიერ (იოანე 1, 14, 18; 3, 16). მართლმადიდებლობისაგან განსხვავებით კათოლიციზმი აღიარებს სულიწმიდა ღმერთის გარდმოსვლას არა მარტო მამა-ღმერთისაგან, არამედ ძე-ღმერთისგანაც.

12. სალხინებელი (განსაწმენდელი) – კათოლიკური მოძღვრების თანახმად, საიქიო ტანჯვის სამეფოში, გარდა „ჯოჯოხეთისა" არის კიდევ „სალხინებელი", სადაც „ცოდვილთა" სულები, რომლებიც, ვერ მიიღეს რა პატიება ამქვეყნიურ ცხოვრებაში (თუმცა არ არიან დამძიმებულნი მომაკვდინებელი ცოდვით), სასჯელს იხდიან თავიანთი საქციელის აშკარა არაღვთისმოსაობის გამო, ვიდრე სამოთხეში შეშვების უფლებას მოიპოვებენ. სულმა შეიძლება სალხინებელში შვება მოიპოვოს, ხოლო მისი იქ ყოფნის ვადა შემოკლდეს, თუ გარდაცვლილის ხსოვნისათვის შესრულდება „კეთილი საქმეები", რომელიც მიწაზე დარჩენილ ნათესავებსა და ახლობლებს მართებთ. წარმოდგენა სალხინებელზე საქრისტიანოში ჯერ კიდევ I საუკუნეში შეიქმნა. მოძღვრება მასზე ჩამოაყალიბა თომა აკვინელმა (1226-1274 წლები). ამ მოძღვრებამ თავისებური ასახვა პოვა დანტე ალიგიერის „ღვთაებრივ კომედიაშიც". „კომედია" დაყოფილია სამ ნაწილად: „ჯოჯოხეთი", „სალხინებელი" და „სამოთხე". მართლმადიდებლური და პროტესტანტული ეკლესიები უარყოფენ მოძღვრებას „სალხინებელზე". ლუთერს, როგორც ამას მისი მე-15, მე-16 და სხვა თეზისები ადასტურებენ, თეზისების შედგენისას ჯერ კიდევ ეჭვი არ ეპარებოდა „სალხინებლის" არსებობაზე; იგი მსჯელობდა სალხინებელზე როგორც შემზადებაზე სამოთხეში შესასვლელად (იხ. მე-17 შენიშვნა), როგორც ადგილზე, სადაც ტანჯვის მეშვეობით იზრდება სიყვარული ღმერთისადმი (იხ. ასევე მე-18 შენიშვნა); თუმცა შემდეგში ის „სალხინებელს" უწოდებდა „ეშმაკისეულ სიცრუეს".

13. ლუთერი გადაკვრით მიგვანიშნებს ადგილზე სახარებიდან, მათე 13,25. ამავე თეზისიდან ის აზრიც გამომდინარეობს, რომ სალხინებ-

ლის ტანჯვა — ესაა განსაწმენდელი სასჯელი, დადებული არა ადამიანის ხელით, არამედ ღმერთის მიერ.

14. ძველი საეკლესიო დადგენილებათა თანახმად, რომელიც მომდინარეობს ტერტულიანეს (დაახლოებით 160-220 წლები) ეპოქიდან, ცოდვილს ცოდვების პატიება და საეკლესიო თემში უკან დაბრუნების უფლება უნდა მოეპოვებინა მონანიებით — თავისი დანაშაულის საჯარო აღიარებით, თვითგვემით, თავზე ნაცრის დაყრით და ა.შ. ამ ისტორიული დამოწმებით ლუთერი იცავს მე-8 თეზისსაც, რომლის მიხედვით ცოდვების მონანიება შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ცოცხლებს და არა მკვდრებს.

15. ეს თეზისი ჩამოყალიბებულია 1 იოანე 4,18 შესაბამისად.

16. მე-14 და მე-15 თეზისებთან დაკავშირებით ლუთერი „განმარტებებში" ლაპარაკობს: მართალია, შიში და ძრწოლა არ გრძელდება დიდხანს, მაგრამ ისინი იმდენად მძიმეა, რომ მომაკვდავი განიცდის წარმოუდგენელ ტანჯვას. ადამიანს, რომელიც იმყოფება ასეთ მდგომარეობაში, ღმერთი და მთელი ქვეყანა გაავებული ჰგონია, ის კარგავს იმის რწმენის უნარს, რომ „მისი სული ოდესმე განთავისუფლდება... მან არ იცის, თუ საიდან უნდა ელოდეს დახმარებას". ლუთერის აზრით, უკვე ასეთი ფიქრიც, არაფერი რომ არა ვთქვათ ადრე ჩადენილ ცოდვებზე, საკმარისია სალხინებლის ტანჯვის შემზადებისათვის.

17. ჯოჯოხეთი და სამოთხე — რელიგიური რწმენების თანახმად, ადგილი, საითკენაც მიემართებიან მიცვალებულთა სულები; ჯოჯოხეთი (ბერძნული hádēs – ქვესკნელი) — ადგილი, სადაც ცოდვილნი იტანჯებიან თავიანთი სულის სიავის გამო; სამოთხე (ძველი ებრაული — „ედენი" ანუ „ედემი") — წმინდანთა სიკვდილის შემდგომი საუკუნო ნეტარების ადგილი, რომელთაც ეს ჯილდო დაიმსახურეს ღმერთისადმი ერთგული სამსახურით სიცოცხლეში. იხ. ასევე მე-12 და მე-18 შენიშვნები.

18. მე-17 და მე-18 თეზისებთან დაკავშირებით ლუთერი „განმარტებებში" ლაპარაკობს: სალხინებელში შთაინთქმება ნარჩენი ძველი ადამიანისა, სულში კი ისახება ახალი ცხოვრება; სასჯელისადმი შიში ქრება, იზრდება რწმენა და სიყვარული.

19. აშკარად ჩანს, რომ ლუთერი თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში (1517-1521 წლები) ადამიანურ გონებას რწმენის საქმეში დამოუკიდებელ მნიშვნელობას ანიჭებს. ვორმსის რაიხსტაგზეც (1521 წელი) ლუთერი კატეგორიულად აცხადებს, რომ უარს არ იტყვის დებულებებზე, გამოთქმულს თავის თხზულებებში, ვიდრე მას არ უკუაგდებენ სათანადო საბუთებით საღვთო წერილიდან ან „ნათელი გონივრული მოსაზრებებით“. მაგრამ ვორმსის რაიხსტაგის შემდგომ პერიოდში, როცა ლუთერისათვის ცხადი გახდა, რომ რეფორმაციის ერთიანობის საქმეს საშიშროება დაემუქრა (მისი ყოფილი მიმდევარი კარლშტადტი იწყებს დამოუკიდებელ მოქმედებას, შემდეგ გამოჩნდნენ სხვა რელიგიური სექტებიც, ხოლო თომას მიუნცერმა დაანთო სოციალური რევოლუციის ცეცხლი), ერთი სიტყვით, გონების ჩარევამ რელიგიაში გამოიღო გარდუვალი ნაყოფი — განხეთქილება და გათიშვა, ამიტომ ლუთერმა გაილაშქრა „ადამიანური გონების წინააღმდეგ“, ე.ი. ბუნების მკრთალი და არასრულყოფილი ლამპარის წინააღმდეგ“. ამ უკანასკნელს, მისი თქმით, არ შეუძლია გაიგოს ან შუქი მოჰფინოს ღვთის საქმეს, იგი თავის მტკიცებებში სავსებით უზუსტოდ და საეჭვოდ მსჯელობს. ამით ლუთერი გამორიცხავს ადამიანური გონების დამოუკიდებელ როლს რწმენის საქმეში, რაც, რა თქმა უნდა, ჩრდილს აყენებს მის სახელს. ამასთანავე, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ლუთერი საერთოდ (ყოველგვარ საქმეში) გამორიცხავს გონების როლს. მაგალითად, თავის ერთ-ერთ თხზულებაში (1536 წელი) ის ლაპარაკობს: „სრულიად უდავოა: გონება — ამქვეყნიურ ყველა სიკეთეს შორის ყველაზე გამოჩენილი და ყველაზე საუკეთესოა, თვით რაღაც ღვთაებრივიც კი. ის — გამომგონებელი და მეფეა ყველა ხელოვნების, ყოველგვარი სიბრძნის, ძალის, პატივისა და სათნოების, როგორსაც კი ადამიანები ფლობენ ამქვეყნიურ ცხოვრებაში“. 1544 წელს იგი გონებას უწოდებს ძალიან დიდ და ფასდაუდებელ ღვთაებრივ საჩუქარს (**Ч. Бэрд**, დასახ. ნაშრ, გვ. 150). ამრიგად, ლუთერი საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევს ადამიანურ გონებას, თუმცა მისი მოღვაწეობის კონკრეტულ სფეროდ თვლის ამქვეყნიურ ცხოვრებას, საერო საქმეებს. მართალია, ამასთან დაკავშირებით ლუთერთან

ნათქვამია, რომ გონება სიდიადესა და ღირსებას ფლობს არა თავისთავად, არამედ სესხულობს ბიბლიისაგან, მაგრამ იგი იმასაც ამტკიცებს, რომ ქვეყნის მართვა ბიბლიის დახმარებით შეუძლებელია, რადგან ადამიანებს შორის უფრო მეტია ურწმუნო, ვიდრე ჭეშმარიტი მორწმუნე. მაშასადამე, მისი აზრით, ქვეყნისა და ხალხის მართვისათვის მთავარი მნიშვნელობა აქვს მმართველის გონებას, მის სიბრძნეს, კანონებს. „ჭკუა და გონება კანონების გული და მფლობელია" (**Luther Deutsch**. Tischreden. Hrsg. von K. Aland, Bd.9, Berlin, 1948, s. 297), – იმეორებს იგი სხვა შემთხვევაში. მაშასადამე, ლუთერთან საბოლოოდ თუ არაა გადაწყვეტილი, ყოველ შემთხვევაში დასმული მაინცაა სახელმწიფოებრივი პოლიტიკისა და საერო მართვის სფეროში, ადამიანური გონების სრული რეაბილიტაციის საკითხი. როცა ლუთერს სახელმწიფოს პრაქტიკული მოღვაწეობა გადააქვს საერო სამართლის (ბუნებრივი სამართლის) სფეროში და უშვებს, რომ ხელმწიფეს შეუძლია თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში იხელმძღვანელოს საკუთარი გონებით, ამით მისი პოლიტიკური კონცეფცია უახლოვდება ახალი დროის პოლიტიკურ კონცეფციას (**М.М. Смирин**. Эразм Роттердамский и реформационное движение в Германии. М.,1978, с. 206). ჩვენ დაწვრილებით ვეხებით ლუთერის შეხედულებებს გონებაზე წიგნში – „მარტინ ლუთერის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი".

20. აქ ლუთერს მხედველობაში აქვს ის დრო, როცა ინდულგენცია წარმოადგენდა საეკლესიო ეპიტიმიას, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში ფულის გადახდითაც იცვლებოდა. მაშასადამე, ინდულგენცია ეხებოდა მონანიების მხოლოდ გარეგან მხარეს და, არსებითად, ადამიანს არ ათავისუფლებდა ცოდვებისაგან. ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა პაპი ურბან II, 1095 წელს პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ყველა მონაწილეს შეუნდო სასჯელი, რომელიც ეკლესიის მიერ იყო დადებული. მოგვიანებით სრული შენდობა ვრცელდება ყოველგვარ ცოდვაზე. იხ. ასევე მე-6 თეზისი.
21. **ინდულგენცია** (ლათინური Indulgentia – წყალობა) – პაპის სიგელი, დამადასტურებელი როგორც ჩადენილი, ისე ჯერ არ მომხდარი ცოდვის

მიტევებისა, რომელიც გაიცემოდა ფულისათვის ან კათოლიკური ეკლესიის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის. ინდულგენციაზე უფრო დაწვრილებით ვსაუბრობთ ჩვენს ნარკვევში.

22. ლუთერი ცდილობს თვითონ უჩვენოს სწორი გზა მონანიებისაკენ: „აქამდე ჩვენ გვასწავლიდნენ „ქვიშის მარცვლის თვლას", ე.ი. ჩვენგან მოითხოვდნენ ცალკეულ ცოდვებზე დაწვრილებით საუბარს, მათ შეჯამებას, აწონას, რათა ამ გზით მოგვეპოვებინა მონანიება. მსგავსი ქცევით ჩვენ კვლავ განვაახლებთ მოგონებას საკუთარ მისწრაფებებსა და წარსულ ანტიპათიებზე. ვცდილობთ რა წარსულის წაშლას, ჩვენ კვლავ ვცოდავთ; ეს ნაძალადევი მონანიებაა, მოსაჩვენებელი ქცევა სასჯელის წინაშე შიშის გამო. ჭეშმარიტი მონანიება იწყება ღვთის კეთილი საქმეების მოგონებით, უპირატესად, ქრისტეს ჭრილობის წარმოდგენით; როცა ადამიანი წარმოიდგენს ამ ჭრილობებს, უფრო მეტად შეიგნებს საკუთარ უმადურობას და, ამგვარად, შეიძულებს თავის თავს, ისე რომ არ უნდა ინანოს ამაზე. და მაშინ ადამიანი შეიძულებს ცოდვას სასჯელის წინაშე არა შიშის გამო, არამედ იმიტომ, რომ ის პირდაპირ ჭვრეტს ღვთაებრივ მადლს, რითაც მოიპოვებს შეწყალებას. თუ ადამიანში საკუთარი ცოდვის გამო წარმოიშობა შებრალების გრძნობა, მაშინ მას შესწევს უნარი შეიბრალოს სხვებიც". ამრიგად, ამბობდა რა, რომ „ცოდვების სრული შენდობა არ შეიძლება მიეცეს ვინმეს: არც ბიწიერს, არც თვით უბიწო ადამიანებსაც", ამით ლუთერს სურდა დაემტკიცებინა, რომ თვით უბიწოებიც თავიდან ვერ აიცილებენ შინაგან მონანიებასა და ტანჯვას, რომ თვით ღმერთს სურს, რათა სასჯელებით მიუახლოვოს ადამიანები თავისი შვილის (ე.ი. ქრისტეს) სახეს, რომელიც ჯვარს აცვეს. გულწრფელი მონანიების ამ იდეას, რომელიც წითელი ხაზივით გასდევს ლუთერის თეზისებს, პირველ რიგში მივყავართ იმ დოგმებისა და დადგენილებების უარყოფამდე, რომელზეც დაფუძნებული იყო ინდულგენციებით ვაჭრობა, მორწმუნეებს უნერგავდა აზრს ინდულგენციებიდან (ან სხვა საეკლესიო ვალდებულებებიდან) გამომდინარე საეკლესიო-ფეოდალური ექსპლუატაციის მიუღებლობაზე.

23. „განმარტებებში" ლუთერი წერს: „მე თვითონ გამიგონია: ბევრი

ადამიანი თვლის – ინდულგენციის წყალობით მას შეუძლია დაუძვრეს ყოველგვარ სასჯელს". ლუთერი იგონებს შემთხვევას, როცა აღსარებისას აღმსარებლები, რომელთაც უარი უთხრეს ცოდვათა მიტევებაზე, მათი უზნეო ცხოვრებისა თუ სხვა ცოდვების გამო, იმუქრებოდნენ ინდულგენციების შეძენით. ამგვარად, ლუთერის აზრით, ცოდვათა მიტევების ეს წესი შეიძლება საშიში გახდეს როგორც მონანიების საიდუმლოსათვის, ისე ყოველგვარი საეკლესიო მმართველობისათვის.

24. ე.ი. არც ერთი რანგის სამღვდელოებას არ შეუძლია შეუმსუბუქოს სულს ხვედრი სალხინებელში.

25. რომაულ-კათოლიკური სარწმუნოებრივი მოძღვრების თანახმად, პაპს როგორც ქრისტეს მონაცვლეს დედამიწაზე და წმინდა პეტრეს მემკვიდრეს (მოციქული პეტრე ითვლება ეკლესიის პირველ მეთაურად იესოს გარდაცვალების შემდეგ), მიცემული აქვს „გასაღების ხელმწიფება" (potestate clavis), ე.ი. უმაღლესი სასულიერო ხელისუფლება. ამას, როგორც ნათქვამია მე-8 შენიშვნაში, ხელაღებით არც ლუთერი გამორიცხავს, თუმცა, მისი აზრით, პაპის უფლებამოსილება სრულიადაც არ ვრცელდება სალხინებელში. მათე 16, 19-ზე დაყრდნობით, „განმარტებებში" ლუთერი შენიშნავს, რომ პაპისათვის ბოძებულ სასჯელთა დადებისა და ცოდვათა მიტევების უფლება შეზღუდულია დედამიწით.

26. დედანი „Hominem" გერმანულად თარგმნილია როგორც „Menschenlehre". გამოთქმაში „ადამიანურს ქადაგებენ" (Hominem predicant) ჩადებულია ის აზრი, რომ ეს ღმერთიდან მომდინარე ქადაგება როდია, არამედ შეთხზულია დაინტერესებული ადამიანების მიერ.

27. ლუთერს აქ მხედველობაში აქვს (იხ. ასევე 32-ე, 33-ე, 35-ე და სხვა თეზისები) ინდულგენციებით მოვაჭრე ბერის იოჰან ტეცელის სიტყვები, რომელზეც ვრცლად გვაქვს საუბარი ჩვენს ნარკვევში.

28. ამასთან დაკავშირებით ლუთერი „განმარტებებში" წერს: „მართალია, მე არ წამიკითხავს რაიმე სარწმუნო თხზულება მათ შესახებ, მგრამ გამიგონია, რომ ორივე წმინდანს შეეძლო ხსნა სალხინებლიდან თავიანთი დამსახურების გამო. წმინდანებმა კი ამჯობინეს კიდევ მეტი აეტანათ, რათა მათ სახელს არ მოჰკლებოდა დიდება მო-

მავალში. შესაძლებელია, მოხდეს ისეც, რომ ზოგიერთი სული ღმერთისადმი უზომო სიყვარულის გამო თვითონ არ მოისურვებს ხსნას" როგორც სიცოცხლეში, ისე სიკვდილის შემდეგ. ამრიგად, ლუთერის აზრით, ინდულგენციის გავრცელება სალხინებელში წარმოადგენს არა მარტო ღვთის უფლების მითვისებას, არამედ მიცვალებულთა სულების სურვილის უგულებელყოფასაც.

29. ლუთერი თავის „განმარტებებშიც" გამოთქვამს აზრს: თუკი „მონანიება", რომელიც მონანიების საიდუმლოს წინაპირობას წარმოადგენს, საეჭვოა (შდრ. შენიშვნა მე-3), მაშინ მონანიების საიდუმლოც ასევე საეჭვოა.

30. ლუთერი ეყრდნობა მათე 7, 14-ს.

31. ერთ-ერთი ყველაზე მწვავე თეზისი. „განმარტებებში" ლუთერი მას ხსნის: იერემია 17, 5 და მოციქულთა საქმე 4,12; 15, 11-ის დამოწმებით; აქ და შემდგომ თეზისებში ლუთერი აღშფოთებით ლაპარაკობს იმ ქადაგებებზე, რომლებიც მორწმუნეებს შეწირულობისა და ინდულგენციების ფულით შეძენისაკენ მოუწოდებდნენ, რათა ამ „უბიწო" ქმედებით მიეღწიათ ნეტარებისათვის.

32. როცა აკრიტიკებს ინდულგენციების „ყოვლისშემძლეობის" აზრის მქადაგებლებს, ლუთერს მხედველობაში ჰყავს მაინცის არქიეპისკოპოსი ალბრეხტი, რომელიც თავის ინსტრუქციაში ასეთ გამართლებას აძლევს ინდულგენციებით ვაჭრობას: ინდულგენცია, ჯერ ერთი, ყველა შეცოდების სრულ პატიებას იძლევა, განთავისუფლებას სალხინებლის ცეცხლისაგან; მეორეც, იძლევა განმათავისუფლებელ სიგელს, რომელიც ინდულგენციის მფლობელს შესაძლებლობას აძლევს თავისთვის, სურვილისამებრ, აირჩიოს სულიერი მამა, რომელსაც შეუძლია შეუნდოს დანაშაული, გააუქმოს სასჯელი, შეცვალოს ერთი აღთქმა მეორეთი; მესამეც, შესაძლებლობას აძლევს მონაწილეობა მიიღოს ეკლესიის ყველა სიკეთეში – ლოცვაში, მომლოცველობასა და სხვა კეთილ საქმეებში; დაბოლოს, მეოთხეც, გარდაცვლილთა სულებს, სალხინებელში რომ იმყოფებიან, აძლევს ცოდვათა სრულ შენდობას.

33. შდრ.: მე-5 და მე-20 თეზისები.

34. „განმარტებებში" ლუთერი წერს: „თქვენ (მას მხედველობაში აქვს

ინდულგენციის მქადაგებლები, – გ.კ.) რომ კეთილი სულიერი მოძღვარნი და ჭეშმარიტი ქრისტიანები იყოთ, თქვენს მთელ სიბეჯითეს წარმართავდით იქითკენ, რომ ცოდვილი განიცდიდეს ღვთის წინაშე შიშს და თავს არიდებდეს ცოდვას, და არ დამშვიდდებოდით, ვიდრე არ დაიყოლიებდით მოძმის სულს თქვენივე ცრემლებით, ლოცვით, შეგონებით, გაკიცხვით. თუ თქვენ გამოუსწორებელი ცოდვილი ფულს შემოგთავაზებთ, იგი უნდა მიაყაროთ მას სახეზე და დასაჯოთ (2 კორინთელთა მიმართ 12, 14 და მოციქულთა საქმე 8, 20), ფული კი არ უნდა მიიღოთ.

35. „ქრისტესა და ეკლესიის სიკეთის" ქვეშ ლუთერი გულისხმობს ღმერთის მიერ ბოძებულ წყალობას (მადლს), საიდანაც ზიარების მიღება შეუძლია ყოველ ჭეშმარიტ ქრისტიანს ინდულგენციის გარეშე. ეს გაბედული აზრია, დაპირისპირებული ოფიციალურს, აკი კათოლიკები და მართლმადიდებლები მადლის მატარებლად და გადამცემად სამღვდელოებას მიიჩნევდნენ.

36. თავდაპირველად, როცა კათოლიკე ღვთისმეტყველები აცხადებდნენ, რომ ცოდვების შენდობას ემსახურება მონანიების საიდუმლო, იქვე იმასაც მიუთითებდნენ, რომ ცოდვილს მიეტევებოდა ცოდვა თვით ღმერთის მიერ, რომელსაც აუწყებდა მღვდელი. მაგრამ მოგვიანებით, როცა შეიქმნა ქრისტეს, ღვთისმშობლისა და წმინდანების ჭარბი დამსახურების თეორია (იხ. ასევე 21-ე შენიშვნა), დასავლეთის ეკლესიამ ინდულგენცია გაავრცელა ყოველგვარ სასჯელზე, თვით ღვთაებრივ სასჯელზეც. ეს არის „სრული" ინდულგენცია, რომელიც მიუტევებს როგორც სასჯელს, ისე დანაშაულს, ცოდვას. ეს კი, ლუთერის აზრით, მკრეხელობაა; პაპი და მღვდლები მოსამართლეები როდი არიან, რომელთაც გამოაქვთ ცოდვათა მიტევების განაჩენი, ისინი მხოლოდ ღვთის მიტევებას აუწყებენ. „ამიტომაც არც საიდუმლოს და არც მღვდელს შენი გამართლება არ შეუძლია, მისი მოპოვება შეიძლება მხოლოდ რწმენით ქრისტეს სიტყვისადმი, რომელსაც გადმოსცემს მღვდელი", – ასკვნის ლუთერი. ამრიგად, ლუთერი თავის ამ თხზულებაშივე შემოფარგლავს სამღვდელოების ფუნქციას, მას მხოლოდ „ღვთის სიტყვის" (საღვთო წერილის) გადმოცემა, ან ღვთის მიტევების გამოცხადება აკისრია. აქვე ვიტყვით,

რომ 38-ე თეზისის თარგმნისას, როცა ვიყენებთ სიტყვა „განცხადებას“, მას ვხმარობთ არა აპოკალიპსური მნიშვნელობით, არამედ გადმოცემის, უწყების გაგებით.

37. ე.ი. პაპისეული შენდობა.

38. აქ ისევე, როგორც 42-ე თეზისში, ლუთერი ემყარება სქოლასტიკურ შეხედულებებს, თუმცა პაპისეულ ინდულგენციას სხვა „კეთილ საქმეებზე“ მაღლა არ აყენებს.

კეთილი საქმეებისათვის, რომლის განხორციელება შეიძლება ფულის მეოხებით, ლუთერი ადგენს შემდეგ თანმიმდევრობას: თავდაპირველად მოდის მოწყალება ღარიბებზე, გაჭირვებულებზე, მათხოვრებზე; შემდეგ მოდის შეწირულობანი ეკლესიების, საავადმყოფოებისა და საზოგადოებრივი დაწესებულებებისათვის, ხოლო თუ რაიმე ზედმეტი სახსრები დარჩა, შეიძლება ისინი გამოყენებულ იქნეს ინდულგენციების შესაძენად.

39. „სასჯელის უბრალოდ მოხსნა ადამიანს არ ხდის ქრისტიანული სიყვარულის საქმეში კეთილად ან უკეთესად“, — წერს ლუთერი „განმარტებებში“. ამრიგად, ლუთერის აზრით, ინდულგენცია თავისთავად უმნიშვნელო როლს ასრულებს, მას მხოლოდ პაპის მიერ დადებული სასჯელის „უბრალო მოხსნა“ შეუძლია. მთავარია გულწრფელი მონანიება და სიყვარული ღმერთისადმი, რაც ასე აუცილებელია მასთან შესარიგებლად, ღმერთისადმი სიყვარული მოყვასისადმი სიყვარულსაც აძლიერებს, ადამიანს ხდის უკეთესად.

40. ლუთერი ემყარება I იოანე 3, 17-ს.

41. აქ და მომდევნო თეზისებში ლუთერი ფიქრობს, რომ იცავს და ინდობს პაპის ჭეშმარიტ აზრს, ვიდრე ეს შესაძლებელია. ერთდროულად ეს იმისკენაც მოუწოდებს, რომ პაპებისათვის უკეთ ცნობილი გახდეს ინდულგენციებით მოვაჭრეთა საქმიანობანი.

42. როგორც თეზისებში, ისე „განმარტებებში“ ლუთერი არ უარყოფს ინდულგენციებს, თუმცა ძალიან უმნიშვნელო როლს აკუთვნებს (იხ. 39-ე შენიშვნა): ის სხვა არაფერია, თუ არა განებივრებულ, გულგრილ და გულქვა ქრისტიანების სასჯელთა შემსუბუქება, მაგრამ თუ ჩვენ არ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ ქრისტიანული

სიყვარულის საქმეში, მაშინ მით უფრო არ შეიძლება იმედი ვიქონიოთ ინდულგენციაზე.

43. ამასთან დაკავშირებით „ინდულგენციებისა და წყალობის შესახებ ქადაგებებში“ ლუთერი ლაპარაკობს: „შენ, პირველ რიგში, გვერდით მყოფ მოყვასს უნდა მისცე ის, რისი მიცემას გსურს. თუ მოხდება ისე, რომ ქალაქში აღარ არის არც ერთი გაჭირვებული, უნდა დაეხმარო შენი ქალაქის ეკლესიების, ტაძრებისა და შენობების მშენებლობას და თუ ასეთი აუცილებლობა არ არის, მხოლოდ მაშინ შეგიძლია დაეხმარო წმინდა პეტრეს ტაძარს ან სხვა რომელიმე ეკლესიას, მაგრამ ეს შენ უნდა გააკეთო არა ინდულგენციის შეძენის გზით (ლუთერი სხვაგანაც მიუთითებს: ბევრად უკეთესია, თუ მორწმუნე დაეხმარება წმინდა პეტრეს ეკლესიას ღვთისადმი სიყვარულის გამო, და არა იმიტომ, რომ მიიღოს ინდულგენცია). წმინდა პავლე ამბობს (I ტიმ. 5,8): „ხოლო თუ ვინმე თავისიანთა და, მით უმეტეს, სახლეულთათვის არ ზრუნავს, რწმენის უარმყოფელია და ურწმუნოზედაც უარესი“. „კარგად დაიმახსოვრე: ვინც შენ სხვაგვარად გეუბნება, მას სურს შეცდომაში შეგიყვანოს, ან შენს სულს შენს ჯიბეში ეძებს. თუ ის აღმოაჩენს იქ ფენიგს, მას ყველა სულს ამჯობინებს“.

44. „ძალზე დამღუპველია ყოველგვარი ქადაგება, რომელიც ადამიანებს ჩააგონებს რწმენასა და იმედს სხვა რამეზე, და არა ღვთის მოწყალებაზე, რომელიც არის ქრისტე“ („განმარტებები“).

45. ეს დაპირისპირება განსაკუთრებული სიცხადით მიუთითებს, თუ რა ეჩვენებოდა ლუთერს ყველაზე მნიშვნელოვნად. „საერთოდ, — წერს ლუთერი „განმარტებებში“, — უმჯობესია უარი ვთქვათ საიდუმლოზე, ვიდრე არ ვამცნოთ სახარება“.

46. ეკიდება რა „ქრისტესა და წმინდანების დამსახურებას“ როგორც „ეკლესიის განძს“ (იხ. ასევე 21-ე შენიშვნა), კათოლიკე თეოლოგები არცთუ ისე ცდილობდნენ აეხსნათ ხალხის მასისათვის ამ განძის არსი. ამიტომაც ლუთერი აქ და მომდევნო თეზისებში (57-ე და 62-ე) იძულებულია თვითონ გასცეს პასუხი ამ კითხვას. ის განმარტავს, რომ ქრისტეს დამსახურებიდან, პირველ რიგში, გამომდინარეობს ღვთაებრივი მადლი, ნამდვილი განძი (ახლა ყიდვა-გაყიდვის საგნად

ქცეული), რომელიც მორწმუნეებს ეკლესიისა და ინდულგენციების გარეშე ეძლევა. ლუთერი არ გამორიცხავს, რომ ეკლესიაც ფლობს განძს (ესეც ასევე ქრისტეს დამსახურების ძალითაა ნაბოძები), მაგრამ, მისი აზრით, ეს სხვა არაფერია, თუ არა „ეკლესიის გასაღები" (საეკლესიო ხელისუფლება), რომელსაც ძალუძს გაათავისუფლოს მხოლოდ ისეთი სასჯელებისაგან, რომლებიც დადებულია უშუალოდ პაპის მიერ. ამ საკითხს ლუთერი „განმარტებებშიც" უბრუნდება, სადაც თავდაპირველად გამორიცხავს მტკიცებას, რომ წმინდანებმა გააკეთეს ბევრი საქმე – მათ მოვალეობას რომ აღემატებოდა, ე.წ. „ნამეტი საქმენი", რომელიც ეკლესიის საგანძურშია მოთავსებული: „არც ერთ წმინდანს, – წერს ლუთერი, – ამქვეყნიურ ცხოვრებაში არ ამოუწურავს მცნებანი ღვთისა, მაშასადამე, მას არაფერი ჭარბი არ გაუკეთებია. ყოველ წმინდანს ღმერთი უნდა უყვარდეს თავის შესაძლებლობის შესაბამისად და უფრო მეტადაც; მაგრამ ეს არც ერთ წმინდანს არ გაუკეთებია, არც შეეძლო გაეკეთებინა". ლუთერი კიდევ უფრო დაწვრილებით ამტკიცებს იმას, რომ შენდობის განძი არ შეიძლება დაფუძნებული იყოს ქრისტეს დამსახურებაზე. „რამდენადაც ქრისტე – ეს მაცხოვარი და მხსნელი სამყაროსი – ერთადერთი ჭეშმარიტი განძია ეკლესიისა. მაგრამ მე არაფრით არ შემიძლია დავეთანხმო იმას, რომ ქრისტე არის ინდულგენციის განძი".

47. ლუთერი აქ ეხება ქრისტიანის ორნაირი ბუნების საკითხს. მასზე ის უფრო დაწვრილებით ჩერდება თავის გვიანდელ თხზულებებში, რომლებშიც ავითარებს მოძღვრებას, რომლის თანახმად ადამიანი შედგება სულიერი „მე"-სა და ხორციელი, მატერიალური მხარისაგან. აქედან პირველი სხვა არავის ექვემდებარება თუ არა უშუალოდ ღმერთს. მაშასადამე, ლუთერის აზრით, ღვთაებრივი მადლი ადამიანს პაპის მონაწილეობის გარეშე ეძლევა.

48. ამ თეზისიდან ჩანს, რომ ლუთერი ცნობს ეკლესიის უფლებას „გასაღებზე" (მათე 16, 19), მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პაპის გასაღებს ძალა აქვს სალხინებელში. პაპის ძალაუფლება ვრცელდება მხოლოდ იმ სასჯელებზე, იმ განსაკუთრებული შემთხვევებისაგან გასათავისუფლებლად, რომლებიც უშუალოდ პაპის მიერაა დადებული. ამის შესახებ

ურო დაწერილებით იხ. 25-ე და 46-ე შენიშვნები.

49. შდრ.: მე-5 და მე-20 თეზისები.

50. მოცემულ თეზისში ლუთერი გამოთქვამს რეფორმაციული რწმენით გამართლების მოძღვრების საერთო შინაარსს, იმ აზრს, რომ ერთადერთი ავტორიტეტი, რომელსაც ეკლესია უნდა ემყარებოდეს, არის სახარება. „განმარტებებში" ამასთან დაკავშირებით ლუთერი ამბობს: „სახარებიდან აღმოცენდება ღმერთის ჭეშმარიტი პატივი".

51. 63-ე და 64-ე თეზისები ფორმულირებულია იესოს სიტყვასთან – პირველი და უკანასკნელის შესახებ (მათე 19, 30; 20, 16; ლუკა 13, 30) – კავშირში. სახარების განძი პირველებს უკანასკნელებად აქცევს (ე.ი. სახარების თანახმად პირველები უკანასკნელები იქნებიან საიქიოში) და ამისა ეშინია ყველა იმათ, რომელთაც მიწიერი და თავისი მე უყვარს. შენდობის განძი უკანასკნელებს პირველებად აქცევს – ასე ქადაგებენ ინდულგენციის გამყიდველები. ეს ქადაგება ადამიანებს ჩაუნერგავს აზრს, რომ ინდულგენციის შეძენით შეიძლება თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი სასჯელი („განმარტებები").

52. ლათინურ ტექსტში ლუთერი მიმართავს შესაფერისი სიტყვების თამაშს.

53. „დიახ, ღმერთის წყალობასთან შედარებით ისინი უმნიშვნელონი არიან, და ღმერთის წყალობის საპირისპიროდ მოქმედებენ. მაგრამ მათ ითმენენ ზარმაცებისა და უსაქმურების გამო", – წერს ლუთერი „განმარტებებში".

54. ე.ი. პაპისეული;

55. „განმარტებებში" ლუთერი მოითხოვს, რომ თვით პაპისეული უსამართლო ვალდებულებანი და მოთხოვნანი ავიტანოთ მოთმინებითა და მორჩილებით. ლუთერი ნათქვამს ასე ასაბუთებს: „ჯვარი უნდა ატარო არა იმიტომ, რომ ის სამართლიანია ან მოწონებული, არამედ როგორც შოლტი, რომლითაც ღმერთი გვსჯის, და რომლის ცემა უნდა ავიტანოთ მორჩილებით".

56. ანათემა (ბერძნული anáthema – დაწყევლა) – ქრისტიანობაში საეკლესიო დაწყევლა, განკვეთა ეკლესიისაგან, რომელიც უმაღლეს სასჯელად ითვლებოდა.

57. მოთმინება, რომელსაც ავლენს ლუთერი საეკლესიო გადმოცემებთან

დამოკიდებულებაში, აიძულებს მას გაამართლოს ინდულგენცია როგორც საშუალება, რომელიც „ცოტათი მაინც შეამსუბუქებს დროებით სასჯელებს“ („განმარტებები“).

58. ლუთერი პაპს მიაწერს ისეთ განზრახვას, რომლის გამოთქმა მას არც უფიქრია.

59. ლუთერი არ იძლევა ახსნა-განმარტებას — გვხვდება თუ არა სინამდვილეში მოცემული ფორმულირება ინდულგენციებზე, თუ ეს ხალხის აზრია, რომელიც აღმოცენდა ინდულგენციების წაკითხვის შემდეგ. ყველა შემთხვევაში მას უნდა ვერიდოთ და დავწყევლოთ, — ამბობს ლუთერი.

60. კათოლიკური საეკლესიო მოძღვრება განასხვავებს მისატევებელ ცოდვებს, რომლებიც მონანიებას არ მოითხოვენ, და სასიკვდილო ცოდვებს, რომლებისთვისაც აუცილებელია მონანიება, ლუთერი თვით უმნიშვნელო მისატევებელ ცოდვასაც დანაშაულად თვლის ღმერთის წინაშე, ამიტომ მოითხოვს მონანიებას. ამის გარეშე, ლუთერის აზრით, პაპს შენდობის მიცემა არ შეუძლია (იხ. მე-6 თეზისი), ხოლო ინდულგენცია ვერ დაფარავს ცოდვას.

61. მაგალითისათვის ლუთერს შემდგომ თეზისებში (82-ე და 89-ე) მოაქვს ერისკაცთა რვა ასეთი „მწვავე შეკითხვა“, რომლებშიც მწარე ირონია ვლინდება.

62. კათოლიკური ეკლესია სამგლოვიარო მესის (მესა — ფრანგული messe – კათოლიკური მთავარი ღვთისმსახურება, წირვა) შემდეგ თანმიმდევრობას იცავს: წესის აგება სიკვდილის დღეს, პანაშვიდი სიკვდილის მესამე დღეს სულის მოსახსენიებლად და სიკვდილის ან დაკრძალვის დღის წლისთავის მოსახსენიებელი ღვთისმსახურება ყოველწლიურად („წლისთავის ზეიმობა“). ამ ზეიმის განხორციელების წინაპირობას წარმოადგენს განსაკუთრებული შესაწირი.

63. ტერტულიანეს ეპოქიდან მომდინარე ძველმა საეკლესიო დადგენილებებმა მონანიების შესახებ დიდი ხანია დაკარგა ძალა ინდულგენციების შემოღების გამო. და მაინც, ნიადაგ ამ დადგენილებებს ეყრდნობა მოძღვრება ინდულგენციების შესახებ. ამ წინააღმდეგობას სამართლიანად ხედავდნენ ადამიანები.

64. ლუთერს მხედველობაში ჰყავს პირველი ტრიუმვირატის მონაწილე

(პომპეუსთან და ცეზართან ერთად) კრასუსი (დაახლოებით 115-53 წლები ჩვ. ერამდე), რომელმაც სახელი გაითქვა დიდი ქონებით, შეძენილით სულას (82-79 წლები ჩვ. ერამდე) დიქტატურის პროსკრიპციის დროს, ხოლო შემდეგში გაზრდილით სხვადასხვაგვარი სპეკულაციის გზით. ტექსტის ლათინურ ვარიანტში ლუთერი მიმართავს სიტყვათა თამაშს: „crassis crassiores" – რომელიც უმდიდრესზე მდიდარია.

65. ჩანს, აქ ლუთერს მხედველობაში აქვს პაპისეული ლოცვა-კურთხევა, რომელსაც პაპი რომში ჩვეულებრივ აძლევდა ხალხს (როგორც ადგილობრივებს, ისე სალოცავად ჩასულებს) დიდი დღესასწაულების დღეებში; ამ ლოცვა-კურთხევასთან იყო დაკავშირებული დამსწრეების ცოდვათა სრული შენდობა.

66. თვით ამ მტკივნეულ საკითხში ლუთერი არ უარყოფს იმ დებულებას, რომ ყველაფერი, რასაც პაპი აკეთებს, უნდა მივიღოთ მორჩილებით. მაგრამ მოგვიანებით ის პაპის მოქმედებას დადებითად არ მიიჩნევს, მიუთითებს მის ანგარებაზე. „განმარტებებში" ლუთერის სიტყვები წინასწარმეტყველურ ძალას იძენს: „ეკლესია საჭიროებს რეფორმაციას, რომელიც, როგორც ეს ორმა უკანასკნელმა საეკლესიო კრებამ გვიჩვენა, შეადგენს არა ცალკეულ პირთა, პაპის ან მრავალ კარდინალთა ამოცანას, არამედ წარმოადგენს მთელი დედამიწის საქმეს, მით უფრო, ის – მხოლოდ ერთადერთი ღმერთის საქმეა. ამ რეფორმაციის დადგომის დრო მხოლოდ მან, ყველა დროის შემოქმედმა, იცის. ამ დროის დადგომამდე ჩვენ არ უნდა უარვყოთ არსებული დარღვევები. გასაღების ძალაუფლება ბოროტად გამოიყენება, ის ჩაყენებულია ანგარებისა და პატივმოყვარეობის სამსახურში".

67. ლუთერს მხედველობაში აქვს ბიბლიის ტექსტი: იერ. 6, 14; 8,11; ეზეკ. 13, 10; 1 თეს. 5,3.

68. ლუთერი იმოწმებს მოციქულთა საქმეს, 14, 22.

# გამოყენებული ლიტერატურა


1. ერაზმ როტერდამელი, მშვიდობის ჩივილი, თარგმანი, წინასიტყვაობა და შენიშვნები გ. კუტალიასი, თბ., 1993.
2. **Luther Deutsch**. Tischreden. Hrsg. Von K.Aland, Bd.9, Berlin, 1948.
3. Martin Luthers Werke. Kritische Gesamtausgabe (Weimar: Herman Böhlau), 1883.
4. **Tauler I**. Predigten. Bd.II. Iena, 1913.
5. Хрестоматия по всеобщей истории, ч. 1, составил П.К. Ардашев, 1914.
6. Хрестоматия по истории средних веков. Т. III, М., 1950.
7. გ. კუტალია, მარტინ ლუთერის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი, თბ.,1993.
8. **Бецольд Фр.** История Реформации в Германии. т.I, СПБ., 1900.
9. **Бэрд Ч**. Реформация XVI века. СПБ., 1897.
10. Календарь антирелигиозника на 1941.
11. **Кареев Н**. История западной Европы в новое время. т. II, ч.I, СПБ., 1898.
12. **Лампрехт К**. История германского народа. т. III, ч. 5, М., 1896.
13. **Лозинский С**. Папский - „департамент покаянных дел". - Вопросы истории, религии и атеизма. Сб., 2, М., 1954.
14. **Михневич Д**. Очерки из истории католической реакции (иезуиты), М., 1955.
15. **Сингалевич С.П.** 95 тезисов Мартина Лютера. Казань, 1915.
16. **Смирин М.М**. Германия эпохи Реформации и Великой крестьянской войны. М., 1962.
17. **Смирин М.М**. Народная реформация Томаса Мюнцера и Великая крестьянская война. М., 1955.
18. **Смирин М.М**. Эразм Роттердамский и реформационное

движение в Германии. М., 1978.
19. **Соловьев Э.** Непобежденный еретик. Мартин Лютер и его время. М., 1984.
20. **Штраус Д.** Ульрих фон Гуттен. СПБ., 1896.
21. **Edwards Ir. Mark U.** Luther and the False Brethren. Stanford, California, 1975.
22. **Fausel H. D.** Martin Luther. Stutgart, 1955.
23. **Hoffmann W.** Zur Geschichte der päpstlichen Kanzlei. Leipzig, 1904.
24. **Holborn H.** Ulrich von Hutten. Leipzig, 1929.
25. **Ludolphy I.** Die 95 Thesen Martin Luther. Berlin, 1967.
26. Martin Luther und unsere Zeit. Berlin, 1980.
27. **Ullmann C.** Reformatoren vor der Reformation. Bd.II, 1866.

## სახელთა საძიებელი


ა

ავგუსტინე ნეტარი 9, 11, 17
ავგუსტუსი გ. 17
აკვინელი თ. 6, 72
ალბრეხტი 46, 48
არდაშევი პ. 3
არისტოტელე 9,13

ბ

ბერდი ჩ. 18, 75
ბეცოლდი ფრ. 18, 24
ბრენდლერი გ. 23

გ

გეინზე ს. 47
გეორგი 27
გრიგოლ VIII 43

დ

დანტე ალიგიერი 72
დიურერი ა. 27

ე

ედვარდი ი. 16, 17
ევკლიდე 6
ეკარტი 9
ეკი 15, 24, 25
ერაზმ როტერდამელი 11, 12, 13, 14, 15, 30, 32, 33

ვალა ლ. 13
ვირგილიუსი 6

ზ

ზიკინგენი ფ. 19, 24

თ

თემისტოკლე 17

ი

იერონიმე 48
ინოკენტი VIII 45
იოანე XXII 43
იულიუს II 48

კ

კარეევი ნ. 56
კარლ V 24, 25, 31
კარლშტადტი ა. 10, 24, 29
კატარინა ფონ ბორა 21
კრანახი ლ. 26
კრასუსი 85
კუზანელი ნ. 39

ლ

ლამპრეხტი კ. 47
ლეო X 45
ლივიუსი ტ. 6
ლოზინსკი ს. 40
ლუდოლფი ი, 4, 42, 43, 46, 48

მ

მარგალიტა (ლუთერის დედა) 5
მარკი უ. 16
მელანქთონი ფ. 16, 17, 18
მირანდოლა პიკო დელა 13
მიუნცერი თ. 3, 74
მიხნევიჩი დ. 44, 45
მოზელანი 12
მორი ტ. 30, 32, 34, 35
მურისი ი. 6

ნ

ნერონი 14

ო

ოვიდიუსი 6
ოკალამპადიუსი 16
ოკამი უ. 6

პ

პასქალიუსი 62
პაუკი ვ 5
პეტრარკა 44,45
პომპეუსი 85
პტოლემე 6

რ

რანკე ლ. 19
რუბიანი კ. 7
რუფუსი მ. 7

ს

სევერინუსი 62
სინგალევიჩი ს. 3
სკოტი 6
სმირინი მ. 3, 46, 53, 75
სოლოვიევი ე. 7, 13, 18, 19
სოლონი 17
სუზო 9
სულა 86
სციპიონი 17

ტ

ტაულერი 9, 53
ტერტულიანე 73, 85
ტეცელი ი. 17, 46, 47, 78
ტიბერიუსი 14
ტუნსტალი კ. 32

უ

ულმანი ს. 53
ურბან II 76

ფ

ფაბიუნკე გ. 23
ფაუზელი პ. 4
ფერდინანდი 25
ფრიდრიხ ბრძენი 9, 27
ფუგერები 46

შ

შოტენლოერი კ. 5
შტაუპიტცი ი. 9

შტერნი ლ. 17, 18
შტრაუსი დ. 48

ც

ცეზარი 85
ცვაიგი შტ. 33
ცვილინგი 29
ცვინგლი ჰ. 15, 16, 35, 36
ციცერონი 6

ჰ

ჰანსი (ლუთერის მამა) 5, 7, 8, 9
ჰენრი VIII (ინგ. მეფე) 32, 34
ჰესენელი ფ. 26
ჰოლბორნი ჰ. 45
ჰორაციუსი 6
ჰოფმანი ვ. 40
ჰუსი ი. 16, 25
ჰუტენი ულრიხ ფონ 17, 18, 19, 24, 40, 48

# შინაარსი


წინასიტყვაობა ........ 5

მარტინ ლუთერი და მისი „95 თეზისი“ ........ 6

1. ბიოგრაფიული შტრიხები ........ 6
2. ინდულგენციებით ვაჭრობის ისტორია და „95 თეზისი“ ........ 38

თეზისები ........ 58

1. 95 თეზისი ........ 59
2. Die 95 Thesen (ლათინური ტექსტი) ........ 59
3. Die 95 Thesen (გერმანული ტექსტი) ........ 77

შენიშვნები ........ 87
გამოყენებული ლიტერატურა ........ 104
სახელთა საძიებელი ........ 106

რედაქტორი: მ. ჩიკვილაძე
ტექ. რედაქტორი: ი. ნავროზაშვილი
კორექტორი: მ. კილაძე

საბეჭდი ქაღალდი 60X84 1/16
შეკვეთა №35. ტირაჟი 1000

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „მერიდიანი“, „კაბადონი“,
თბილისი, გურამიშვილის გამზ. №74.